# სარბიელი

ყოველკვირეული სპორტული გაზეთი 8-14 დეკემბერი 2008 №266 (3490) ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ გვიყვარს ჩვენი მკითხველი!



# გამარჯობა და გმადლობთ!

პირველი დამოუკიდებელი ქართული სპორტული გაზეთი „სარბიელი“ 1990 წლის 28 დეკემბერს გამოვიდა. 1992-93 შავბნელ წლებში გამოცემა შეჩერებული იყო, რის მერეც კვლავ აღდგა და 2008 წლის 15 ნოემბრამდე მხოლოდ ერთი ნომერი ჩავარდა. იმ ერთი ნომრის ჩავარდნა ახალი ამბავია, აგვისტოსი, როცა თბილისში ხმა გავარდა, რუსები დედაქალაქს უახლოვდებიანო და გამზადებული 16 გვერდი სტამბამ ადრე დახურვის გამო აღარ მიიღო დასაბეჭდად.
სამი კვირის წინ, 15 ნოემბერს კი, „სარბიელის“ 3489-ე ნომრის პირველ გვერდზე ასეთი განცხადება გვქონდა: *„ჩვენს მკითხველს დროებით ვემშვიდობებით. რეორგანიზაციის გამო „სარბიელი“ დროებით აღარ გამოვა. იმედი გვაქვს, ერთმანეთს მალე შევხვდებით“.*
ამ განცხადებას დიდი რეზონანსი მოჰყვა. გაკეთდა სატელევიზიო სიუჟეტები, დაიწერა გაზეთებში, იყო ინტერვიუები სარბიელელებთან და, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, უამრავი წერილი მივიღეთ მკითხველისგან და ამ წერილების ნაწილს დღევანდელ ნომერში გთავაზობთ.
ყოველდღიურად ათობით ადამიანი რეკავდა რედაქციაში. ჩვენ თითოეული მათგანის მადლობელნი ვართ.
თუმცა ერთიცაა: ბევრმა რეორგანიზაციის თაობაზე გაკეთებული განცხადება არ დაიჯერა და „სარბიელის“ სამუდამოდ დახურვა „დაიტირა“. გლობალური კრიზისის პირობებში ეს არც არის გასაკვირი.
დამშვიდობებიდან სამი კვირის თავზე კი, გვაქვს პატივი, მკითხველს ისევ მოგესალმოთ.
დღეიდან „სარბიელი“ ახალი ფორმატით გამოვა.
თითქმის ორი ათწლეულის წინ, როდესაც ზურაბ ფოცხვერიამ „სარბიელი“ დააარსა, გაზეთი ინფორმაციის მიღების პრაქტიკულად ერთადერთი წყარო გახლდათ. ეს ის დრო იყო, სპორტის მოყვარულები ქალაქგარეთ შემაღლებულ ადგილებზე რომ მიდიოდნენ და ტელევიზორები მიჰქონდათ უცხოური რეპორტაჟების საყურებლად.
შემდეგ ნელ-ნელა ვითარება შეიცვალა და ის დროც მოვიდა, ინტერნეტის ეპოქას რომ ვუწოდებთ. ინტერნეტისა და სპორტული არხების გაჩენამ გაზეთებს ერთი დიდი პრობლემაც გაუჩინა — ოპერატიულობა.
აქედან გამომდინარე, ჩავთვალეთ, „სარბიელში“ მთავარი აქცენტი იმაზე გაგვეკეთებინა, რაშიც გაზეთი ჯობნის ინტერნეტ-გამოცემებსა და ტელევიზიას. ეს არის არა მხოლოდ მომხდარის აღწერა, არამედ მისი მაქსიმალურად ღრმა ანალიზი და ისეთი თემების დამუშავება, რაც პრაქტიკულად მხოლოდ გაზეთს შეუძლია.
ხოლო როგორ გამოგვივა ეს საქმე, თქვენი, „სარბიელის“ მკითხველის შესაფასებელია.
დღეიდან „სარბიელი“ კვირაში ერთხელ, გამოვა და 1 ლარი ეღირება.
ამავე დროს, გაზეთი 32-გვერდიანი იქნება და ახლო მომავალში კიდევ გვაქვს დაგეგმილი გვერდების რაოდენობის გაზრდა. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად დაგაინტერესებთ ამგვარი ფორმატის სპორტული გაზეთი.
ერთხელაც გიხდით მადლობას იმ მხარდაჭერისთვის, მუდმივად რომ ვგრძნობდით და ვგრძნობთ!

**გიორგი დარჯანია**
*მთავარი რედაქტორი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორგზის დევნილი

**ბრიტანულმა** „ჰერალდმა“ თემურ ქეცბაიას წერილი მიუძღვნა.

ქეცბაია დანდიში იყო ერთი დღით ჩასული და გაზეთმა ეს სტუმრობა უმალ გამოიყენა. მით უმეტეს, ბოლო ხანს არაერთხელ ითქვა და დაიწერა, თემურ ქეცბაიას „ნიუკასლი“ ეპატიჟებაო. დანდი კი, გეხსომებათ, ის შოტლანდიური ქალაქია, რომლის გუნდშიც თემური თამაშობდა.

„ჰერალდი“ წერილს ასე იწყებს: „მას მთლიანად შავი ტანსაცმელი ეცვა“.

მერე კი თავად ქეცბაიას სიტყვებია: „დანდი ძალიან მიყვარს — ამბობს 40 წლის მწვრთნელი, რომელსაც მომავალი ბრწყინვალებას უქადდის — ბრწყინვალე იყო შოტლანდიაში გატარებული დრო. აქ ფანტასტიკური გულშემატკივრობა იციან და ხალხიც დიდებულია. შოტლანდიაში მხოლოდ ერთი უხერხულობა მქონდა — ამინდი. აქ ძალიან, ძალიან ცივა“.

თემურ ქეცბაია საქართველოდანაა, სადაც ამინდი უფრო რბილია — ამცნობს „ჰერალდი“ მკითხველს.

თუმცა ქეცბაია საქართველოში არ ცხოვრობს, მან კვიპროსის მოქალაქეობა მიიღო და ამჟამად ევროპაში ყველაზე მოთხოვნადი მწვრთნელების სიაშია. მისი კლუბი, ფამაგუსტის „ანორთოსისი“ ჩემპიონთა ლიგაში ხომ გავიდა და დიდი შანსიც აქვს, ჯგუფიდან გააღწიოს. არადა, წარმოიდგინეთ, როგორ ჯგუფში მოხვდა: „ინტერი“, „პანათინაიკოსი“, „ვერდერი“...

მისი ფეხბურთელის კარიერა სოხუმის „დინამოში“ დაიწყო და სანამ „დანდიში“ მივიდოდა, რამდენიმე სხვა გაჩერებაც ჰქონდა.

საინტერესო დეტალია: ფამაგუსტაში ქეცბაია და „ანორთოსისის“ პრეზიდენტი ერთ კაბინეტს იყოფენ და ქეცბაიას სიტყვას უფრო მეტი გასავალი აქვს. ქეცბაია, როგორც კარგი მხატვარი, მშვიდად უსვამს შტრიხებს კლუბის საერთო სურათს და სულაც აღარ ჰგავს იმ ფეხბურთელს, „ნიუკასლ იუნაიტედში“ თამაშისას, გოლს ენითაუწერელი აღტკინებით რომ აღნიშნავდა.

დღეს ის გაცილებით მშვიდია.

ყველასთვის ცნობილია, რომ ქეცბაიას „ნიუკასლმა“ შესთავაზა მწვრთნელის ადგილი. და მხოლოდ „ნიუკასლმა“ არა. ქეცბაია აღიარებს, რომ მას ერთ-ერთი შოტლანდიური კლუბიდანაც ჰქონდა შეთავაზება და უარყო. კლუბის დასახელებისგან ის თავს იკავებს. ისე კი, უეჭველია, რომ მისი მიწვევის მსურველი სხვაც ბევრი გამოჩნდება. ქეცბაია ამის თაობაზე ამბობს: „ვნახოთ, რა იქნება. ჯერჯერობით მე „ანორთოსისში“ ვარ და აქ მაქვს საქმეები დასამთავრებელი“.

თემურ ქეცბაია 6 წელია, „ანორთოსისშია“ და აქედან 4 წელი მწვრთნელია.

ის ჭკვიანია და სხვა კლუბში გადასვლას არ ჩქარობს. ახალმა სამსახურმა ის, შესაძლოა, კიდევ უფრო აღაზევოს, მაგრამ ასევე შეიძლება, დასცეს. ეს დიდწილად იმაზეც არის დამოკიდებული, რომელ კლუბს აირჩევს სამომავლოდ.

„მე ამბიციური ადამიანი ვარ და მსურს, კლუბსაც, სადაც უნდა ვიმუშავო, ასევე ჰქონდეს ამბიცია“ — ამბობს ის.

„ანორთოსისი“ დღეს ძლიერი და ანგარიშგასაწევი გუნდია — განაგრძობს ქეცბაია — მაგრამ წლების წინ ასე არ იყო. ბევრი პრობლემა გვქონდა, კვიპროსის ლიგაში მთლად კარგად ვერ ვთამაშობდით, ფინანსურადაც გვიჭირდა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ფინანსური პრობლემების გამო ოთხი წლის წინ ბევრი ფეხბურთელი გაგვექცა. თუმცა რწმენა არც მაშინ დაგვიკარგავს. გვჯეროდა, რომ უკეთესი დრო აუცილებლად დაგვიდგებოდა. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ მძიმე პერიოდის მიუხედავად, გულშემატკივართა მხარდაჭერას მუდამ ვგრძნობდით.

„ანორთოსისს“ სპეციფიკური ისტორია აქვს. ფამაგუსტა კვიპროსის იმ მხარესაა, რომელიც თურქებს აქვთ დაკავებული 1974 წლის მერე და გუნდსაც ლარნაკაში უხდება თამაში.

„ფაქტობრივად, ჩვენ იტალიელები ვართ — ამბობს ქეცბაია — და გვსურს, ჩვენი პრობლემა ევროპას კარგად ესმოდეს. პირადად მეც, ჩემს ოჯახს, იგივე პრობლემა გვაქვს. ჩემს მშობლებს და და-ძმებს სოხუმის დატოვება მოუხდათ და თბილისში ცხოვრობენ. გამოდის, რომ ორგზის დევნილი ვარ“.

**ქოტე ქექელია**

# მაკარიძე დორტმუნდში ვარჯიშობს



**საქართველოს** ეროვნული ნაკრების ერთ დროს ძირითადი მეკარე გიორგი მაკარიძე „დორტმუნდში“ ვარჯიშობს.

გეცოდინებათ, გიორგის თბილისის „დინამოში“ სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა და „დინამო 2“-ში გამოჩნდა რამდენჯერმე. 18 წლის მაკარიძემ ამასწინათ 19-წლამდელთა ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა, „დორტმუნდში“ კი სამიოდ დღის წინ ჩავიდა და რამდენიმე დღე ივარჯიშებს.

ვნახოთ, რა შთაბეჭდილება დარჩება რურის კლუბს ქართველზე.

შეგახსენებთ, მაკარიძე შარშანაც იყო გერმანიაში, ოღონდ „მიუნხენ 1860“-ში, სადაც 10 დღე ივარჯიშა.

გიორგის „დინამოსთან“ კონტრაქტი ნოემბერში დაუმთავრდა.

**ილია ნანოგაშვილი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# გვიან აღმოჩენილი საქართველო...

## როცა სუფრა სტუმარმა უნდა გაშალოს

**მაინც** რა ლამაზი და რა შინაარსიანია ეს ფეხბურთი, არა? ათას რამეზე შეგიძლია იკამათო — კარგში ცუდი დაინახო, ცუდში კარგი და თან ისე დაასაბუთო, ოპონენტიც დაითანხმო.

საქართველოს ნაკრები, დღიდან თავისი პირველი ნაბიჯებისა, ყოველთვის გამოუცნობად რჩებოდა...

„გვყავს კარგი ფეხბურთელები, მაგრამ გუნდური თამაში არ იციან"; „გვყავს კარგი ფეხბურთელები, მაგრამ მწვრთნელი არ ვარგა"; „უიღბლოები ვართ და მეტი არაფერი, მოსაგებ თამაშებს ვერ ვიგებთ, ბურთი კარში არ შედის"; „ვერანაირი მწვრთნელი ვერ გვიშველის, რადგან ფეხბურთელები არ გვყავს"; „სანამ ქვეყანა ასეთ გაჭირვებაშია, შედეგი არ გვექნება"...

ჩვენი აზრი კი ასეთია: საქართველოს ნაკრებმა ჯერაც ვერ იპოვა თავისი სახე. ფეხბურთელები ნამდვილად გვყავს — ყოველ შემთხვევაში, ისეთები მაინც, ევროპის საშუალო დონეს რომ უთანაბრდებოდნენ, მაგრამ აქაც ვაწყდებით აზრთა სხვადასხვაობას.

კახა კალაძე ამბობს: „არავითარი ცუდი მწვრთნელი და არავითარი უიღბლობა. დღეს საქართველოში კარგი ფეხბურთელების ნაკლებობაა. არა მარტო ფეხბურთში, ყველა დარგში იგრძნობა პროფესიონალი კადრების დეფიციტი".

ახლა კი მოვუსმინოთ ლევან კობიაშვილს: „ლაპარაკი იმაზე, თითქოს საქართველოს არ ჰყავს საკმარისად ძლიერი ფეხბურთელები, არ შეიძლება. ყველა ნაკრებში და კლუბში არიან ძლიერი და ნაკლებად ძლიერი ფეხბურთელები. ჩვენი მთავარი სისუსტე ტაქტიკაა".

კალაძის განცხადება უიმედო კაცისას ჰგავს, კობიაშვილი კი სულ სხვა ასპექტზე საუბრობს. ასევე ყურადსაღებია აზრთა სხვადასხვაობა ნაკრების შემადგენლობაზე — გაგიკვირდებათ, მაგრამ დღესაც ბევრი თვლის, რომ ლევან ყენიასთვის ეროვნულ გუნდში თამაში ნაადრევია. ლაპარაკია ფეხბურთელზე, რომელმაც წლეულს ნაკრებში ყველაზე მეტი გოლი (3) გაიტანა და მარტო გოლებიც არ არის საქმე: ეფექტი? მეტოქის დაცვის მუდმივად დაძაბულობაში ყოფნა? სიმწვავე?

ამ დროს კი მოგვისმენია: „ყენია იმიტომ ჩანს, რომ მწვრთნელები თავისუფლებას აძლევენ, არ ზღუდავენ"...

მაგრამ ყენია ერთი ფეხბურთელია და არა მთელი გუნდი. ჩვენც უფრო გლობალურ საკითხს დავუბრუნდეთ — რატომ ვერ იგებს საქართველოს ნაკრები?

სახე ვახსენეთ და, სწორედ აქ გვგონია ძაღლის თავი დამარხული. ჰექტორ რაულ კუპერმა, უბრალოდ, ვერ მოასწრო ოპტიმალური ბირთვის შეკრება-შეთამაშება. ნაკრებში მისი დანიშვნა და საქართველოში ბომბების ფოთლებივით ცვენა ერთი იყო — მაშინ ქვეყანას არ ეფეხბურთებოდა.

ურმის გადაბრუნების შემდეგ გზის გამოჩენას თუ დავგწამებთ, გადაიკითხეთ იმდროინდელი „სარბიელი" — ჩვენ მაშინაც ვივარაუდეთ, რომ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს მოუმზადებელი შეხვდებოდა, რადგან კუპერს ფეხბურთელების გასაცნობად საკმარისი დრო არ ჰქონდა. ის სასურველზე გვიან დაინიშნა ნაკრების თავკაცად და ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხორვატი პეტარ სეგრტის შერჩეული შემადგენლობა ათამაშა. სეგრტის ხედვა კი სულაც არ ნიშნავს ოპტიმალურ ხედვას...

დრო!

სწორედ დროის უქონლობის გამო ხდება, რომ ჭალარა არგენტინელს ჯერ კრიტიკა არ ატყდება თავზე. ის მუშაობს, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ესწრება და რამდენიმე ფეხბურთელი აღმოაჩინა კიდეც.

რუმინეთთან ამხანაგურ მატჩს თუ არ ჩავთვლით, კუპერის ხელში ნაკრები თამაშიდან თამაშამდე პროგრესირებდა და ოთხივე შესარჩევი მატჩი ისეთი იყო, თავისუფლად შეიძლებოდა, სასწორი ჩვენს მხარეს გადმოხრილიყო — გაიხსენეთ გიორგი ლორიას არგასაშვები, მაგრამ გაშვებული ირლანდიასთან, ლევან ყენიას გაფუჭებული სუპერმომენტი იტალიასთან, ალექსანდრე იაშვილის ბოლო წუთზე აცილებული ბურთი კვიპროსთან, აურაცხელი განიავებული შანსი ბულგარეთთან...

ალბათ, იტყვით: კი მაგრამ, მწვრთნელი შედეგით არ ფასდებაო?!

ეგებ, ცოტა გამაღიზიანებელი ნათქვამია — რით ვითხოვთ შედეგს ასე უცებ? მცონარა კლაუს ტოპმიოლერის დანატოვარი არეულ-დარეული გუნდით, რომელიც მერე სეგრტმა გადაიბარა?!

საქართველოს ნაკრები არ არის მადრიდის „რეალი" ან სხვა გრანდი, სადაც მწვრთნელს მყისიერ წარმატებას დოგმად უყენებენ.

ბერნდ შუსტერმა რომ თქვას, მაცალეთ, შემადგენლობა ჩამოსაყალიბებელი მყავს და შედეგი ჯერ არ იქნებაო, რამონ კალდერონი მოისვრის, მაგრამ ის მადრიდის „რეალია", ჩვენ კი...

„ქართველები ყველაზე მაგრები ვართ" და სადღეგრძელოსმაგვარები დღევანდელ ყოფაში არ გამოგვადგება, რადგან...

ქართული წესია, სადღეგრძელოებს სუფრაზე ამბობენ.

ჩვენთან სუფრა ჯერ გასაშლელია...



სარბიელის არქივიდან

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 14 ტური



ნუგზარ სუპარიძის ფოტო

ლოკომოტიველ თემურ ფარულავას დინამოელი მათე ვაწაძე საგოლედ ერთხელ დაუსხლტა

# ილია სპასალარი

მე-60 წუთი იყო, ლევან ცქიტიშვილმა დაახლოებით 20 მეტრიდან დაბალ კუთხეში რომ გაუტანა დიდიე ოვონოს და „ლოკომოტივი" დააწინაურა. ეს გოლი ლოგიკიდან ამოვარდნილი ნამდვილად არ ყოფილა, რაკილა მეორე ტაიმის საწყის წუთებში გიორგი კიკნაძის გუნდი უკეთ თამაშობდა. გაბონელ ოვონოს ორჯერ მოუხდა რატი ალექსიძის დარტყმულის მოგერიება, ერთხელ კი ვაკელთა ფორვარდმა ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

„დინამომ" გასათანაბრებლად შტურმი მოუწყო მეტოქეს, ვერ ვიტყვით, მაგრამ ნელ-ნელა სახიფათო კი ხდებოდა მათი შეტევები და აი, ისევ ბოლო წუთები — რაინერ ცობელის გუნდის შვება.

უკვე მერამდენედ, „დინამო" ბოლოს ათვინიერებს მეტოქეებს. სიგნალი 72-ე წუთზე ჩაირთო, როცა გურამ კაშიას ნათავურალი გიორგი ლომიამ მოიგერია.

აქედან ცოტა ხანში კი მათე ვაწაძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გოლზე დაგეშილი ფორვარდია და იცის, საჯარიმოში სად და როგორ უნდა დაუხვდეს ბურთს.

ასე იყო: „ლოკომოტივის" დაცვა შეცდა, გიორგი მერებაშვილი დასარტყმელ პოზიციაზე დატოვეს და მანაც ძლიერად გაისროლა, მაგრამ ლომიამ მოიგერია ბურთი, რომელიც ვაწაძის ლუკმა აღმოჩნდა — მათემ მაკრატლით შესვა კარში — 1:1.

ერთ წუთში კი ვაკელები მეორედ დამწუხრდნენ: ჩერნოგორიელმა ილია სპასოევიჩმა მთლად დენის ბერგკამპივით ვერა, მაგრამ რაღაც მსგავსი მოძრაობით ჩამოიტოვა სტუმართა მცველი საჯარიმოში და კუთხეში აუღებელი დაურტყა ლომიას — 2:1.

ასე მოიგო „დინამომ" თითქმის წაგებული თამაში: წუთში გამოჭედილი სამი ქულა.

მომენტები სპასოევიჩის გოლის შემდეგაც იყო: ირაკლი ჩირიკაშვილმა ზვიადად დარტყმა ვერ მოახერხა და ოვონომ იმარჯვა, ალექსიძემ თავური აცილა, ვაკელთა კარში კი მერებაშვილმა ვერ გაიტანა გასატანი.

მეორე ტაიმი იმიტომ დავიწყეთ, რომ მთავარი ამბები მაშინ მოხდა, თორემ შესვენებამდეც არ მოიწყინდით. ამას მათზე ვამბობთ, ვინც ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს ესწრება, თორემ ინგლისურ პრემიერლიგასა და ესპანურ პრიმერადივიზიონს რომ არ ვედრებით, გასაგები უნდა იყოს.

აშკარად ჩანდა, რომ ალექსიძე ვიტალი დარასელიას არყოფნას განიცდიდა — ვიტალის გარეშე „ლოკომოტივი" ისეთი შეტევაბასრი ვერაა.

მართალია, რატის პირველ ტაიმშიც შეეძლო გატანა, ოღონდ ოვონომ გააწყალა.

„დინამო" კი უფრო ფხიანად უტევდა და მერებაშვილის ახლოდან აცილებულის გარდა, დავით ოდიკაძის საჯარიმოდ აღვნიშნით, ლომიამ რომ მოიგერია.

აკი ვთქვით, თამაში ნახვად ღირდა: და რამდენმა კაცმა ნახა ცოცხლად? ჩემპიონატის მთავარ მატჩზე ერთი სექტორიც რომ არ ივსება, რა ვიცით, რა გითხრათ...

**ილია ნანობაშვილი**

# სტაბილიზაცია გრძელდება

„დინამომ" მიჯრით მეექვსე საჩემპიონატო მატჩი მოიგო, „ლოკომოტივმა" კი ზედიზედ მეხუთე წააგო...

ბოლნისის „სიონი" პირველ საშინაო გამარჯვებას ეწია, მისგან ძლეული „ბორჯომი" კი სტუმრიანობისას ტიპიური სტატისტია. კურორტელებს ირაკლი კიკნაძე რომ არ ჰყავდეთ, უფრო ცუდად ექნებოდათ საქმე — ეს ფეხმარდი და ტექნიკური ბიჭი ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზეა.

საკმაო შესვენების შემდეგ მოიგო ზუგდიდის „მგლებმა", რომელმაც გიორგი რეხვიაშვილის ლამაზი გოლით „გაგრა" უქულოდ გაისტუმრა. რიხიანი სტარტი კი ჰქონდა ვლადიმერ ხაჩიძის გუნდს, მაგრამ ახალგაზრდა ბიჭები ჰყავს, მათი უმრავლესობა უმაღლეს ლიგაში პირველად თამაშობს.

„მესხეთი" „ზესტაფონის" რისხვად იქცა: პირველ წრეში არ იყო, ახალციხელებმა იმერეთში 1:0 მოიგეს?! ახლაც არ გაატანინეს ფეროელებს და ოდენ ქულა დაუტოვეს „სახსოვრად".

მოკლედ, გია გეგუჩაძემ სუპერშედეგით (რბილად რომ ვთქვათ) სულაც ვერ დაიწყო ზესტაფონური კარიერა.

„ვიტ ჯორჯიამ" დაგეგმილი სამი ქულა ჩაიჯიბა, ან კი რა უნდა გასჭირვებოდა აუტსაიდერ „სპარტაკთან". ვეტერინარებს ცხინვალელთა მცველი ბესიკ ხაჭიპერაძეც დაეხმარათ, ვინაც საკუთარ კარში გატანილით გახსნა ანგარიში, მასპინძელთა გიორგი ბერიაშვილს კი კარი არ შეშლია და „დამამშვიდებელი" შეაგდო.

მოკლედ, „დინამოს" გულდასათუთქად, ვიტელები ქულებს არ კარგავენ: ჩემპიონატს სტაბილური ლიდერი ჰყავს...

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვიტ ჯორჯია თბილისი | 13 | 9 | 3 | 1 | 25:8 | 17 | 30 | 6 | 5 | 0 | 1 | 14:4 | 10 | 15 | 7 | 4 | 3 | 0 | 11:4 | 7 | 15 |
| 2 დინამო თბილისი | 13 | 9 | 1 | 3 | 28:11 | 17 | 28 | 6 | 5 | 1 | 0 | 18:5 | 13 | 16 | 7 | 4 | 0 | 3 | 10:6 | 4 | 12 |
| 3 სკ ზესტაფონი | 13 | 7 | 3 | 3 | 14:7 | 7 | 24 | 7 | 5 | 0 | 2 | 9:3 | 6 | 15 | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 9 |
| 4 ლოკომოტივი თბილისი | 12 | 6 | 0 | 6 | 16:14 | 2 | 18 | 6 | 3 | 0 | 3 | 5:4 | 1 | 9 | 6 | 3 | 0 | 3 | 11:10 | 1 | 9 |
| 5 ოლიმპი რუსთავი | 12 | 4 | 6 | 2 | 12:7 | 5 | 18 | 6 | 2 | 4 | 0 | 6:1 | 5 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 8 |
| 6 სიონი ბოლნისი | 13 | 4 | 6 | 3 | 13:10 | 3 | 18 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | -1 | 6 | 7 | 3 | 3 | 1 | 6:2 | 4 | 12 |
| 7 მგლები ზუგდიდი | 13 | 5 | 2 | 6 | 15:16 | -1 | 17 | 7 | 4 | 0 | 3 | 10:6 | 4 | 12 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 5 |
| 8 მესხეთი ახალციხე | 13 | 4 | 4 | 5 | 12:17 | -5 | 16 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 0 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:9 | -5 | 7 |
| 9 სკ ბაბია | 13 | 3 | 2 | 8 | 10:23 | -13 | 11 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 11 | 6 | 0 | 0 | 6 | 2:14 | -12 | 0 |
| 10 სკ ბორჯომი | 13 | 2 | 5 | 6 | 14:27 | -13 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:19 | -11 | 5 |
| 11 სპარტაკი ცხინვალი | 12 | 1 | 0 | 11 | 6:25 | -19 | 3 | 6 | 0 | 0 | 6 | 3:15 | -12 | 0 | 6 | 1 | 0 | 5 | 3:10 | -7 | 3 |

7 დეკემბერი. 14 საათი

**დინამო თბილისი — ლოკომოტივი თბილისი 2:1**

თბილისი. "ეროვნული". 300 მაყურებელი

0:1 ცქიტიშვილი (60), 1:1 ვაწაძე (76), 2:1 სპასოევიჩი (77)

დინამო: ოვონო, მ. კაშია, გ. კაშია, კრმკო, თომაშვილი, ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე, გველესიანი (სპასოევიჩი 62), ვაწაძე (ჯიუსი 81), გ. მერებაშვილი

სათადარიგონი: ლორია; მინდორაშვილი, ინწკირველი, ელიავა, ნ. ჯიშკარიანი

მწვრთნელი: რაინერ ცობელი

ლოკომოტივი: ლომაია, ბებუა, გუშარაშვილი, ფარულავა, ხარალიძე, დ. ფოფხაძე, კ. მახარაძე (სამხარაძე 57; ჩირიკაშვილი 81), დიაკონიშვილი, ცქიტიშვილი, დ. ჩაგელიშვილი (კახელიშვილი 46), ალექსიძე

სათადარიგონი: ბათიაშვილი; ზ. ჩხეტიანი, დ. ჩაგელიშვილი, ი. გილაური

მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

გაფრთხილება: ცქიტიშვილი (40)

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ი. უკლება, ვ. გუმბერიძე

7 დეკემბერი. 14 საათი

**მესხეთი ახალციხე — სკ ზესტაფონი 0:0**

ბორჯომი. "ჯემალ ზეინკლიშვილი". 800 მაყურებელი

მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი, გ. კვახაძე, მემარნიშვილი, ლეკიშვილი, შ. გრიგალაშვილი, ქოჩორაშვილი, ლ. ახალაია (მ. თაყაძე 17), სამადაშვილი (გაგუა 90), ლ. თედიაშვილი, დ. ინასარიძე (სუდაძე 78)

სათადარიგონი: ძამუნაშვილი, კობესაშვილი, მურმანიშვილი, ლ. მერებაშვილი

მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, მაკარიანი (სუხიაშვილი 78), ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, რ. ონიანი, გ. ხიდეშელი (სტეფანიშვილი 56), ძარია, შ. ლონღაძე, გ. ქელიძე (იონანიძე 63), ბენაშვილი, გელაშვილი

სათადარიგონი: ძაძამია, ნ. კვასხვაძე, ფრიდოლინი

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: მემარნიშვილი, ლეკიშვილი, ლ. თედიაშვილი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, დ. კურტანიძე, ზ. ბერულავა, ხ. გაგნიძე

6 დეკემბერი. 14 საათი

**სიონი ბოლნისი — სკ ბორჯომი 2:1**

ბოლნისი. "თამაზ სტეფანია". 300 მაყურებელი

1:0 ქემოკლიძე (23), 2:0 კოშკაძე (60), 2:1 კიკნაძე (82)

სიონი: ქვაჩახია, კაკაშვილი, ხუბუა, დიდავა, ქემოკლიძე, მაჩვულიძე, ლ. სანიკიძე, კოშკაძე (ლ. ბაჯელიძე 81), ზ. ქელიძე, დავითაშვილი (შ. ჯიქია 90), ი. შენგელია (რ. გოცირიძე 68)

სათადარიგონი: გავაშელი, ჩივაძე, ქურასბედიანი, ოქროპირიძე

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

ბორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ვაჩიბერაძე, ლ. ვამაკიძე, ბეჟანიძე (ალავერდაშვილი 70), ი. კიკნაძე, კ. ავალიანი (ნ. ლომიძე 84), ქავთარაძე (გოგიჩაიშვილი 77), ი. ლომიძე, ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი

სათადარიგო: ნ. დევიძე

მწვრთნელი: გიორგი სუხიაშვილი

გაფრთხილება: კიკნაძე

მსაჯი: ლ. სილაგავა, შ. ქუხილავა, დ. სანოძე, ზვ. ასკაროლლი

7 დეკემბერი. 14 საათი

**ვიტ ჯორჯია თბილისი — სპარტაკი ცხინვალი 2:0**

გორი. "თენგიზ ბურჯანაძე". 100 მაყურებელი

1:0 ხაჭიპერაძე (36ს.კ.), 2:0 ბერიაშვილი (88)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, ხურცილავა, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი (ბეჟვაია 64), კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ვ. კვარაცხელია (გ. ბერიაშვილი 69), ლიპარტია (ყველაშვილი 90)

სათადარიგონი: ა. მიქაბერიძე, კვალიძიძე, გ. ჯანელიძე, ზაქრაძე

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

სპარტაკი: გ. იაშვილი, ვ. ქორიძე, ბ. ხაჭიპერაძე, ი. კობახიძე, ნ. გოგოხია, მალამბერიძე, თ. შონია (თექთუმანიძე 88), ნ. მაისურაძე, მ. ლონღაძე, ლ. დათუნაშვილი (ბ. გოცირიძე 81), გ. გაბელაია (ოსეფაშვილი 87)

სათადარიგო: ქვილითაია

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

გაფრთხილება: კლიმიაშვილი (44), მაისურაძე (10), დათუნაშვილი (22), იაშვილი (76)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, კ. გაბრიაძე, ზ. ერქვანია, კ. ჭაჭუა

6 დეკემბერი. 14 საათი

**მგლები ზუგდიდი — სკ ბაბია 1:0**

ზუგდიდი. "გულია თუთბერიძე". 500 მაყურებელი

1:0 რეხვიაშვილი (51)

მგლები: მამალაძე, ჭითანავა, აქუბარდია (დარსანია 54), ხუხია, რეხვიაშვილი, ა. ბაჯელიძე, გრიგორევიჩი, გულორდავა, ლომია, მიქაბერიძე (ქუცურუა 81), ომელიანოვი (ხურციძე 89)

სათადარიგონი: ქალდანი, კ. ჯიშკარიანი, კ. გოგოხია, ქოხონელიძე

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

ბაბრა: თევდორაძე, გაბუნია, გიგაური, ძაგანია (მოსიაშვილი 84), ლალიანი, ტყემელაშვილი, ჩარგეიშვილი (მეტრეველი 78), მგელაძე, გაბედავა, შარიქაძე, ზ. დათუნაშვილი (კორიფაძე 58)

სათადარიგონი: კოტრიკაძე, ხოკერაშვილი, ოქრიაშვილი

მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

მსაჯი: გ. ვადაჭკორია, კ. ტეფნაძე, ო. მოლოდინაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 8 | ვაწაძე | დინამო |
| 7 | კიკნაძე | ბორჯომი |
| 6 | გელაშვილი | ზესტაფონი |
| | სპასოევიჩი | დინამო |
| | გ. ოდიშუა | მგლები |
| | სამადაშვილი | მესხეთი |
| | ალექსიძე | ლოკომოტივი |
| 5 | გაბედავა | გაგრა |
| | კოშკაძე | სიონი |
| | ოდიკაძე | დინამო |
| | გ. მერებაშვილი | დინამო |
| | ვ. კვარაცხელია | ვიტ ჯორჯია |

**XV ტური**

13 დეკემბერი. შაბათი
გაგრა – ბორჯომი
სპარტაკი – მგლები
ოლიმპი – დინამო

14 დეკემბერი. კვირა
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
მესხეთი – სიონი

ზესტაფონი ისვენებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვირის ქრონიკა

### ონიანის თითი საშიში არ არის

**რუსთავის** „ოლიმპის“ მცველი გიორგი ონიანი ბოლნისის „სიონთან“ მოტეხილ თითს მკურნალობს, თუმცა ვარჯიში არ შეუწყვეტია და სათამაშოდაც მზად არის.

ონიანს მეტოქის ქაცვი მოხვდა ხელში და სურათის გადაღების შემდეგ თითის მოტეხილობა დაუდგინდა. გიორგის თითი თაბაშირში აქვს, თუმცა დიდი ხნით უქმობა სულაც არ მოუწევს.

### პროფლიგის საჩუქარი

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგამ 3 დეკემბერს გამართულ სუპერთასზე აგვისტოს საომარი მოვლენებისას დაზარალებული დევნილები დაპატიჟა.

პროფლიგის წარმომადგენლები თავად ესტუმრნენ დევნილებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოფილ შენობაში და ბილეთები დაურიგეს.

### გაგრას სახოკია და ვებგვერდი

**ექს-ვიტჯორჯიელი** ზაზა სახოკია სომხეთიდან საქართველოში დაბრუნდა. „მიკაში“ მან ნახევარი სეზონი გაატარა, 18 მატჩში 3 გოლი გაიტანა და 2 ყვითელი ბარათი მიიღო.

სახოკია „ვიტ ჯორჯიაში“ არ დაბრუნებულა — ვლადიმერ ხაჩიძის გაწვრთნილ „გაგრას“ მიაშურა და ეს მართლაც კარგი შენაძენია ახალგაზრდული გუნდისთვის.

24 წლის ფორვარდი „გაგრაში“ სეზონის ბოლომდე ითამაშებს.

და სასიამოვნო სიახლეც: „გაგრამ“ ოფიციალური ვებგვერდი შექმნა: www.fcgagra.ge

### იონა ისევ გაიტანს!

**„ზესტაფონმა“** ზურაბ იონანიძეს კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გაუგრძელა. „იონას“, რომელსაც 2 დეკემბერს 37 წელი შეუსრულდა, წინა ხელშეკრულება 4 დეკემბერს დაუმთავრდა.

იონანიძე ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც საქართველოს პირველ და მიმდინარე ჩემპიონატშიც უთამაშია — მას 400-ზე მეტ მატჩში 211 გოლი აქვს გატანილი.

### ოდიკაძის ეტო-შანსი

**თბილისის** „დინამოს“ კაპიტანი დავით ოდიკაძე ზამთარში, სავარაუდოდ, უცხოურ კლუბში გადავა. „ოდოს“ „დინამოსთან“ წლის ბოლოს უმთავრდება კონტრაქტი და მისი გადაბირების მსურველი ორი კლუბიც გაირკვა: უნგრული „დიორ ეტო“ და უკრაინული ზაპოროჟიეს „მეტალურგი“.

როგორც შევიტყვეთ, უფრო რეალური „დიორ ეტოს“ ვარიანტი ყოფილა. ეს კლუბი „ზესტაფონის“ მეტოქე იყო წლევანდელი უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე — მადიარებმა ფეროელებს ორი მატჩის ჯამში 3:2 სძლიეს.

### მჟავანაძე ტრანსფერზე

**კახა მჟავანაძეს** ოდესის „ჩერნომორეცი“ გაყიდის. ეს გადაწყვეტილება კლუბმა უკვე მიიღო და დღე-დღეზე ჩვენიანს ტრანსფერზეც დააყენებენ.

მჟავანაძემ გასული სეზონი უკრაინის ქვედალიგელ „დნესტრში“ გაატარა, იქ იჯარით იყო და ისევ „ჩერნომორეცში“ დაბრუნდა, პირველ წრეში შეუცვლელად ითამაშა კიდეც, თუმცა...

### ანჟი ქართველებს არ ეშვება

**მახაჩყალის** „ანჟის“ მწვრთნელ ომარ თეთრაძეს არაერთხელ უთქვამს, გუნდში ბევრი ქართველი მაინცდამაინც არ მინდაო, მაგრამ სიტყვა ერთია, საქმე კი მეორე — „ანჟიში“ კიდევ ორი ქართველი გადავიდა: ოთარ მარცვალაძემ და კახა ალადაშვილმა კიევის „დინამოდან“ დაღესტანს მიაშურეს.

როგორც შევიტყვეთ, კონტრაქტი ორივესთან გაფორმებულია.

„ანჟიში“ ექს-კიევურ დუეტს მიხეილ აშვეთია, ვალერი აბრამიძე, გოჩა ხოჯავა, ზურაბ არზიანი, გიორგი ნავალოვსკი, რევაზ ჯიქია, რევაზ ბარაბაძე და ედიკ საჯაია დახვდებიან. ისე კი, შესაძლოა, ჩამოთვლილი ქართველებიდან ყველა სულაც არ დარჩეს „ანჟიში“.

მარცვალაძეს და ალადაშვილს უკრაინაში ვერა და ვერ აეწყოთ კარიერა: ბოლოს ორივე მათგანი კიევის „დინამოს“ დუბლებში იყო, მანამდე კი შედარებით სუსტ უკრაინულ კლუბებში ანათხოვრებდნენ.

### შერიფის ქართველი მეგოლეები

**ტირასპოლის** „შერიფის“ ოფიციალურმა ვებგვერდმა კლუბის ათწლიან ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირთა ათეული გამოაქვეყნა და მასში ორი ქართველი მოხვდა — ვაჟა თარხნიშვილი და დავით მუჯირი.

1999-2001 წლებში მუჯირმა 33 გოლი შეაგდო და მე-7 ადგილზეა, თარხნიშვილმა კი 1999 წლიდან დღემდე 26 გოლი მიითვალა და მეათეა.



# მეკარის პრობლემა თქვენი ბრალიცაა!

## ლომაიას იტალიური შტურმი ახსოვს და ავსტრიული შტურმი აინტერესებს

**ნაგებული მატჩის შემდეგ ჯოხის ერთ ფეხბურთელზე გადატეხვა არცთუ ლამაზია, თუმც გააჩნია, კონკრეტულად რომელ მომენტში, რა შინაარსის მატჩში და როგორ დაგალალატებს ფეხბურთელი. ამ შემთხვევაში მეკარეზე ვსაუბრობთ — გიორგი ლომაიაზე. საბედნიეროდ, ბოლო სანაკრებო მატჩებში თბილისის „ლოკომოტივის“ გოლკიპერი კარგად თამაშობს, თუმცა ადრე ხშირად ყოფილა, უხეში შეცდომები დაუშვია და ამას არც გიორგი უარყოფს.**

**...მაგრამ ლომაიას ვერ დავეთანხმებით ამ სიტყვებში, რაც ინტერვიუში გვითხრა: „ნაკრებში არსებული მეკარის პრობლემა თქვენი ბრალიც იყო. ნაგების მერე ჯოხს მეკარეზე ტეხავდით“... ისე, მაინც კარგია, რომ ადამიანი თავის გულისტკივილს და წყენას ხმამაღლა ამბობს. ლომაიასთან ინტერვიუ მისი გრაცის „შტურმში“ შესაძლო გადასვლაზე საუბრით დავიწყეთ...**

**— რამდენად რეალურია „შტურმის“ ვარიანტი?**

— ჯერ მხოლოდ ჭორის დონეზე ვიცი. მეც სხვებისგან გავიგე „შტურმის“ მხრიდან დაინტერესებაზე.

**— კერძოდ, ვისგან გაიგე?**

— „შტურმში“ ხომ ილია კანდელაკი და გიორგი შაშიაშვილი თამაშობენ. მათგან შევიტყვე, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობიდან პირადად არავინ დამკავშირებია.

**— კიდევ სხვა უცხოურ კლუბზე ხომ არ არის ლაპარაკი?**

— კონკრეტული არაფერი. ჩემი მენეჯერები მუშაობენ და ვნახოთ, რა გამოვა...

**— როგორ ფიქრობ, ხარ ისეთ ფორმაში, მაღალი დონის ევროპულ გუნდში სტაბილურად რომ ითამაშო?**

— ეს პირველ რიგში ჩემზეა დამოკიდებული, მაგრამ სხვა ფაქტორებიც არსებობს: როგორი თვალით გიყურებს მწვრთნელი. ნდობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ფეხბურთი, ისევე როგორც მთლიანად ადამიანის ცხოვრება, ნდობაზეა აწყობილი. რკინა უნდა იყო, შეცდომებზე ჩასაფრებულ ადამიანებს რომ გაუძლო.

**— ასეთი შემთხვევა ბევრი გქონია?**

— მქონია, თუმც ახლა არ ღირს ამაზე ლაპარაკი. რაც იყო, იყო.

**— კვიპროსთან, ბულგარეთთან და რუმინეთთან სანაკრებო მატჩებში კარგად ითამაშე და ქართულ ფეხბურთში მეკარის პრობლემაზე საუბარმაც იკლო...**

— მეკარის პრობლემა რომ იყო, ეს თქვენი, ჟურნალისტების ბრალიცაა. მეკარის ფსიქოლოგიურად მოშლას ხელს უწყობდით...

**— კი მაგრამ, ცუდად რომ ითამაშებს მეკარე, არ უნდა დავწეროთ? ასე უფრო უკეთესია?**

— ეგ არა, მაგრამ ჯოხის მარტო მეკარეზე გადატეხვა არ შეიძლება. რა ხდებოდა შარშან იტალიასთან გასვლითი თამაშის შემდეგ — რაღა არ დაიწერა...

**— მარტო მეკარისთვის არც დაგვიბრალებია წაგება, მაგრამ ისეც ვთქვათ, რომ კლაუს ტოპმიოლერმა სწორედ იტალიასთან თამაშის შემდეგ გაგიშვა ნაკრებიდან...**

— ეს უკვე მეორე საკითხია. რამდენად სწორად მოიქცა ის, ყველამ იცის.

**— ნაკრების თემა გავაგრძელოთ: ყველაზე მეტად რა შეიცვალა ექტორ რაულ კუპერის გამწვრთნელების შემდეგ?**

— ყველაზე თვალსაჩინოდ, დისციპლინა. ასევე კარგია, რომ კუპერი საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ესწრება და ყურადღებას არ აკლებს.

**— ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელი ამას ამბობს, კუპერის მოსვლისთანავე დისციპლინა შეიცვალაო. ტოპმიოლერი არ აქცევდა ამას ყურადღებას?**

— ტოპმიოლერზე რა გითხრათ, მაგრამ კუპერმა სათამაშო დისციპლინის გარდა, სხვა მხრივაც შემოიტანა სიახლე: კვიპროსთან თამაშის შემდეგ სახლებში არ გაგვიშვა ფეხბურთელები, რადგან ოთხ დღეში ბულგარეთთან მატჩი გველოდა. ადრე ასე არ ხდებოდა, სახლებში წასვლა არავის აუკრძალავს. კვიპროსთან ნამატჩევსაც დაგვიტოვა და მხოლოდ მეორე დღეს გაგვიშვა დილიდან საღამომდე, რადგან ღამე უფრო მეტი შანსია, ფეხბურთელი სხვანაირად გაერთოს, ამიტომ „ჩაგვკეტა“. მართალია, ოჯახები გვენატრებოდა, მაგრამ პრინციპში სწორი იყო, რაც კუპერმა გააკეთა.

**— კუპერის ხელში ნაკრების თამაშში პლუსები შეინიშნება, თუმც მაინც შედეგი არ ჩანს. როგორ ფიქრობ, მომავალ წელს უკეთესობა იქნება?**

— ვფიქრობ, შედეგი მოვა. ძალიან კარგი მწვრთნელი გვყავს, მაგრამ მინდორზე ის ვერ გავა — ფეხბურთელებმა მაქსიმუმი უნდა გავიღოთ თამაშებში.

**— ახლა „ლოკომოტივზეც“: შეძლებთ ჩემპიონობისთვის ბრძოლას?**

— ბოლო წაგებების მერე ბევრმა ჩამოგვწერა, მაგრამ ვფიქრობ, ჯერ ნაადრევია. ჩავარდნა გვქონდა, თუმც ასევე იყო „დინამოც“, რომელმაც საწყის ტურებში ზედიზედ წააგო თამაშები. ყველაზე სტაბილურად „ვიტ ჯორჯია“ გამოიყურება, „დინამოც“ შევიდა ფორმაში, მაგრამ „ლოკომოტივი“ ისევ წაიწევს წინ.

**— ბოლნისის „სიონთან“ თბილისში ზედიზედ ორჯერ წააგეთ და ერთ კვირაში ბოლნისში სძლიეთ. ცოტა უცნაურია...**

— ძალიან მოვინდომეთ და ეგ იყო. წესით, ბოლნისში მოგებამ და თასის ნახევარფინალში გასვლამ თავდაჯერება უნდა შემატოს გუნდს. წლევანდელი სეზონი მომწონს იმ მხრივ, რომ სამ ქულას იოლად ვერავისთან ჩაიჯიბავ. ვერ ვიტყვი, რომ დონემ მოიმატა, მაგრამ დაძაბულობა კარგია — ვინ ვის მოუგებს, ვერ გაიგებ. ოღონდ, მსაჯებს ვერ გავუგე ვერაფერი, ძალიან ცუდად მსაჯობენ, საშინელებაა...

**— კონკრეტულად რომელ მატჩებზე ამბობ?**

— საკმაოდ ბევრ მატჩში ვიგრძენით მსაჯებისგან ზეწოლა, მაგრამ კონკრეტულად ერთს ვიტყვი: აგერ, ბოლნისში 3:1 მოვიგეთ, მაგრამ საშინელი მსაჯობა იყო. ამას მარტო მე კი არა, ყველა გეტყვით.

**— ცუდი მსაჯობა ორნაირად შეიძლება გავიგოთ: შეცდომებს ხედავთ თუ მიკერძოებას?**

— ძნელი გასარჩევია. ალბათ ორივეს ერთად. ასე გაგრძელება არ შეიძლება.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს სუპერთასი 2008



ნუგზარ სუხიაშვილის ფოტოები

# დინამოს ხმალი და ზესტაფონის კისერი

3 დეკემბერი. 14:30

**დინამო თბილისი – სპ ზესტაფონი 1:0**

თბილისი. "მიხეილ მესხი". 4 500 მაყურებელი

1:0 ხმალაძე (90)

დინამო: ოვონო, თომაშვილი, გ. კაშია, კრმკო, ხმალაძე, ოდიკაძე (შ. კაშია 76), ფირცხალავა, დილმელაშვილი, გველესიანი, ვანაძე, გ. მერებაშვილი (სპასოევიჩი 76)

სათადარიგონი: ლორია; ინწკირველი, ნ. ჯიშკარიანი, ჯიუსი, ქანთარია

მწვრთნელი: რაინერ ცობელი

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, უ. ლობჟანიძე, შ. ლონღაძე (დაუშვილი 88), ს. თოდუა, მაკარიანი, რ. ონიანი, გ. ქელიძე, ჩასეში, ნ. კვასხვაძე (იონანიძე 46), ბენაშვილი, გელაშვილი (ძარია 62)

სათადარიგონი: ძაძამია, ფრიდოლინი, სტეფანიშვილი, გ. ხიდეშელი

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: ვანაძე (20), გ. კაშია (67), ფირცხალავა (81)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, გ. დოგრაშვილი

**ქუდბედიანი** ბიჭი ყოფილა ლევან ხმალაძე — ამასწინათ არ იყო, „ზესტაფონს“ სათასო მეოთხედფინალის დამატებითი დროის ბოლო წუთზე რომ გაუტანა გადამწყვეტი გოლი? სუპერთასზეც იგივე გაიმეორა, ოღონდ „ზედმეტი“ 30 წუთის სათამაშოდ აღარ დაქანცა არც თავისიანები და არც მეტოქე, 90-ეზე თავით შეაგდო იმავ „ზესტაფონის“ კარში...

საყრდენი ნახევარმცველი ხმალაძე, რომელსაც „დინამოს“ თავკაცი რაინერ ცობელი ბოლო მატჩებში მარცხენა მცველად ათამაშებს, გოლუხვობით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ იმერული კლუბის „სერიული მკვლელის“ როლი კი შეითავსა.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ამ გუნდების წლევანდელ საჩემპიონატო მატჩშიც გამოირჩა ეს ფეხბურთელი... მაშინ გააძევეს. ეტყობა, იმ წითელმა ბარათმა ისე იმოქმედა, როგორც ხარზე წითელმა ფერმა...

და ერთიც: ხმალაძე გია გეგუჩაძის ძველი შეგირდია. სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაწინაურდა ის „დინამოს“ მთავარ გუნდში. ახლა კი, როცა გეგუჩაძე „ზესტაფონში“ დაინიშნა, ბედის ირონიით, პირველივე მატჩში ხმალაძემ დაამარცხა...

მოკლედ, ყველა დამატებით დროს ელოდა, როცა „დინამოს“ სასარგებლოდ ჯარიმა დაინიშნა — დავით დილმელაშვილმა რბილად ჩააწოდა, მათე ვაწაძე და ლევან ხმალაძე ფეროელთა მცველების ზურგსუკან აღმოჩნდნენ, საბოლოო თავური კი ლევანისა იყო — 1:0.

...მაგრამ როგორ აღმოჩნდა ორი დინამოელი მეტოქეთა ზურგსუკან? „ზესტაფონის“ ლამის ყველა ფეხბურთელმა მსაჯს და გვერდით მსაჯს ალყა შემოარტყა, თვალები სად გქონდათო. თემიდელებზე ზეწოლა ორ-სამ წუთს გაგრძელდა, მერე კი ყველანი გასახდელისკენ წავიდნენ, მაგრამ კითხვა დარჩა — იყო თამაშგარე?

სტადიონზევე, სახელდახელოდ კომპიუტერში ვნახეთ გოლის ეპიზოდი, თუმცა არაოპტიმალური რაკურსით და დაზუსტებით ვერაფრის თქმა შევძელით. მოკლედ, საეჭვო მომენტი იყო.

პრესკონფერენციაზე „ზესტაფონის“ ახალმა თავკაცმა გია გეგუჩაძემ უმეტესობა ქართველ კოლეგებს არ მიბაძა და მსაჯი არ გათახა: „მე არ გავაკეთებ კომენტარს. შეგიძლიათ, ეს მომენტი კიდევ ნახოთ. ბიჭებს გასახდელში ვაწყნარებდი, მათ ვუთხარი, შეცდომების ალბათობა ყოველთვის არსებობს ასეთ სიტუაციაში, ამიტომ მაინცდამაინც ერთ ეპიზოდს კი არ უნდა გამოვეკიდოთ, მეტოქეს ერთი თავით უნდა ვაჯობოთ-მეთქი. ეს უფრო მისაღები მგონია“.

ცობელმა კი გოლის მომენტი ასე ახსნა: „სადაც მე ვიდექი, იქიდან ძნელია გარჩევა, იყო თუ არა თამაშგარე. ჩვენ ვარჯიშებზე ვამუშავებთ ამგვარ სტანდარტულებს და თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვარჯიშებზე ვაკეთებთ, თამაშგარე არ იქნებოდა. მაგრამ ვიმეორებ, ამაზე თავს ვერ დავდებ“...

გოლზე ვთქვით და, სხვა? სხვა ის, რომ „გლადიატორული“ თამაში იყო — ბრძოლა თითოეული გოჯისთვის, მაქსიმალური სიფრთხილე დაცვაში... პირველ ტაიმში ნახევრად საგოლე მომენტიც კი არ შექმნილა.

თავიდან „დინამო“ უფრო აქტიურობდა, მაგრამ ფეროელები ნელნელა დალაგდნენ და შესვენების შემდეგ ერთხანს „პირველ ნომრადაც“ ათამაშდნენ.

ორჯერ შეწუხდა დინამოელთა დაცვა: ჯერ ზურაბ იონანიძემ ახლოდან ააცილა მაკრატელა, მერე კი ნიკა გელაშვილმა თავური ვერ დაუმიზნა კარს. აქეთ კი მათე ვაწაძის აცილებულს და ილია სპასოევიჩის ხარიხასშეწყვეტილ ბურთს გამოვარჩევთ — ჩერნოგორიელმა მინდორზე ფეხის შედგმისთანავე მოულოდნელად გაისროლა და სანტიმეტრები დააკლდა გოლამდე.

გახსოვთ, გეგუჩაძის „დინამოში“ მწვრთნელობის პერიოდი? რამდენი ახალგაზრდა დააწინაურა და ენდო, აკი, თითქმის ყველამ გაუმართლა კიდეც. სუპერთასზეც მოამზადა გეგუჩაძემ სიურპრიზი — მარცხენა მცველად კარენ მაკარიანი დააყენა და ნამატჩევს თქვა კიდეც, ეს ბიჭი „ზესტაფონი 2“-ში გამოირჩეოდა, ვუყურე, დავაკვირდი და ვენდე, მისი თამაშით დღეს უკმაყოფილო არ ვარო...

...მაგრამ გეგუჩაძეს იღბალი დააკლდა: თითქმის ოთხწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა მწვრთნელობას და პირველივე თამაში (შესაბამისად, ტიტულიც) წააგო.

„დინამომ“ მეხუთედ მოიგო სუპერთასი და ხუთივეჯერ სხვადასხვა მწვრთნელით: ნოდარ აკობიას, ცხონებული დავით ყიფიანის, ოთარ კორღალიძისა და კახა ცხადაძის შემდეგ ცობელის ჯერიც დადგა.

ასე ჩაიარა მერვე სუპერთასმა: თითქოს ნელტემპიანი, მწირმომენტიანი, მაგრამ შფოთიანი ფინალი...





ნუგზარ სუხიაშვილის ფოტოები

**ილია ნანობაშვილი**



თბილისის „დინამომ“ „ზესტაფონს“ სუპერთასი მოუგო. ერთადერთი გოლი ძირითადი დროის ბოლო წუთზე ლევან ხმალაძემ გაიტანა. მანამდე ეს გუნდები საქართველოს თასის მეოთხედფინალში დაუპირისპირდნენ და დამატებითი ტაიმის ბოლო წუთზე მსგავსი გოლი გაიტანა ხმალაძემ და „დინამო“ ნახევარფინალში გაიყვანა...

# რა ღირს ხმალაძის გოლები?

— ძალიან გახარებული ვარ. ბევრი მომენტი არ შექმნილა, თუმცა ცუდი თამაში ნაღდად არ იყო.

— ბედნიერი იქნები: მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანე...

— რა თქმა უნდა, თუმცა გამარჯვება მთელი გუნდის დამსახურებაა. ბიჭებმა თავი დადეს და ეს დაგვიფასდა.

— საქართველოს თასის მეოთხედფინალში იმავ „ზესტაფონს“ თითქმის ასეთივე გოლი გაუტანე დამატებითი დროის ბოლო წუთზე...

— გოლები მართლა ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, თანაც ორივე ძალიან ფასეული იყო.

— ბოლო დროს უჩვეულო პოზიციაზე, მარცხენა მცველად ითამაშე. ალბათ, ეს ზაალ ელიავას ტრავმამ გამოიწვია...

— ასეა. ისე, როცა გია გეგუჩაძე იყო „დინამოს“ მწვრთნელი, მაშინაც ვთამაშობდი მარცხენა მცველად. მე საყრდენობა მირჩევნია, მაგრამ სადაც დამავალებს მწვრთნელი, იქ ვითამაშებ.

— სხვათა შორის, „ზესტაფონთან“ საჩემპიონატო მატჩში მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გაგაძევეს...

— ეს აბსურდული გაძევება იყო. არავისთვის შემიგინია და გასაკვირია, ასეთი რამ არბიტრმა საიდან მოიგონა.

— ჩემპიონატშიც ნორმალურად მიდიხართ და თასის ნახევარფინალშიც ხართ. „დინამოს“ მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევ?

— თასის მოგების შანსი ოთხივე გუნდს თანაბარი გვაქვს, ჩემპიონატში კი „ვიტ ჯორჯიაა“ ყველაზე სტაბილური გუნდი, თუმც არც სხვების ჩამოწერა შეიძლება.

— საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი რეგულარულად გიწვევს...

— მის მიმართ მადლობის მეტი რა მეთქმის. ძალიან სასიამოვნოა, რომ ასეთი დიდი სპეციალისტის ყურადღებას ვიმსახურებ. მინდა, ეროვნულ გუნდში დავმკვიდრდე და მწვრთნელის იმედები გავამართლო.

**ნუკრი ლოლაძე**

# როცა ამკარი იწყებოდა, ზესტაფონი დაწყებული იყო



გია გეგუჩაძე „ზესტაფონის“ მთავარ მწვრთნელად სულ ათი დღის დანიშნულია — თითქმის ოთხწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა პროფესიას. ამ ოთხი წლის წინ კი გახსოვთ? მისი თბილისის „დინამო“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა — ეგებ, დღეს ზღაპარივით მოჩანს ევროთასებზე სამი ეტაპის გავლა, მაგრამ გეგუჩაძე დღესაც იმედიანადაა...

— გაცდენილად არ თვლით ამ პერიოდს? მწვრთნელისთვის ოთხწლიანი პაუზა დიდია...

— ამდენი ხანი რომ მწვრთნელი არ ვყოფილვარ, ეს ცუდია. მართალია, სალიცენზიო კურსები გავიარე და ბევრი შევიძინე, მაგრამ ეს ხომ კლუბში მუშაობის დროსაც შესაძლებელია.

— იყო ლაპარაკი, შეიძლება, გეგუჩაძე ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად დაინიშნოსო...

— ამ წინადადებით არავის მოუმართავს. მხოლოდ პრესიდან ვიცოდი, რომ ჩემი კანდიდატურა განიხილებოდა.

— რამ გადაგაწყვეტინათ „ზესტაფონში“ მისვლა?

— ჩვეულებრივი ამბავია: მწვრთნელი ვარ, სამუშაო შემომთავაზეს, შეთანხმება მოხდა. უამბიციო კლუბში ნამდვილად არ მივსულვარ.

— „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობამ რა მიზანი დაგისახათ?

— სამწუხაროდ, თასისთვის ბრძოლას ჩამოვცილდით. ჩემპიონობა კი, ვფიქრობ, ნამდვილად არ არის არარეალური.

— „დინამოში“ ბევრი ახალგაზრდა დააწინაურეთ. მართალია, „ზესტაფონი“ ისედაც ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ კიდევ ხომ არ აპირებთ ვინმეს შემატებას?

— რთული საკითხია, წინასწარ თქმა გამიჭირდება. ახლა გუნდს ვეცნობი, „ზესტაფონის“ ფეხბურთელთა არა მარტო შესაძლებლობებს, მათ ხასიათს ვსწავლობ, ეს არაა უბრალო პროცესი.

— „დინამოსთან“ სუპერთასის მატჩში კარენ მაკარიანი პირველად გამოჩნდა „ზესტაფონის“ ძირითად გუნდში. ასეთ სიურპრიზებს კიდევ ველოდოთ?

— მაკარიანი „ზესტაფონის“ მეორე გუნდში გამოვარჩიე, ფირზეც ვნახე მისი თამაშები, ვარჯიშებსაც დავესწარი... ახალი სიურპრიზები? ვნახოთ, ეს თვითონ ახალგაზრდებზეა დამოკიდებული, უნდა დაიმსახურონ.

— წლევანდელი ჩემპიონატი თუ მოგწონთ?

— დაძაბულობა უკვე კარგის მანიშნებელია. ის ფაქტი, რომ ჩემპიონობისთვის ხუთი გუნდი იბრძვის და გამოკვეთილი ფავორიტი არ ჩანს, ცოტას არ ნიშნავს. დაძაბულობას ხარისხის ამაღლებაც მოაქვს.

— რამდენიმე მწვრთნელისგან გაგვიგია, საქართველოს ჩემპიონატში ფეხბურთელები მცირედით კმაყოფილდებიან, არ აქვთ იმის ჟინი-ამბიცია, მაღალ დონეს მიაღწიონო. რას იტყვით?

— ესეც ხასიათის თავისებურებაა. ზოგი მცირედით კმაყოფილდება, ზოგს საფუძვლიანი და ზოგსაც უსაფუძვლო პრეტენზიები აქვს. როდესაც ფეხბურთელი მიღწეულით კმაყოფილდება, მისი ზრდის პროცესი იქ ჩერდება — ეს ცუდია.

— ოთხი წლის წინ თქვენმა გაწვრთნილმა „დინამომ“ უეფას თასზე სამი ეტაპი გადალახა და ჯგუფში შევიდა. „ზესტაფონს“ თუ შეუძლია, რომ მაინცდამაინც სამ ეტაპს თუ ვერ გადალახავს, ნორმალურ ევროპულ კლუბებს კონკურენცია გაუწიოს?

— შეუძლია. ამის ნიშნები რომ არ არსებობდეს, „ზესტაფონში“ არ მოვიდოდი. ევროთასებზე თამაში უფრო ფსიქოლოგიურ სფეროს მიეკუთვნება და ამაზე უნდა ვიმუშაოთ. ფეხბურთელი ფსიქოლოგიურად ერთ დღეში ვერ მოემზადება.

— მართალია, რომ პერმის „ამკარიდან“ გქონდათ შემოთავაზება?

— დიახ. „ამკარის“ ხელმძღვანელობას არ მოუმართავს, მაგრამ მათთან მომუშავე აგენტმა მითხრა, შენი კანდიდატურა განიხილებაო. როცა უფრო მჭიდრო მოლაპარაკებები შეიძლებოდა დაწყებულიყო, „ზესტაფონთან“ კონტრაქტზე უკვე ხელი მქონდა მოწერილი.

— სანაკრებო თემაზეც: ექტორ რაულ კუპერს როდესმე შეხვედრიხართ და გილაპარაკიათ?

— არა.

— რამდენად მისაღებად მიგაჩნიათ, რომ საქართველოს ნაკრებში მატჩიდან მატჩამდე იზრდება აქ მოთამაშე ფეხბურთელთა რიცხვი?

— აბსოლუტურად მისაღებია. ფეხბურთელებს მოტივაცია უჩნდებათ; კონკურენცია იზრდება; ნამდვილად ვფიქრობ, რომ აქ მოიძებნებიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც ნაკრებში თამაში შეუძლიათ, ამით კი გაცილებით უკეთეს საკლუბო კარიერას გაიკეთებენ მათ დაწინაურება სჭირდებათ; დღეს იბადება ახალი ნაკრები და შედეგზე ჯერ არ უნდა ვიფიქროთ.

— ახალი ნაკრების ჩამოყალიბების პროცესი და შედეგი ერთმანეთს ხელს უშლის?

— გარკვეულწილად უშლის.

**ილია ნანობაშვილი**

# ყველა სუპერთასი

28 ივლისი, 1996 წელი. ბათუმი. „დინამო“. 6 000 მაყურებელი

**დინამო 4:0 ბათუმი**

1:0 იაშვილი (23), 2:0, 3:0 ყიზილაშვილი (52, 54), 4:0 ცქიტიშვილი (78)
**დინამო:** ზოიძე, კ. კალაძე, ნ. ლობჟანიძე (დიდავა 75), [illegible], ლ. კობიაშვილი, ცქიტიშვილი, გ. კიკნაძე, ყიზილაშვილი, კერძევაძე, ანჩაბაძე (ინალიშვილი 72), ა. იაშვილი (ხომერიკი 71)
მწვრთნელი: დავით ყიფიანი
**ბათუმი:** ტოგონიძე, შანიძე (ი. მახარაძე 71), ა. მუჯირი, ღლონტი, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, დ. მახარაძე (ტრაპაიძე 54), თ. ტულუში, უჯმაჯურიძე, მინდაძე
მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი
გაფრთხილება: კიკნაძე
მსაჯები: ე. სილაგავა; შ. ხანიაშვილი, მ. მალაღურაძე

4 აგვისტო, 1997 წელი. ქუთაისი. „ცენტრალური“. 6 000 მაყურებელი

**დინამო 4:1 ბათუმი**

1:0 დ. მუჯირი (20), 2:0 გოგიჩაიშვილი (27პ), 3:0 კალაძე (55), 3:1 აფხაზავა (75პ), 4:1 ალექსიძე (85)
**დინამო:** ზოიძე, ზ. ჯელაძე (გუჩუა 46), დიდავა, ნ. ლობჟანიძე, კ. გოგიჩაიშვილი (ალექსიძე 64), გ. კიკნაძე, ცქიტიშვილი (გოგობერიშვილი 46), გ. ჩხაიძე (დავითნიძე 88), დ. მუჯირი (ხომერიკი 58), ა. იაშვილი (გ. კვარაცხელია 87)
მწვრთნელი: დავით ყიფიანი
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე (ფუტკარაძე 40), მინდაძე, ჭიჭვეიშვილი, ასპინძელაშვილი, თ. სიჭინავა, მაქაცარია (აფხაზავა 46), ღლონტი, სოლოლაშვილი, კანტიძე, ჩუხუა (ყულეჯიშვილი 46)
მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი
გაფრთხილება: მუჯირი, ჩუხუა, სოლოლაშვილი
გაძევება: სოლოლაშვილი (43)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე

2 აგვისტო, 1998 წელი. ბათუმი. „დინამო“. 5 000 მაყურებელი

**ბათუმი 2:1 დინამო**

1:0 მაჭუტაძე (38), 1:1 ცქიტიშვილი (79), 2:1 ტულუში (81)
**ბათუმი:** ტოგონიძე, გოგიტიძე, მინდაძე (აფხაზავა 44), თ. სიჭინავა, კანტიძე (მაქაცარია 71), ვერემჩუკი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, თ. ტულუში, თ. გადელია (ღლონტი 31)
მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი
**დინამო:** სოლოლაშვილი, ი. მახარაძე, გუჩუა, გ. კვარაცხელია (სახვაძე 62), დ. მუჯირი (ლ. მელქაძე 66), აშვეთია, გ. კიკნაძე, ალექსიძე, ლ. კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ხომერიკი (გ. შენგელია 68)
მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა
გაფრთხილება: კანტიძე, გუჩუა
მსაჯები: თ. ლაცაბიძე; ი. კახიანი, ლ. მიქელაძე

29 თებერვალი, 2000 წელი. თბილისი. „ეროვნული“. 1 500 მაყურებელი

**დინამო 1:0 ტორპედო**

1:0 ნიტაიშვილი (16)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, შაშიაშვილი, ი. ვაშაკიძე, დიდავა, გუჩუა, სახვაძე (თ. რუხაძე 89), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, დათვაძე (ანჩაბაძე 80), ნიტაიშვილი (ხუციშვილი 90), თ. სიჭინავა
მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე
**ტორპედო:** ჭანტურია, იონანიძე, მახვილაძე (მ. ასათიანი 23), ხვადაგიანი, ი. მაღლაკელიძე (ბობოხიძე 76), ახვლედიანი, კვეტენაძე, ამისულაშვილი, იმედაძე (დ. ჯანაშია 65), გ. მეგრელაძე, კ. ჩხეტიანი
მწვრთნელი: დავით ყიფიანი
გაფრთხილება: გუჩუა, სახვაძე, ვაშაკიძე
მსაჯები: კ. მესხი; ა. სამხარაძე, გ. ცირდავა

14 სექტემბერი, 2005 წელი. ბათუმი. „დინამო“. 400 მაყურებელი

**დინამო 1:0 ლოკომოტივი**

1:0 ბობოხიძე (71)
**დინამო:** სტურუა, კ. ალადაშვილი, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, აკობია, ოდიკაძე, ლ. ნოზაძე, გ. მერებაშვილი, ბაბუნაშვილი (ნავალოვსკი 87), ლ. მელქაძე (ს. იაშვილი 58), ბობოხიძე (გიგაური 82)
მწვრთნელი: კახა ცხადაძე
**ლოკომოტივი:** ჭანტურია, საჯაია, მახვილაძე, გ. ონიანი (დ. ფოფხაძე 75), რ. ონიანი, ინომოვი, გ. სეთურიძე, ლ. ქებაძე, სირაძე, კახელიშვილი, რამონი (ალავერდაშვილი 59)
მწვრთნელი: ნოდარ აკობია
გაფრთხილება: ალადაშვილი, ქებაძე, გ. ონიანი, ნოზაძე
გაძევება: იაშვილი (88), გ. ონიანი (90)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ა. სამხარაძე

1 დეკემბერი, 2006 წელი. თბილისი. „მიხეილ მესხი“. 3 500 მაყურებელი

**ამერი 1:0 სიონი**

1:0 დოლიძე (38)
**ამერი:** ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე (დ. მჭედლიშვილი 90), დეკანოსიძე, ბოლქვაძე, გ. ჯელაძე, რ. წინამძღვრიშვილი (სევასტოპულო 85), ტატანაშვილი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე
**სიონი:** ბობლიაშვილი, ჭიჭვეიშვილი, ზ. ჭელიძე, კობაური, რაქვიაშვილი, გ. ოქროპირიძე, ლ. ბაჯელიძე (შავგულიძე 63), ვ. უგრეხელიძე (კვიტაიშვილი 46), ა. ალავიძე, ევოჩე (ქარდავა 80), ჩასემი
მწვრთნელი: კახა ცხადაძე
გაფრთხილება: ქვაჩახია, დიდავა, ბოლქვაძე, რაქვიაშვილი, ოქროპირიძე, ჩასემი
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე

9 დეკემბერი, 2007 წელი. გორი. „თენგიზ ბურჯანაძე“. 5 000 მაყურებელი

**ამერი 4:1 ოლიმპი**

1:0, 2:0, 3:0 დოლიძე (31, 64, 71), 4:0 გოცირიძე (86), 4:1 ყრუაშვილი (90)
**ამერი:** ქვაჩახია, ელბაქიძე, კაკაშვილი, დავითნიძე, დიდავა, ჩიკვილაძე, დეკანოსიძე, გ. ჯელაძე, ბოლქვაძე (მესხი 75), ტატანაშვილი (რ. გოცირიძე 72), დოლიძე (ა. ალავიძე 75)
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე
**ოლიმპი:** მერლანი, დევდარიანი, ორბელაძე, მახვილაძე, ნავალოვსკი (კოშკაძე 62), აკუასაგა, სილაგაძე (ლ. ქებაძე 73), დვალიშვილი (ყრუაშვილი 73), გენაძე, რ. ჯიქია, კახელიშვილი
მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი
გაფრთხილება: ჩიკვილაძე, ორბელაძე, ელბაქიძე, ქვაჩახია, დიდავა, ორბელაძე, კახელიშვილი
გაძევება: ორბელაძე (63)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი

# ნოდარ ახალკაცის როქი: უგულავას ნაცვლად არველაძე და პირიქით



სარბიელის არქივიდან

**გადაწყვეტილია:** სამშაბათს უჩა უგულავა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი აღარ იქნება. ეს ახალი ამბავი არ არის, კარგა ხანია, საუბრობენ, რომ უგულავას ადგილს ამჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე დაიკავებს.

სამშაბათს, 12 საათზე ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართება და უგულავას არველაძით ჩანაცვლებაც ოფიციალურად გახმაურდება.

ეს გადაწყვეტილება პირადად სფფ-ის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს მიუღია.

როგორც გაირკვა, უგულავას ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტს სთავაზობენ.

უჩა უგულავას დავუკავშირდით, მაგრამ აღმასკომის სხდომამდე ამ თემაზე საუბარი არ ისურვა: „ჯერ ვერაფერს გეტყვით. დაველოდოთ სამშაბათს".

კომენტარისგან თავს იკავებს რევაზ არველაძეც.

**ილია ნანობაშვილი**

# ჯაბა მუჯირი ირანელებმა ირანელებთან გაამართლეს

**ჯაბა მუჯირმა** კარგა ხანს ითამაშა ირანულ „სეპაჰანში", ძირითადის ფეხბურთელი იყო, მაგრამ ზაფხულში სიტუაცია აირია — „სეპაჰანის" ახალმა მწვრთნელმა ჩვენიანზე უარი თქვა, იმ დროს კი სატრანსფერო ფანჯარა იხურებოდა და ჯაბამაც ვერსად მოასწრო გადასვლა.

ახლა მუჯირი თავისუფალი აგენტია და „სეპაჰანისგან" კუთვნილი თანხაც მიიღო, მაგრამ ეს თვეების ლოდინად დაუჯდა. ჯაბამ ირანის ფეხბურთის ფედერაციაში იჩივლა და მაშინაც გვითხრა, თუ იქ საჩემოდ არ გადაწყვეტენ საქმეს, ფიფაში ვიჩივლებო.

საფიფაოდ აღარ გახდა საქმე: ირანის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა მუჯირი გაამართლა. მართალია, „სეპაჰანმა" აპელაცია შეიტანა, მაგრამ ამაოდ — მუჯირს კლუბთან კონტრაქტი გაისად ივლისში უმთავრდებოდა და ერთი წლის ხელფასი უნდა აეღო, თუმც შეთანხმების თანახმად; ჩვენიანი კუთვნილის მესამედს მიიღებს, სამაგიეროდ, თავისუფალი აგენტის სტატუსი მოიპოვა.

მუჯირს ირანში კარგი სახელი აქვს და არ არის გამორიცხული, ისევ იქ გააგრძელოს კარიერა, ოღონდ, ცხადია, არა „სეპაჰანში".



**ილია ნანობაშვილი**

# დახასიათება

## კრასნოჟანმა სეზონი ქართულადაც შეაჯამა



**ნალჩიკის** „სპარტაკის" მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა გასრულებული სეზონი შეაფასა და ქართველ ფეხბურთელებსაც შეეხო:

დავით სირაძე — „ზოგადად, ყველა ფორვარდით კმაყოფილი ვარ. სირაძეს და ფელიპეს ადაპტაციისთვის დრო დასჭირდათ. ჯერჯერობით უცნობია, დარჩება თუ არა დავითი ჩვენთან".

ალეკო ამისულაშვილი — „ცენტრალურმა მცველებმა, ჯუდოვიჩმა და ამისულაშვილმა პირველი წრე გაცილებით უკეთ ჩაატარეს. ჩვენი ცენტრალური დაცვა ზაფხულამდე ერთ-ერთი საუკეთესო იყო პრემიერლიგაში".

გოგიტა გოგუა — „სეზონი არ ჩაუგდია, თუმც უფრო ცუდად გამოიყურებოდა, ვიდრე შარშანწინ, როცა ჩვენი გუნდის ლიდერი გახლდათ".

ცნობისთვის, სირაძის ნალჩიკიდან წასვლა თითქმის გადაწყვეტილია. სავარაუდოდ, ჩვენიანი ისევე რუსეთში გააგრძელებს თამაშს.

**ილია ნანობაშვილი**

# დინამომ რეიტინგში აინაცვლა

**მსოფლიო** ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ახალ საკლუბო რეიტინგში ქართული გუნდებიდან კვლავაც თბილისის „დინამოა" ტოპ-350-ში. საქართველოს ჩემპიონმა 280-ედან 248-ე ადგილზე აიწია — უფრო სწორად, 7 გუნდთან ერთად 248-254-ე ადგილებს იყოფს.

რეიტინგის სათავეში კი „ბარსელონაა", რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლივერპული" მისდევენ. ათეულში შევიდა არგენტინული „ესტუდიანტესიც".

ისიც აღსანიშნავია, რომ ტოპ-8-ში ოთხი ინგლისური კლუბია, რაც თავისთავად მათ ჰეგემონიაზე უთითებს...

| | | |
|---|---|---|
| 1(1) | ბარსელონა | 278 |
| 2(3) | მანჩესტერ იუნ. | 263 |
| 3(2) | ლივერპული | 263 |
| 4(6) | ბაიერნი | 260 |
| 5(5) | ბოკა ხუნიორსი | 258 |
| 6(4) | ჩელსი | 250 |
| 7(9) | ლიონი | 237 |
| 8(10) | არსენალი | 234 |
| 9(11) | რომა | 229 |
| 10(14) | ესტუდიანტესი | 226 |
| 248(280) | დინამო | 75 |

ცნობისთვის, ეს რეიტინგი ბოლო ერთი წლის შედეგებით დგინდება.

**ილია ნანობაშვილი**

# ბიზნესლიგა დაიწყო!

**ბიზნესის** ჩემპიონთა ლიგაში, რომელშიც 20 ქართული კომპანია თუ ორგანიზაცია მონაწილეობს, უკვე ოთხი ტური ჩატარდა და ფავორიტებიც გამოიკვეთა. შეგახსენებთ, რომ ჯგუფებიდან ხუთ-ხუთი საუკეთესო გუნდი მეორე ეტაპზე სუპერლიგაში ითამაშებს, დანარჩენები კი უმაღლეს ლიგაში ჩაინაცვლებენ. ტურნირი საქართველოს უნივერსიტეტის დარბაზში ტარდება და მაყურებელიც არ აკლია.

*გია ჯანგავაძე, ტურნირის დირექტორი:* „როგორც ხედავთ, მატჩებს ბლომად მაყურებელი ჰყავს და იმედი გვაქვს, კიდევ მოემატება, თუნდაც იმიტომ ღირს დასწრება, რომ საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელების თამაშის ნახვის საშუალება აქვს".

*ალექსანდრე რეხვიაშვილი, მონაწილე:* „ძალიან სასიამოვნოა, რომ ვეტერან ფეხბურთელებს მეგობრებთან ერთად შეკრებისა და თამაშის საშუალება გვაქვს. ძალიან კარგი წამოწყებაა".

მატჩები შაბათ-კვირას დილის 10 საათიდან იწყება. ოთხი ტურის მერე კი საუკეთესო ბომბარდირები 9-9 გოლით იბერიელი არჩილ არველაძე და სეუ-ელი დავით გოგოლაძე არიან.

**A ჯგუფი**

I ტური
რომპეტროლი — პეპსი გადაიდო
სარბიელი 3:1 ოლ. ვარსკვლავი
სპორტმედია 7:1 სამგორი
დეპარტამენტი — პალიტრა გადაიდო
ვისოლი 2:1 იუ ჯი თი

II ტური
ვისოლი 1:1 პეპსი
იუ ჯი თი 2:5 დეპარტამენტი
პალიტრა 3:1 სპორტმედია
სამგორი — სარბიელი გადაიდო
ოლ. ვარსკვლავი 1:1 რომპეტროლი

III ტური
სამგორი 0:9 დეპარტამენტი
ოლ. ვარსკვლავი 3:1 სპორტმედია
რომპეტროლი 0:4 სარბიელი
პალიტრა 3:2 ვისოლი
პეპსი 2:1 იუ ჯი თი

IV ტური
ვისოლი 3:1 სამგორი
დეპარტამენტი 1:0 ოლ. ვარსკვლავი
იუ ჯი თი 0:2 პალიტრა
სპორტმედია 5:0 რომპეტროლი
სარბიელი 3:2 პეპსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპარტამენტი | 3 | 3 | 0 | 0 | 15:2 | 9 |
| სარბიელი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:3 | 9 |
| პალიტრა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| ვისოლი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| სპორტმედია | 4 | 2 | 0 | 2 | 14:7 | 6 |
| პეპსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ოლ. ვარსკვლავი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| რომპეტროლი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:10 | 1 |
| იუ ჯი თი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:11 | 0 |
| სამგორი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:19 | 0 |

**B ჯგუფი**

I ტური
AMTS 0:1 პატრული
BP 1:4 ალგორითმი
შერატონი 0:0 რეესტრი
სტანდარტბანკი 2:5 სეუ
ნიკორა 2:5 იბერია

II ტური
ნიკორა 3:1 პატრული
იბერია 6:1 სტანდარტბანკი
სეუ 6:0 შერატონი
რეესტრი 4:2 BP
ალგორითმი 4:1 AMTS

III ტური
რეესტრი 5:5 სტანდარტბანკი
AMTS 4:2 BP
ალგორითმი 1:1 შერატონი
პატრული 0:2 იბერია
სეუ 3:3 ნიკორა

IV ტური
პატრული 6:1 BP
შერატონი 6:0 AMTS
სტანდარტბანკი 5:2 ალგორითმი
ნიკორა 1:1 რეესტრი
იბერია 2:4 სეუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სეუ | 4 | 3 | 1 | 0 | 18:7 | 10 |
| იბერია | 4 | 3 | 0 | 1 | 15:7 | 9 |
| ალგორითმი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:8 | 7 |
| რეესტრი | 4 | 1 | 3 | 0 | 10:8 | 6 |
| პატრული | 4 | 2 | 0 | 2 | 8:6 | 6 |
| შერატონი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| ნიკორა | 4 | 1 | 2 | 1 | 9:10 | 5 |
| სტანდარტბანკი | 4 | 1 | 1 | 2 | 13:18 | 4 |
| AMTS | 4 | 1 | 0 | 3 | 5:13 | 3 |
| BP | 4 | 0 | 0 | 4 | 6:18 | 0 |

# ბრაზილია 5:2500 საქართველო

**გახსენდებათ,** ბოლოს როდის იყო მუნდიალი, როცა ბრაზილია ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად არ ითვლებოდა?

ერთადერხელ: 2002 წელს.

და მაშინაც „ტეტრაკამპეონები" „პენტაკამპეონებად" გადაიქცნენ.

აბა, ჯერ რა დროს 2010 წლის ივნისია, მაგრამ ბრიტანული „უილიამ ჰილი" მომავალი მუნდიალის გამარჯვებულზე ფსონებს უკვე ანახლებს-ხოლმე. მსხვილი საბუქმეიკერო კანტორა №1 ფავორიტად ბრაზილიას თვლის და ერთ ფსონში ხუთმაგს იხდის.

„პენტას" კვალში მეზობელი არგენტინა და ევროტრიუმფატორი ესპანეთი მიჰყვებიან.

თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოს ნაკრებიც სიაშია — ბოლოს და ბოლოს, შანსები ხომ კიდევ გვრჩება (ეს ხუმრობით), რაც „უილიამ ჰილმა" 2500/1-ზე შეგვიფასა. ამდენივე აქვთ ქუვეითსა და იამაიკას.

**ილია ნანობაშვილი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია | 5/1 |
| არგენტინა | 11/2 |
| ესპანეთი | 13/2 |
| ინგლისი | 9/1 |
| იტალია | 10/1 |
| გერმანია | 11/1 |
| ჰოლანდია | 12/1 |
| საფრანგეთი | 16/1 |
| პორტუგალია | 20/1 |
| რუსეთი | 25/1 |
| ბულგარეთი | 200/1 |
| ირლანდია | 250/1 |
| ჩერნოგორია | 1000/1 |
| საქართველო | 2500/1 |
| კვიპროსი | 5000/1 |

**მომდევნო სარბიელში**

**რა განსხვავებაა ტოტალიზატორსა და საბუქმეიკერო საქმიანობას შორის და რატომ ავიწროვებენ სათამაშო ბიზნესს**

ნოემბრის ბოლოს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა კვიპროსზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ჩაატარა და, სამწუხაროდ, ჯგუფიდან გასვლა ვერ მოახერხა. პირველ შეხვედრაში ქართველები დანიას დაუპირისპირდნენ. ორბურთიანი უპირატესობაც ჰქონდათ, მაგრამ ველარ შეინარჩუნეს და 2:2 დაასრულეს. მეორე მატჩში მასპინძელ კვიპროსთან ჩვენები უგოლო ფრეს დასჯერდნენ, შესარჩევის ბოლო მატჩში კი ჩეხებთან 0:1 წააგეს და ელიტ-რაუნდსაც დაემშვიდობნენ. 19-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაურ სვანაძესთან საუბარი დანიასთან მატჩით დავიწყეთ...



სარბიელის არქივიდან

# ასეთი მაკარიძე არასდროს მენახა

## ზაურ სვანაძე: წაგება ჩემი კი არა, უიღბლობის ბრალია!

— თავიდანვე დიდი უპირატესობა მოვიპოვეთ და ორი ბურთითაც დავწინაურდით. პირველი ტაიმის მიწურულს გიორგი მაკარიძეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და დანიელებმაც ცარიელ კარში გაგვიტანეს. მეორე ნახევარში კიდევ შეგვეძლო გატანა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. მატჩის ბოლო წუთზე კი მაკარიძე გამოსვლაზე შეცდა, მცველსაც ხელი შეუშალა და ანგარიშიც გაგვითანაბრეს. საშინლად იმედგაცრუებული ვარ, მაკარიძეს ასეთი შეცდომები არასდროს მოსვლია. რას ვიზამთ, ფეხბურთია და ყველაფერი ხდება...

— არც ერთი მეკარე არ არის დაზღვეული შეცდომებისგან, თუმც ყველასთვის ცნობილი ამბავია, რომ მაკარიძეს სათამაშო პრაქტიკა არ აქვს. მიზეზი ეს უფრო ხომ არ არის?

— სათამაშო პრაქტიკის უქონლობას ამას ვერ დავაბრალებ. კვირაში ერთხელ ტესტ-მატჩებს ვმართავდით და სულ ის იდგა კარში.

— მეორე შეხვედრაში კვიპროსს უგოლოდ გაეყარეთ...

— მასპინძლებსაც მაგრად ვაჯობეთ, თუმცა რაღ გინდა, უამრავი საგოლე მომენტი გავატანეთ ქარს.

— ჩეხებთან ბოლო შეხვედრაში კი ფრეც გინაღდებდათ ელიტ-რაუნდის საგზურს, მაგრამ ესეც ვერ მოახერხეთ...

— ჩეხებთან მარცხის მთავარ მიზეზად გადაღლილობას მივიჩნევ. საწყის ორ შეხვედრაში ბიჭებმა მაქსიმუმი გაიღეს და ამან დიდი ენერგია წაიღო. ჩეხებს პირველ ტაიმში თანაბრად ვეთამაშეთ, მაგრამ მეორე ნახევარში ნახევარმცველებს დაღლილობა დაეტყოთ და ეს შედეგზეც აისახა. წარუმატებლობის მიუხედავად, ფეხბურთელების თამაშით კმაყოფილი დავრჩი. ცოტა იღბალი რომ გვქონოდა, ელიტრაუნდშიც გავიდოდით.

— თქვენი აზრით, ჯგუფის საუკეთესო გუნდი რომელი იყო?

— ცუდად ნუ გამიგებთ და, ჯგუფში საუკეთესო ფეხბურთი საქართველომ ითამაშა — ამას ყველა აღნიშნავდა. შეგიძლიათ, თემურ ქეცბაიას და სოსო ჭედიას ჰკითხოთ. ისინი სულ ჩვენთან იყვნენ და ყველა შეხვედრას დაესწრნენ.

— კვიპროსზე რა შემადგენლობაც გინდოდათ, ის წაიყვანეთ?

— ჩვენთვის ძალიან დიდი ძალა იყო ვაჟა ნემსაძე, რომელიც კვიპროსზე წასვლის წინ დაშავდა. განსაკუთრებით ჩეხებთან მატჩში გამოჩნდა, რას ნიშნავდა ნემსაძე ნაკრებისთვის. სამწუხაროდ, გიორგი როსტიაშვილმაც ტრავმა მიიღო და ვერც ის წავიყვანეთ.

— არადა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე ერთკვირიანი შეკრებაც გაიარეთ იტალიაში — ორი ტესტ-მატჩიც გამართეთ...

— იტალიაში ნორმალური პირობები გვქონდა, ორივე მატჩი მოვიგეთ, ბიჭებმა კარგი თამაში აჩვენეს. ნეტავ, ის მატჩები წაგვეგო და კვიპროსზე გვეთამაშა წარმატებით...

— ამ წარუმატებლობაში თქვენს შეცდომას თუ ხედავთ?

— არა. ჩვენ უიღბლობამ დაგვალალატა, თორემ ისე, კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ.

— კვიპროსზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გახლდათ ვინმე?

— ფედერაციის ტექნიკური დირექტორი პეტარ სეგრტი.

— 19-წლამდელთა ნაკრებთან კონტრაქტი როდემდე გაკავშირებთ?

— ამ თვის ბოლოს მიმთავრდება და ვნახოთ...

**ნუკრი ლოლაძე**



ქართველმა 19-წლამდელებმა დანიასთან მატჩში თავიდან კი გაიხარეს, მაგრამ...

# 17-წლამდელთა ნაკრების მარტი. ავსტრია, ელიტა

**იტალია**, ავსტრია, შოტლანდია — 17-წლამდელთა ევრო-2009-ის ელიტ-რაუნდში საქართველოს ნაკრების მეტოქეები ესენი იქნებიან.

შვეიცარიულ ნიონში გამართულ კენჭისყრაზე ჩვენები მეოთხე კალათაში იყვნენ განთესილნი.

ჯგუფური მატჩები გაისად, 20-25 მარტს ავსტრიაში გაიმართება. ელიტ-რაუნდში შვიდი ჯგუფია და მხოლოდ გამარჯვებულები გავლენ ფინალურ ეტაპზე, რომელიც 6-18 ივნისს გერმანიაში ჩატარდება.

როგორი ლაბირინთით მოხვდნენ ქართველი ჭაბუკები ელიტ-რაუნდში, გეხსომებათ: გელა შეყილაძის გუნდმა საკვალიფიკაციო ეტაპზე უნგრეთთან 2:2 ითამაშა, ჩეხეთთან 2:3 წააგო და ბოსნიას 1:0 სძლია.

მესამეზე გავედით, მაგრამ ელიტაში ორი საუკეთესო მესამეადგილოსანიც გადიოდა და ამ ორში ჩვენ და ყაზახეთი მოვხვდით.

თუმც ესაც ვთქვათ: ბოლო წუთებზე გაშვებული გოლები რომ არა, ჩეხეთსაც და უნგრეთსაც თავზე წამოვასკუპდებოდით და სალაბირინთოდ აღარ გვექნებოდა საქმე.

ახლა კი, როგორ გაიარეს საკვალიფიკაციო ეტაპი ჩვენმა მომავალმა მეტოქეებმა:

**ავსტრია:** ლიხტენშტაინთან 11:0, ბელგიასთან 2:0, ჩრდ. ირლანდიასთან 1:0. I ადგილი.

**იტალია:** ლიტვასთან 3:1, კვიპროსთან 1:0, ჰოლანდიასთან 2:5. II ადგილი.

**შოტლანდია:** სან მარინოსთან 3:0, სლოვაკეთთან 3:1, საფრანგეთთან 2:3. II ადგილი.

იტალიის 17-წლამდელთა ნაკრები ისტორიაში ორჯერ გამხდარა ევროჩემპიონი — 1982 და 1987 წლებში. ყველაზე მეტჯერ კი ამ ასაკში ესპანელი ჭაბუკებს უმარჯვიათ — რვაჯერ.

ბოლო ორი ჩემპიონატის ტრიუმფატორებიც ესპანელები არიან.



სარბიელის არქივიდან

*გელა შეყილაძე:* სამივე მეტოქე ძლიერია. მართალია, იტალიამ საკვალიფიკაციოზე ჰოლანდიასთან 2:5 წააგო, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ ისინი უფრო ძლიერები არიან, ვიდრე შედეგი აჩვენეს. ავსტრიის ნაკრებმა საკვალიფიკაციო ეტაპი 14:0 ბურთების შეფარდებით დაამთავრა, ხოლო შოტლანდიელები წლეულს 17-წლამდელებში ფინალურ ეტაპზე იყვნენ და კარგადაც ითამაშეს. მართალია, მარტში სხვა ფეხბურთელები ეყოლებათ, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ კარგი თაობა ჰყავთ.

— მოსამზადებელ გეგმებზე რას იტყვით?

— 15-16 იანვარს შევიკრიბებით, 2-4 თებერვალს ხორვატიაში იქაურ 17-წლამდელებს ორჯერ ვეთამაშებით, საიდანაც სლოვენიაში გადავალთ და 5-9 თებერვალს მათაც ორჯერ გავეჯიბრებით. 20-28 თებერვალს აზერბაიჯანელებს შევხვდებით. 11 მარტს კი სტუმრად ლუქსემბურგის ნაკრებს, საიდანაც ავსტრიაში წავალთ და იქ გავაგრძელებთ მზადებას.

— ნაკრებში ბევრი ცვლილება იქნება?

— ბევრი არ ვიცი, მაგრამ მაქსიმალურად ვეცდებით, ყველა საინტერესო ჭაბუკი გამოვცადოთ. ერთ ლეგიონერს აუცილებლად დავიმატებთ უნგრეთიდან.

**ილია ნანობაშვილი**

# ნიონური კენჭაობა

**შვეიცარიულ** ნიონში ევრო-2010-ის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა გაიმართა 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებს შორის.

ქართველი 17-წლამდელების (1993 წელს და შემდეგ დაბადებულები) მეტოქეები პორტუგალია, შოტლანდია და კვიპროსი იქნებიან.

ჯგუფის მატჩებს გაის 20-25 ოქტომბერს შოტლანდია უმასპინძლებს.

20 ოქტომბერი

**საქართველო — პორტუგალია, შოტლანდია — კვიპროსი**

22 ოქტომბერი

**საქართველო — შოტლანდია, პორტუგალია — კვიპროსი**

25 ოქტომბერი

**საქართველო — კვიპროსი, შოტლანდია — პორტუგალია**

რაც შეეხებათ 19-წლამდელებს (1991 წელს და შემდეგ დაბადებულები), ქართველები საკვალიფიკაციოში უკრაინას, შვედეთსა და ჩერნოგორიას შეხვდებიან.

მატჩები შვედეთში გაისად, 9-14 ოქტომბერს გაიმართება.

9 ოქტომბერი

**საქართველო — უკრაინა, შვედეთი — ჩერნოგორია**

11 ოქტომბერი

**საქართველო — შვედეთი, უკრაინა — ჩერნოგორია**

14 ოქტომბერი

**საქართველო — ჩერნოგორია, შვედეთი — უკრაინა**

ერთიც აღვნიშნოთ: ქართველ 19-წლამდელთა თავკაცი ზაურ სვანაძე კარგა ხანს შვედეთში მუშაობდა და იქაურ ახალგაზრდულ სკოლაზე საკმაო წარმოდგენაც ექნება, თუმცა ჯერ ძნელი სათქმელია, ისევ ის იქნება თუ არა ნაკრების მწვრთნელი.

**ილია ნანობაშვილი**




კახა კალაძე და ანდრეი შევჩენკო



ვიქტორ იუშჩენკო

# კალაძეს ქორწილი ომმა ჩაუშალა!

## იუშჩენკოს მოწამვლასთან არაფერი გვაკავშირებს

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების კაპიტნის კახა კალაძისა და მოდელ ანუკი არეშიძის სიყვარულის ამბავი ახალი არ არის.

კახამ და ანუკიმ რამდენიმე თვის წინ გადაწყვიტეს შეუღლება და ქორწილისთვის მზადებაც დაიწყეს, მაგრამ...

საქართველო-რუსეთის ომმა ბედნიერ წყვილს ჟივილ-ხივილის ხალისი დაუკარგა.

იტალიური „მილანის" ქართველმა მცველმა თავის ოფიციალურ ვებგვერდს ეს განუცხადა:

„ანუკისთან ერთად უკვე ერთი წელია, ვარ. დიდი ხანი ვფიქრობდით ამ ნაბიჯის გადადგმას. ეს ძალიან ამაღელვებელი მომენტი იყო. ხოლო ის, რომ აღნიშნული ამბავი საქვეყნოდ არ გაგვიხმაურებია, ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო მოხდა. ახლა საქართველოს მძიმე დრო უდგას და აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სახის დღესასწაულის მოწყობა უადგილოდ მოგვეჩვენა. ზეიმის დრო მოვა!"

კალაძესთან დაკავშირებით ერთ სკანდალურ ამბავზეც ვთქვათ...

ცოტა ხნის წინ უკრაინულ პრესაში დაიბეჭდა ცნობა, რომ კახა კალაძეს და ანდრეი შევჩენკოს უკრაინის პროკურატურაში მოუწევდათ მისვლა. მათი დაკითხვა ქვეყნის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს მოწამვლას უნდა შეხებოდა.

როგორც გაირკვა, კალაძეს და შევჩენკოს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ იმ პირებთან, რომლებიც ამ საქმეში ეჭვმიტანილებად ითვლებიან და მათ შორის არიან უკრაინაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები, დავით ჟვანია და თამაზ ცინცაბაძე.

ამ ხმაურიანი ამბის შემდეგ „მილანის" წევრებმა, კახა კალაძემ და ანდრეი შევჩენკომ ოფიციალური განცხადება გააკეთეს: „ინფორმაციები, რომლებიც კიევიდან მოდის, მთლიანად მოკლებულია საფუძველს. არასოდეს ვყოფილვართ გამოძახებულნი მოწმეებად იმ საქმესთან დაკავშირებული განხილვისას, რომლითაც არის დაკავებული კიევის პროკურატურა".

ერთიც: ამ ამბავზე უკვე დაკითხეს კალაძე-შევჩენკოს კიევის დინამოელი ექსთანაგუნდელი ანდრეი გუსინი.

**კახა ზალამბერიძე**



ანუკი არეშიძე

## კვირის ქრონიკა

### ყენია ახალი წლიდან

**ლევან ყენია** წლეულს ველარ ითამაშებს, თუმცა ბუნდესლიგის მეორე წრეს და, რაც მთავარია, ირლანდიასთან [illegible] თებერვლის [illegible]კრებო მატჩს სალ-სალამათი შეხვდება.

ყენია ოქტომბრის შუაში კოჭმა დაალალატა, სურათი გადაიღო და ხანგრძლივი მკურნალობაც გამოუწერეს.

„ახლა აზრი აღარც აქვს სრულად დატვირთვას. ბუნდესლიგაში მალე შესვენება იწყება" — გვითხრა ლევანმა, ვინც ძუნძული უკვე დაიწყო.

### ორბელაძის დაჩია მორჩა

**მოლდოვური** „დაჩიას" მცველი სერგი ორბელაძე მალე დატოვებს კლუბს.

ეს უკვე გადაწყვეტილია — „დაჩიას" ხელმძღვანელობამ ექვს გასაშვებ ფეხბურთელს შორის ჩვენიანიც დაასახელა.

სად გააგრძელებს კარიერას სერგი, ჯერ უცნობია. მას ბოლო წლებში თბილისის „დინამოში", რუსთავის „ოლიმპსა" და ბოლნისის „სიონში" უთამაშია.

### გვაზავას სამი გზა

**ლევან გვაზავას** ტრანსფერის ამბავი მალე გადაწყდება. რუსეთის პრემიერლიგიდან გავარდნილი ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიას" გამთამაშებელს „როსტოვი", „ყუბანი" და ჩემპიონი „რუბინი" ეპატიჟებიან.

გვაზავას „ლუჩ-ენერგიას" ყოფილი მწვრთნელი, სერბი ზორან ვულიჩი ძალიან აქებს: „ჩემი აზრით, გვაზავა და ბულიგა რუსეთის ნებისმიერი კლუბისთვის მშვენიერი შენაძენები იქნებოდნენ".

### მუჯირის საუკეთესო წრე

**აზერბაიჯანულმა** „აზერისპორტმა" პირველი წრის შედეგები შეაჯამა და გამორჩეული ფეხბურთელებიც დაასახელა.

მოლოდინისამებრ, „ბაქოს" საუკეთესო მოთამაშე ქართველი ნახევარმცველი ამირან მუჯირი გახდა.

35 წლის მუჯირმა ეს სეზონი მართლაც მძლავრად დაიწყო, 9 გოლი გაიტანა და დიდი წვლილი დაიდო გუნდის წარმატებაში (პირველი წრის მერე „ბაქო" მეორე ადგილზეა).

შეგახსენებთ: მუჯირის გარდა, „ბაქოში" გიორგი დემეტრაძე ირიცხება.

### მარკოვს კარისკენ მიუთითეს

**ბულგარეთის** ნაკრების თავკაცი პლამენ მარკოვი მოხსნას მაინც ვერ გადაურჩა.

თბილისში ნათამაშები 0:0-ის შემდეგ მარკოვს წყალი შეუდგა, ბულგარეთში მისი თითქმის აღარავის სჯეროდა და აი, მოსახდენიც მოხდა — ბულგარეთის საფეხბურთო კავშირმა მწვრთნელი გაათავისუფლა.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენს მეტოქე ბულგარელებს ოდენ სამი ქულა აქვთ — 2:2 ჩერნოგორიასთან და 0:0 იტალია-საქართველოსთან.

მარკოვის შემცვლელად კი სლავები ტერი ვენეიბლზს ან ავრაამ გრანტს ასახელებენ.

### ციმაკურიძეს ზარიას აშორებენ

**ლუგანსკის** „ზარიამ" სამი ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზე და მათ შორის გიორგი ციმაკურიძეც მოხვდა. უცნაური კია, ციმაკურიძემ საკმაოდ მაღალი შეფასება მიიღო უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის რამდენიმე მატჩში და გოლებიც გაიტანა.

სავარაუდოდ, გიორგი უკრაინის სხვა კლუბში გადავა.

### ორი ქართველი პორტუში

**„ფონდი არველაძე"** ახალგაზრდა ქართველების ძლიერ ევროპულ კლუბებში მივლინებას განაგრძობს. ამჟამად პორტუგალიურ „პორტუში" ორი 16 წლის ჭაბუკი გადის სტაჟირებას — გიორგი დიასამიძე და ავთანდილ ებრალიძე. ისინი პორტუგალიაში ცხოვრობენ.

დიასამიძესა და ებრალიძეს „პორტუში" დაახლოებით 10 დღე ავარჯიშებენ — ჯერ გასინჯვის პროცესია.

### ცხადაძე სტანდარდში რჩება

**ქართველი** მწვრთნელი კახა ცხადაძე აზერბაიჯანულ „სტანდარდში" რჩება.

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო კლუბის ხელმძღვანელობამ, არადა, ცოტა ხნის წინ აზერბაიჯანული პრესა ირწმუნებოდა, ცხადაძე გუნდს დატოვებსო.

ცხადაძის გარდა, „სტანდარდში" სეზონის ბოლომდე რჩება მისი თანაშემწე ბადრი კვარაცხელიაც. ხოლო ნახევარმცველი ლევან სილაგაძე გუნდს დატოვებს.

შეგახსენებთ, რომ „სტანდარდში" კიდევ სამი ქართველი ფეხბურთელი ირიცხება — მიხეილ ალავიძე, დავით ჭიჭვეიშვილი და ბაჩანა ცხადაძე.

# მივხვდი, რომ მყვარებია...

მეგობარმა მითხრა, „სარბიელის“ დახურვა მაშინ ვიგრძენი, „შუა ქალაქს“ რომ ვუყურებდი და ერთ სცენაში ირაკლის სხვა გაზეთი ეჭირაო... ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა კი თქვა, გაზეთის გამოშვება რომ არ შეგვეჩერებინა, რასაც ასეთი აჟიოტაჟი მოჰყვა, ვერც ვიგრძნობდით, პოპულარულები რომ ვყოფილვართ და ამდენი მხარდამჭერი გვყოლიაო... მოკლედ, ბევრი რამ ითქვა და მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩვენთვის უცნობი მეგობრების ნათქვამია, ფოსტითა თუ ფორუმით რომ შემოგვეხმიანა. მკითხველთა თითოეული წერილი ამობეჭდილი და შენახული გვაქვს და გვსურს, მათი ნაწილი, რაც ამ გვერდში ჩავატიეთ, საჯაროდაც გამოვაქვეყნოთ...



**LIKA**: გამარჯობა „სარბიელს“. დიდი ხნის ნაცნობობის მიუხედავად, პირველად გწერთ. მე ვარ GIO-81-ის მეუღლე, რომელიც ძალიან ხშირად გწერთ. თქვენი გაზეთიც მან „გამაცნო“ ათი წლის წინ, როცა ოჯახი შევქმენით. მაშინ ვსწავლობდით. დილაობით ერთად დავდიოდით „სარბიელის“ საყიდლად. მერე სამსახურის გამო ერთმანეთს ვუთანხმდებოდით, ვინ იყიდიდა გაზეთს. ჟურნალ-გაზეთების გამყიდველებიც ხელს გვიწყობდნენ. როცა ქალაქიდან გასვლა გვიწევდა, ყველა ნომერს გვინახავდნენ. თუმცა რამდენჯერმე მაინც მოხდა ჩვენ და დღეს ხალისით ვიხსენებთ, როგორ დავდიოდით და ვეძებდით „სარბიელის“ ერთ-ერთ ნომერს ნაცნობ-მეგობრებში; როგორ გამოვტაცე ხელიდან უცხო მამაკაცს „სარბიელი“ და ჩემს მეუღლეს მივურბენინე, რომელიც რთულოპერაციაგადატანილი მწოლიარე მელოდა. ვიცი, ასეთი მკითხველი ბევრი გყავთ. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და, თავიდან ყველაფერი ასე არ იყო. არც სპორტულ პრესას ვეტანებოდი მაინცდამაინც, ფეხბურთელებსაც მხოლოდ ვიზუალურობით ვაფასებდი. პროტესტს ისიც იწვევდა, რომ ჩვენი ბინის მოზრდილი ტერიტორია „სარბიელის“ ძველ ნომრებს ეთმობოდა. მახსოვს, რეჟისურის ლექციაზე „სარბიელის“ ანტირეკლამაც კი გავაკეთე, მაგრამ მეუღლეს გულს არ ვტკენდი. დროთა განმავლობაში შევეჩვიე, შევეგუე, გავისიგრძეგანე და გავითავისე. თითქოს ლამაზადაც კი გამოიყურებოდა სწორ ხაზზე ჩალაგებულ-ჩაწიკწიკებული გაზეთები. სამწუხაროდ, დიდი ნაწილის აგარაკზე გადატანა მოგვიხდა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სახლში აღარ ეტეოდა...

და ამ ყველაფრის შემდეგ „სარბიელი“ დროებით გვემშვიდობება. წარმოდგენაც არ გვაქვს, რატომ და რამდენი ხნით. ეს დღეებია, ამ საკითხზე ვმსჯელობთ ოჯახში. ვიმედოვნებთ, ძალიან მალე „სარბიელი“ გაუმჯობესებული სახით დაგვიბრუნდება, თუმცა ჩვენ ის ისეთი გვიყვარს, როგორიც არის.

**TOTALMAN**. ახლა იყო „იმედზე“ რეპორტაჟი, დაიხურა „სარბიელიო“... ხელმძღვანელების განცხადებით, ფინანსების უქონლობის გამო... სამწუხაროა...

**VAKO_BARCA**: როგორ შეიძლება, საქართველოში ფეხბურთს რაც ეხება, ყველაფერი ფინანსური პრობლემების გამო იხურებოდეს?!

**OTVANGI**: ვუყურე „იმედზე“. ფინანსური პრობლემები გასაგებია, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო გამოწვეული რეორგანიზაცია რას ნიშნავს, ვერ მივხვდი. გაზეთი ვისაც გაუჩერებია, აღარავის აღუდგენია. ასე რომ, დროებითი პაუზა ზღაპარია.

**DUNDEE**: ანუ ხვალ „სარბიელს“ ვერ ვიყიდი?! ცუდია! ჩემი საყვარელი გაზეთია და იმედია, მალე აღდგება.

**VANIUK**: მაგრად გამიტყდა... ძალიან ცუდია, ძალიან!...

**MIKHEIL RDZE**: ვახ... რა ცუდი ამბავია... ამ გაზეთმა 92-93 წლებს გაუძლო და ახლა რა ეტაკა?!

**CHAK NORIS**: მოგრიალულის დარქმეულ სათაურებს ყოველთვის გამოვარჩევდი...

**SAK-ART-VEL-O**: ტოტალიზატორზე ღადავიც ძაან მაგარი იყო.

**LASHA-GIORGI**: საწყენია, ასეთი კარგი გაზეთი რომ დაიხურა.

**ARBOELI**: ვააა, სერიოზულად? „სარბიელი“ მიყვარს!

**TIKOROMA**: იტალიაში „რომაა“ და საქართველოში „სარბიელი“...

**MARSIANELI**: იმედია, მალე დაბრუნდება „სარბიელი“... დაახლოებით ორი წელია, გაზეთებს იშვიათად ვყიდულობდი, მანამდე დღეს არ ვტოვებდი და „სარბიელის“ ყველა ნომერიც მქონდა. გამიხარდება, თუ მალევე ვნახავ „სარბიელის“ ახალ ნომრებს...

**KETELAURI**: დასანანია... რატომ დახურეს? ნუთუ ამხელა ფინანსები სჭირდებოდა ამ გაზეთის გამოცემას? წლობით მოპოვებული პოპულარობა და სიყვარული ჰქონდა ამ გაზეთს... ასე ერთი ხელის მოსმით... ეჰ... კი მაგრამ, ხომ იყიდებოდა ნორმალურად?

**LEVANI777**: მაგრად გამიტყდა.

**GEORGIAWAR**: მთელი ეპოქა შექმნა ამ გაზეთმა სპორტულ ჟურნალისტიკაში. გიო ახვლედიანის სვეტები არაჩვეულებრივი იყო. წარსულში კი, ზალიკოს რაგბი და ზურაბ მეძველიას წერილები. თუმცა, უკვე რამდენიმე წელია, ჩემი აზრით, სერიოზული კრიზისი აქვთ. ძველებურად არ იკითხებოდა. ძალიან დასანანია ყველა შემთხვევაში.

რას ამბობენ, აღარ განახლდება?

**KOPA**: იცით ვინმემ, რატომ დაიხურა „სარბიელი“?

**SHOKOLADKA**: რა ხდება „სარბიელზე“, როდის აღდგებაო?

**RASTRELI**: რაო? „სარბიელი“ დაიხურაო? ამერიკაში ვარ, წინა კვირის 13 რიცხვის შემდეგ არ განახლებულა ინტერნეტ-ვერსია... ვიფიქრე, რა ხდება-თქო და... რა მოხდა? ყველაზე მაგარი გაზეთი, რომელსაც პატივს ვცემ და ვენდობი!

**GEOSLAVA**: პირადად ჩემთვის „სარბიელი“ გაცილებით მეტია, ვიდრე, უბრალოდ, კარგი სპორტული გაზეთი. „სარბიელის“ გამოჩენამ ჩემში დიდი გარდაქმნა მოახდინა, სპორტის მანიაკი, მგონი, დაბადებიდან ვიყავი, „ლელოც“ მქონდა გამოწერილი, „სოვეტსკი სპორტიც“, „ფუტბოლ-ჰოკეიც“ და უნგრულ-ჩეხურ-პოლონური ჟურნალებიც, „მალადიოჟ გრუზიი“ და „ახკომი“ ერთი პერიოდი კარგი (შედარებით) სპორტის გამო მოხვდა ჩემს საფოსტო ყუთში. მერე „სპორტ-ექსპრესი“ გამოჩნდა, ეგ უკვე რევოლუცია იყო და „სარბიელმა“ დაავგვირგვინა ყველაფერი, ანუ ნაღდი ქართული იყო და პირველივე ნახვით შემიყვარდა. 1989 წელს საქართველოში ახალმა სიომ დაბერა და „სარბიელი“ ხალხის ცნობიერების შეცვლის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო. უმაღლეს დონეზე და დიდი გემოვნებით კეთდებოდა, იგრძნობოდა, რომ იქ მომუშავე ხალხი საქმეს სიამოვნებით აკეთებდა. ახლა ეს მომენტი დაკარგულია, არა მარტო „სარბიელში“, ყველგან.

ასეთ რამესაც ვიტყვი: ქართული პრესის ისტორიაში იმდროინდელი „სარბიელი“ მართლა „ვიში პილოტაჟი“ იყო, იმ დონემდე ჯერ ვერავინ ასულა და არც უჩანს პირი.

**GEOR-GIEN**: ძალიან დამწყდა გული „სარბიელის“ გამო. იმედია, მალე ისევ დაბრუნდებიან.

**MARADIORA**: სამწუხაროა... ქართული სპორტული მედიის დიდი უკანგადადგმული ნაბიჯია.

**TIKOROMA**: ჩემი საყვარელი სპორტული გაზეთი იყო და ასეთადაც დარჩება...

**TAVADZE**: სამწუხაროა და ძალიან ცუდი, რაც „სარბიელის“ თავს მოხდა... ნამდვილად გული დამწყდა... გაზეთი ნამდვილად მოვლენა იყო ქართულ მედიაში (არა მხოლოდ სპორტულში). ძალიან კარგად მახსოვს მაგ გაზეთის პირველი ნაბიჯები და ხელმეორე დაბრუნება იმ პირველი „შეებულების“ შემდეგ. ახლანდელი მდგომარეობა ქვეყანაში მიმდინარე ძალიან ცუდი ზოგადი ტენდენციის გამოვლინება მგონია. ამიტომაცაა მტკივნეული — ცხადია, მაწუხებს იმ ადამიანთა უმუშევრად დარჩენა, მაგრამ ამ კონკრეტული ფაქტის უკან უფრო ცუდი რამ იმალება...

ცუდია, იმიტომაც, რომ სპორტულ მედიაში იკლო კონკურენციამ. მეტიც — მას ლოკომოტივი მოაკლდა. კარგად ვიცი, რომ ყველგან ყველას უმთავრესი ამოცანა „სარბიელზე“ სწორება იყო. ამ ყველაფერს ისიც დავუმატოთ, რომ „სარბიელმა“ მოახერხა და სკოლა შექმნა, ანუ ისეთი სისტემა, სადაც ჟურნალისტებს ზრდიდა.

ბუნებრივია, შეცდომები „სარბიელშიც“ იყო — განსაკუთრებით ბოლო ხანებში, მაგრამ ვინც არ მუშაობს, არც ცდებაო. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, გაზეთი მაინც ინარჩუნებდა სადა, ხალას ენას და მე პირადად ამით მიზიდავდა — მასალები კარგად და თავისუფლად იკითხებოდა. უმთავრესიც ეს იყო — გაზეთის მთავარი ხიბლი.

ალალად გეტყვით: ნაკლებად მჯერა ამ პრობლემის მოგვარებისა (მესმის, ეს მხოლოდ მათზე არ არის დამოკიდებული), მაგრამ ვისურვებ, მალე მოაგვარონ პრობლემები და ხელმეორედაც დაგვიბრუნდეს.

**DATUCHI**: „სარბიელი“ ერთადერთი გაზეთი იყო, რომელსაც ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველიდან ბოლო გვერდამდე ვკითხულობდი. თუ დამიჯერებთ, ყველა ნომრის ყველა გვერდი მაქვს წაკითხული. მოკლედ, ძალიან მეწყინა.

**PROLETARIATI**: ძალიან მეწყინა „სარბიელის“ დახურვა. მხოლოდ კოლეგიალობის გამო არა. „სარბიელი“ თავისი გიო ახვლედიანით, ილია ბაბუნაშვილით და სხვებით, თავის დროზე ერთ-ერთი საუკეთესო ქართული გაზეთი იყო. იმედია, სამუდამოდ არ დაიხურა...

**SOLI**: „სარბიელის“ დახურვა მართლა ძალიან ცუდი ფაქტია. არა მარტო სპორტულ მედიაში, ზოგადად, ქართულ მედიაში გამოირჩეოდა თავისი ხელწერით, განსაკუთრებით 90-იანი წლების ბოლოს — 8-გვერდიანიდან 16-გვერდიანამდე რომ გაიზარდა...

მაგრად მეწყინა, ძირითადად ამ გაზეთს ვკითხულობდი, ბოლო 1-2 წლის მანძილზე „ლელოც“ (იგივე „სპორტი“) გაუთანაბრდა...

გაზეთში ეწერა, იხურება, მაგრამ დაბრუნდებაო და, იმედია, მალე ასეც იქნება. ყოველ შემთხვევაში, ახალი წლიდან მაინც...

ისე, საინტერესოა, „ფრანს ფუტბოლის“ რეფერენდუმში „სარბიელმა“ უკვე გააგზავნა თავისი ვერსია თუ წლეულს ვერ მოხერხდა?

**ACHI-ANCHABELI**: ჩემი ბავშვობის გაზეთია სარბიელი... ძალიან მიყვარდა. ჯერ „ქართული ფეხბურთი“ იყო, მერე „სარბიელი“.

**ZUMBITO**: „სარბიელის“ ჟურნალისტებს მართლა გულით ვუსამძიმრებ. ძალიან მიყვარდა ეს გაზეთი. განსაკუთრებით სათაურები, რომლებიც ყველაფერს თავის სახელს არქმევდნენ.

ისე, რა მინდა გკითხოთ: არ შეგვიძლია, გაზეთის დახურვის მიზეზებზე ღიად ვისაუბროთ?

**ACDACHI**: მართალია, ძაან იშვიათად ვყიდულობდი გაზეთებს, მაგრამ ძაან გამიტყდა...

**QOMAGI**: ეჰ, მართლა გულდასაწყვეტია. სიმართლე გითხრათ, ბოლოს იშვიათად ვყიდულობდი, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ „სარბიელით“ ხელში ვიზრდებოდი. ბავშვობაში ფულს რომ მომცემდნენ, ჯერ „სარბიელს“ ვყიდულობდი.

იმედია, დაბრუნდება ისევ, ოღონდ ადრინდელივით ძლიერი.

**BAD BOY 4LIFE**: მაგრად მეწყინა. ძველი გაზეთებიდან ამოჭრილ სტატიებს რომ ვინახავდი, უმეტესობა „სარბიელიდან“ იყო.

**MADEIRA**: სანამ ჟურნალისტი გავხდებოდი და მერეც, ყველა ნომერი მაქვს შენახული. ერთდროულად ორი გამყიდველი მყავდა შებმული — ერთს რომ გადავედგე, მეორე „ზაპასად“ მყავდა. ხანდახან, რომელიმეს რომ არ წყენოდა, ორივესთან ვყიდულობდი. ერთი-ორჯერ ჯიხურ-ჯიხურ გავსულვარ დიდუბიდან მარჯანიშვილამდე.

ძალიან ცუდია...

**M43DLO**: 1996 წლიდან მოყოლებული 2006 წლამდე, სანამ თბილისში ვიყავი, ყველა ნომერი მქონდა „სარბიელის“ და დღემდე ყველა ნომერი მაქვს... მიყვარს ძველი ნომრების გადაფურცვლა.

**MARADIORA**: ვუერთდები „სარბიელის“ მხარდამჭერთა კოლონას.

**GOODMAN**: ეს გაზეთი იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი მოვლენა და ბევრის ცხოვრებაში კიდევ. მრავალმხრივ ვერც აღვწერ იმას, ბავშვობაში როგორ გავრბოდი, „ჩემი“ გაზეთის გამყიდველთან „სარბიელის“ საყიდლად ან წასაკითხად და ასე შემდეგ. მთელი ისტორიებია... რამდენი მივლია ფეხით „სარბიელის“ ძებნაში და რამდენჯერ, ვინ დაითვლის.

„სარბიელი“ ყოველთვის დარჩება გამორჩეულ ადგილზე, მაგრამ არ მინდა დავიჯერო, რომ ასე დამთავრდება ამ გაზეთის გამოცემა და დარწმუნებული ვარ, არც იქნება ასე. დიდ წარმატებას, წინსვლას და სათანადო სიმაღლეზე დაბრუნებას ვუსურვებ!

**ANALGIN**: ეს გაზეთი ნამდვილად განსაკუთრებული მოვლენა იყო ქართულ სპორტულ მედიაში. მართლა ყველა გულშემატკივრისთვის საყვარელ გაზეთად იქცა. დილით, სკოლაში წასვლამდე ეგ რომ არ მეყიდა, ასეთი დღე არ არსებობდა.

**CAGENT**: ჯერ მამაჩემი კითხულობდა და მერე მე მაძლევდა ხოლმე. ამ დღეებში დაპატარავებული იყო და დღეს გავიგე, რომ სულ აღარ გამოვა. რა კარგი გაზეთია, პრობლემა რომ იყო ანგარიშების გაგება თუ სხვა რამ, ყველაზე ოპერატიულად „სარბიელი“ ახერხებდა ამას. რამდენჯერ გადავურჩენივარ. რალაცნაირად ტკბილად იკითხება. აწმყოში იმიტომ ვამბობ, რომ ბრენდი იყო და არ მჯერა, რომ საბოლოოდ დაიხურა. მგონი, ტოტალიზატორებმა დაღუპეს „სარბიელი“ — სადღაა ნამდვილი სპორტის ფანები, ხალხს მარტო ანგარიშები აინტერესებს.

**GEORGIA00995**: ახლა მივხვდი, რომ „სარბიელი“ მყვარებია. სკოლის პერიოდში ყოველდღე ვყიდულობდი, რამდენჯერ დილით ადრე ავმდგარვარ ამ გაზეთის გამო, რადგან ჩვენს უბანში შეზღუდული რაოდენობით მოჰქონდათ... რამდენჯერ დამირეკავს დედაჩემისთვის, „სარბიელი“ წამომიღე, ვერ ვიშოვე-თქო... ეს გაზეთი იყო საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო გაზეთი. ძალიან დამწყდება გული, თუ ამ გაზეთის ახალ ნომერს ველარ წავიკითხავ... ძველი კი ბევრი მაქვს...

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა

II წრე. 16 ტური



ასეთ ნისლში ჩატარდა „ჰერეთი" — „ამერი"

### აღმოსავლეთი

**ჰერეთი 0:4 ამერი**

0:1, 0:2 ჩიმაკაძე (30, 46), 0:3 ბენდელიანი (82), 0:4 ჩიმაკაძე (83)

ჰერეთი: ბილიხოძე, თანდაშვილი, ფარულავა, კურტანიძე, ტაბატაძე, ლომიძე, გ. ოქრუაშვილი, რ. ცქიფურიშვილი, ა. აბაშიძე, ყორღანაშვილი (შ. ლობჟანიძე 46), ზ. ფოფხაძე

*სათადარიგონი:* მატვიენკო, ბ. ფოფხაძე, წვერავა, ტ. ჭილლაძე, დ. ცქიფურიშვილი

მწვრთნელი: ზურაბ ფოფხაძე

ამერი: ლ. ნადირაშვილი, თ. სანიკიძე (გ. ფუტკარაძე 46), გვაძაბია, ელბაქიძე, ხატიაშვილი, ხუციძე, დ. მჭედლიშვილი (ბუმბეიშვილი 68), ჩიმაკაძე (ნ. ქებაძე 84), ცხოვრებაშვილი, ბენდელიანი, ტიკურიშვილი

*სათადარიგონი:* გვენცაძე, ჯინიკაშვილი, ლ. ბოჯგუა

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: თანდაშვილი

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

100 მაყურებელი

**დინამო 2 2:0 სიონი 2**

1:0, 2:0 ქანთარია (13, 43)

დინამო 2: ლორია (გ. ნადირაძე 64), მინდორაშვილი, გეთიაშვილი, კაკუბავა, კეკელია, ჩადუნელი, ნემსაძე, ვ. ბოლქვაძე, გ. ჯოხაძე, ქანთარია (სიხარულიძე 67), ნ. ჯიშკარიანი (ლეკვთაძე 67)

*სათადარიგონი:* კაჭკაჭიშვილი, მამრაში, კოპაძე, ქამუშაძე

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

სიონი 2: გავაშელი, გ. თავბერიძე, გ. ოქროპირიძე, პატარქალიშვილი, იობაშვილი, ალფაიძე (შ. გაბრიჭიძე 46), უგულავა, ბუბუტეიშვილი, ვ. უგრეხელიძე (გიგინეიშვილი 46), ჯიქიძე, მ. ოქროპირიძე

*სათადარიგონი:* გურგენიძე, ბ. ჭავლაშვილი, გიორბელიძე, ქობულაძე, ი. ბერელიძე

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

გაფრთხილება: ჯიშკარიანი, გაბრიჭიძე

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

100 მაყურებელი

**ჩიხურა 3:0 გაგრა 2**

1:0 კალანდაძე (6ს.კ.), 2:0 ნოზაძე (38), 3:0 ენუქიძე (60)

*როგავამ ვერ გაიტანა პენალტი (64)*

ჩიხურა: დოლაძე (მწყერაშვილი 83), მგალობლიშვილი, ბარაბაძე, როგავა (ი. ჭილლაძე 74), ზივზივაძე, დეკანოიძე (გ. ენუქიძე 55), ლ. კობახიძე, დოლონაძე, ი. ზაბახიძე, ი. ტყებუჩავა, ზ. ნოზაძე

*სათადარიგონი:* გ. ხვედელიძე, ნ. მაჭარაშვილი, ცარციძე, ლ. ჩიკვაიძე

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაგრა 2: ხომერიკი, ნ. ჭანკვეტაძე, გ. კალანდაძე, ბ. ტეტუნაშვილი, გედენიძე, ოქრიაშვილი (სხირტლაძე 79), ე. კილაძე (თუხარელი 46), მარგიანი, ფილია, დ. ჩხაიძე, ხოკერაშვილი (ჭაავა 57)

*სათადარიგონი:* გ. ნაჭყებია, დ. გაბელია

მწვრთნელი: თეიმურაზ ჩხაიძე

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

100 მაყურებელი

**დილა 0:0 კახეთი**

დილა: დგებუაძე, ცოცხალაშვილი, სორდია, გ. თარგამაძე, ი. თოდუა, მინდიაშვილი, ქარდავა, ებანოიძე, ბარამიძე, ბეგლარიშვილი, იჩქითი

*სათადარიგონი:* კეჩხუაშვილი, ბ. მაჭავარიანი, შარანგია, მსხვილიძე, ჩერქეზიშვილი, დაჩანიძე, გ. ფოცხვერია

მწვრთნელი: პაატა მეტრეველი

კახეთი: ქუფარაშვილი, მურველაშვილი, ტარულაშვილი, ი. ხუციშვილი, ბ. მჭედლიშვილი, ხამხაძე, ი. კობაიძე, მელიქიშვილი, გენგაშვილი (ლ. ტეტიაშვილი 72), იმერლიშვილი, ძამუკაშვილი

*სათადარიგონი:* კობრიაშვილი, მ. ხიდეშელი

მწვრთნელი: გივი კობაიძე

გაფრთხილება: ბარამიძე, მურველაშვილი, მელიქიშვილი

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

100 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 2 3:0 თბილისი**

1:0 ზაქრაძე (18), 2:0 სვანიძე (33), 3:0 ზაქრაძე (52)

ვიტ ჯორჯია 2: ლურბელეიშვილი, ვეკუა, ადამაძე, კასრაძე, გამრეკლიძე, იოსელიანი (გოგიაშვილი 38), გ. ჯანელიძე, ვასაძე, კვალინიძე, ზაქრაძე (ლვინიაშვილი 72), ი. სვანიძე (ფურცელაძე 82)

*სათადარიგონი:* ეზიეშვილი, გ. იაშვილი, დვალაშვილი, ცხოვრებაძე

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

თბილისი: გიორგობიანი, გ. ოდიშარია (დ. ამისულაშვილი 68), ჭაფოძე, გ. მიქელაძე, სებისკვერაძე, გ. გურეშიძე, ი. მოდებაძე, ჯაში (ზვიადაძე 57), ხოხონიშვილი, აფხაზავა (ბელქანია 72), ტორონჯაძე

*სათადარიგონი:* ნარეშელი, კბილცეცხლაშვილი

მწვრთნელი: გელა გომელაური

მსაჯი: ლ. სილაგავა

100 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 15 | 11 | 2 | 2 | 31:9 | 35 |
| ამერი | 14 | 10 | 2 | 2 | 27:7 | 32 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 14 | 8 | 5 | 1 | 25:5 | 29 |
| დინამო 2 | 13 | 8 | 3 | 2 | 23:10 | 27 |
| დილა | 15 | 6 | 5 | 4 | 21:12 | 23 |
| სიონი 2 | 14 | 5 | 3 | 6 | 21:36 | 18 |
| თბილისი | 14 | 4 | 2 | 8 | 20:23 | 14 |
| გაგრა 2 | 15 | 4 | 2 | 9 | 20:36 | 14 |
| კახეთი | 14 | 2 | 3 | 9 | 8:25 | 9 |
| ნორჩი დინამო | 14 | 1 | 5 | 8 | 15:27 | 8 |
| ჰერეთი | 14 | 1 | 4 | 9 | 10:31 | 7 |

**XVII ტური**

8 დეკემბერი

კახეთი – დინამო 2

სიონი 2 – ჩიხურა

თბილისი – ნორჩი დინამო

გაგრა 2 – ჰერეთი

9 დეკემბერი

ამერი – ვიტ ჯორჯია 2

### დასავლეთი

**ზესტაფონი 2 0:0 ბაია**

ზესტაფონი 2: ძაძამია, ხიხაძე, ზ. ლობჟანიძე, ბუკია, ბერუაშვილი, ი. ხვადაგიანი, ლ. გაბრიჭიძე (ჩიხლაძე 53), ლომაშვილი, სუხიაშვილი (ბ. ცხადაძე 79), სტეფანიშვილი, კეჭაყმაძე (ა. ლაბაძე 71)

*სათადარიგონი:* ო. ბოჭორიშვილი, ლ. ცხადაძე, გ. ხაჩიძე, ბერიძე

მწვრთნელი: გია ნადირაძე

ბაია: ივარდავა, ზ. ექონია, გ. პაჭკორია, ჟვანია, კვეკვესკირი, ძალამიძე, გუგუჩია (გ. ქირია 64), კუტალია (ეხვაია 56), წურწუმია, რაფავა, ვართაგავა

*სათადარიგონი:* მაქაცარია, ქაშაკაშვილი, ლ. ქობალია, კაკუშაძე, ქანთარია

მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი

გაფრთხილება: ბუკია, კეჭაყმაძე, ლომაშვილი

მსაჯი: მ. ურუშაძე

200 მაყურებელი

**მერანი (მ) 1:0 სამტრედია**

1:0 ცაგარეიშვილი (89)

მერანი (მ): კოდალაევი, ჩხიკვაძე, ფარცვანია, პაპადოპულოსი, წონორია, ზ. ენდელაძე (დ. თოდუა 38), ლ. კირკიტაძე (არდაშელია 90), ლ. ჩალაძე, ცაგარეიშვილი, ციცხვაია (გოგოლაძე 55), კვიტატიანი

*სათადარიგო:* შეროზია

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

სამტრედია: ი.დ. შენგელია, გოგია, სამსეიშვილი, ლ. მახარაძე, კვესეიშვილი, ჩომახიძე, ნინუა, ბაკურაძე (მუკბანიანი 86), ეცადეიშვილი, ადეიშვილი, მ. კაკალაძე (სუნიაევი 31)

*სათადარიგონი:* კეკელიძე, სალდაძე, გ. დარჯანია, ი.გ. შენგელია

მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: კვესეიშვილი, მახარაძე

მსაჯი: ო. ხეცაძე

1000 მაყურებელი

**ბათუმი 3:1 ჭიათურა**

1:0 გოგიტიძე (19), 1:1 ლაშხი (34), 2:1 ტულუში (42), 3:1 ბალაძე (49)

*დემურაძემ ვერ გაიტანა პენალტი (86)*

ბათუმი: თ. კაკალაძე, რამიშვილი, გოგიტაური, ზოიძე (ფარტენაძე 56), გოგუაძე, გოგიტიძე, ბ. მახარაძე, ი. ტულუში, დემურაძე, მალაზონია (ქადიძე 78), პ. ბალაძე (ლ. კალანდაძე 53)

*სათადარიგონი:* მ. აბაშიძე, გორჯელაძე, ვ. მჭედლიძე, ზაქარეიშვილი

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

ჭიათურა: მოცრაძე, ბრუსლი, გაფრინდაშვილი (ბითაძე 87), ცუცქირიძე, ტატამიძე, თემირ მიშველიძე, ვაშაძე (ხაჩიური 85), ნგოკო, ი. სარალიძე (ლვალაძე 89), ნ. ტყემალაძე, ლაშხი

*სათადარიგონი:* დ. იობიძე, რობაქიძე, ცერცვაძე

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

მსაჯი: პ. დოგრაშვილი

200 მაყურებელი

**ტორპედო 2008 3:1 გურია**

1:0 იმედაძე (19), 2:0 ჩხეტიანი (25), 2:1 ურუშაძე (41პ), 3:1 დანელია (72)

ტორპედო 2008: მიგინეიშვილი, ი. დარსაძე, ხარებავა, ბიბილაშვილი, დანელია, ბესარაშვილი, გურული, კობერიძე (ც. ხარაბაძე 88), ბ. ჩხეტიანი, იმედაძე, ა. ქობალია (ნიქორიძე 71)

*სათადარიგონი:* კუჭუხიძე, გ. ხარაბაძე, კუხიანიძე

მწვრთნელი: კახა კარანაძე

გურია: მ. გოგუაძე, რ. კუკულაძე (ცინცაძე 46), იმნაძე, ჯორბენაძე (ს. მოდებაძე 84), ი. კილაძე, შეწირული, სულაბერიძე, ხ. მგელაძე, ტ. კუკულაძე, ჯაყელი, ს. ურუშაძე

*სათადარიგონი:* ი. ხვედელიძე, ხიტირი, ლ. ციკოლია, ზ. კეკელიძე, ქურიძე

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

გაფრთხილება: შეწირული

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

200 მაყურებელი

**მეშახტე 0:0 კოლხეთი**

მეშახტე: თ. გიორგაძე, დონაძე, მ. ბოჭორიშვილი (გ. გვენეტაძე 84), წერეთელი, გოგუა, ლომთაძე, ჯიშიაშვილი, გ. ქობალია, ჭკუასელი, გვეტაძე, ავალიშვილი

*სათადარიგონი:* მ. თორთლაძე, რ. კალანდაძე

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

კოლხეთი: გ. შენგელია, მ. ჩხარტიშვილი, გ. სიჭინავა, ცხვიტარია, გოგნაძე (ლემონჯავა 57), აბურჯანია, გვიჩია (ლუსტა 86), ბაკარანძე (გ. ციკოლია 82), ქომეთიანი, გელაჭეიშვილი, ქანდაველაძე

*სათადარიგონი:* ჩემია, გვალია

მწვრთნელი: ნუგზარ ქვარაძე

გაფრთხილება: ბაკარანძე, ცხვიტარია

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

200 მაყურებელი

**XVII ტური**

7 დეკემბერი

**კოლხეთი 2:0 ტორპედო 2008**

**გურია 4:1 ბათუმი**

**ჭიათურა 2:0 მერანი (მ)**

8 დეკემბერი

სამტრედია – ზესტაფონი 2

ბაია – ხობი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაია | 15 | 10 | 4 | 1 | 25:6 | 34 |
| მერანი (მ) | 15 | 9 | 4 | 2 | 25:13 | 31 |
| სამტრედია | 15 | 9 | 2 | 4 | 26:12 | 29 |
| კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 19:10 | 27 |
| ჭიათურა | 16 | 7 | 1 | 8 | 23:20 | 22 |
| ხობი | 14 | 6 | 3 | 5 | 16:20 | 21 |
| ტორპედო 2008 | 16 | 6 | 1 | 9 | 7:12 | 19 |
| გურია | 16 | 5 | 3 | 8 | 22:24 | 18 |
| ზესტაფონი 2 | 14 | 4 | 3 | 7 | 13:21 | 15 |
| ბათუმი | 16 | 3 | 4 | 9 | 15:29 | 13 |
| მეშახტე | 15 | 1 | 2 | 12 | 9:33 | 5 |

## მეორე ლიგა

არაგველები 0:2 სპარტაკი 2

ალგეთი 0:2 იბსუ

გარეჯი 0:0 ამერი 2

ლიახვი 1:1 იმედი

ერთობა 4:3 35-ე სკოლა

ალაზანი 1:0 ნ. დინამო 2

ზოოვეტი 1:2 ლოკომოტივი 2

სამგორი 1:1 დუშეთი

ჰერეთი 2 3:0 ბორჯომი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუშეთი | 15 | 10 | 2 | 3 | 32:13 | 32 |
| ლოკომოტივი 2 | 14 | 9 | 3 | 2 | 31:15 | 30 |
| სპარტაკი 2 | 14 | 9 | 2 | 3 | 35:20 | 29 |
| ამერი 2 | 14 | 8 | 2 | 4 | 22:11 | 26 |
| გარეჯი | 14 | 7 | 2 | 5 | 21:14 | 23 |
| ერთობა | 14 | 7 | 2 | 5 | 24:23 | 23 |
| ჰერეთი 2 | 14 | 7 | 1 | 6 | 32:22 | 22 |
| ბორჯომი 2 | 14 | 7 | 1 | 6 | 18:22 | 22 |
| სამგორი | 14 | 5 | 6 | 3 | 25:19 | 21 |
| იბსუ | 14 | 6 | 1 | 7 | 26:29 | 19 |
| 35-ე სკოლა | 14 | 5 | 4 | 5 | 22:25 | 19 |
| იმედი | 14 | 4 | 5 | 5 | 17:21 | 17 |
| არაგველები | 14 | 4 | 4 | 6 | 15:17 | 16 |
| ლიახვი | 15 | 4 | 4 | 7 | 20:26 | 16 |
| ალგეთი | 14 | 4 | 2 | 8 | 16:26 | 14 |
| ზოოვეტი | 14 | 3 | 2 | 9 | 18:29 | 11 |
| ალაზანი | 14 | 3 | 2 | 9 | 11:27 | 11 |
| ნ. დინამო 2 | 14 | 1 | 3 | 10 | 8:34 | 6 |

## სამხრეთ ოსეთის ჩემპიონატი

### 1992-93-წლიანები

I ჯგუფი

მეტალურგი 2:2 გედა

მთ. გლობუსი 2:10 XXI საუკუნე 1

მერანი 91 2:6 სასკო

35-ე სკოლა 0:5 განთიადი

ნ. დინამო 2:1 ბერმუხა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| XXI საუკუნე 1 | 6 | 4 | 1 | 1 | 22:7 | 13 |
| განთიადი | 6 | 4 | 1 | 1 | 19:6 | 13 |
| გედა | 6 | 3 | 3 | 0 | 13:5 | 12 |
| 35-ე სკოლა | 6 | 3 | 0 | 3 | 16:20 | 9 |
| მეტალურგი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:7 | 8 |
| სასკო | 6 | 2 | 1 | 3 | 13:13 | 7 |
| ბერმუხა | 5 | 2 | 1 | 2 | 11:11 | 7 |
| ნ. დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 7:10 | 7 |
| მერანი 91 | 5 | 1 | 0 | 4 | 9:17 | 3 |
| მთ გლობუსი | 5 | 0 | 0 | 5 | 8:33 | 0 |

II ჯგუფი

იმედი 5:0 სკალდი

ერთობა 4:2 XXI საუკუნე 2

გეორგია 0:1 შავნაბადა

ნ. დინამო 7:1 ოლიმპიკი

თეთრი არწივი 2:2 გედა 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმედი | 6 | 5 | 1 | 0 | 23:3 | 16 |
| გედა 2 | 5 | 4 | 1 | 0 | 23:8 | 13 |
| ნ. დინამო | 6 | 3 | 2 | 1 | 20:8 | 11 |
| ერთობა | 5 | 3 | 1 | 1 | 15:7 | 10 |
| თეთრი არწივი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:12 | 7 |
| შავნაბადა | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 |
| სკალდი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:19 | 7 |
| XXI საუკუნე 2 | 5 | 1 | 0 | 4 | 7:16 | 3 |
| გეორგია | 6 | 0 | 1 | 5 | 4:18 | 1 |
| ოლიმპიკი | 4 | 0 | 1 | 3 | 5:22 | 1 |

### 1994-წლიანები

ნ. დინამო 1 4:1 ნ. დინამო 2

შევარდენი 1:3 გედა

განთიადი 4:3 35-ე სკოლა 2

იმედი (თბ) 2:2 XXI საუკუნე

აიაქსი 2:3 ლომები

ავაზა 8:1 35-ე სკოლა 1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გედა | 8 | 7 | 1 | 0 | 43:8 | 22 |
| ნ. დინამო 1 | 7 | 6 | 0 | 1 | 26:11 | 18 |
| იმედი (რ) | 7 | 6 | 0 | 1 | 19:4 | 18 |
| განთიადი | 7 | 6 | 0 | 1 | 23:9 | 18 |
| XXI საუკუნე | 8 | 3 | 3 | 2 | 16:16 | 12 |
| ლომები | 7 | 3 | 2 | 2 | 14:11 | 11 |
| შევარდენი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:13 | 8 |
| ნ. დინამო 2 | 7 | 2 | 2 | 3 | 12:18 | 8 |
| ავაზა | 6 | 2 | 1 | 3 | 16:9 | 7 |
| 35-ე სკოლა 1 | 7 | 2 | 0 | 5 | 10:30 | 6 |
| აიაქსი | 7 | 1 | 0 | 6 | 6:19 | 3 |
| 35-ე სკოლა 2 | 7 | 1 | 0 | 6 | 10:32 | 3 |
| იმედი (თბ) | 8 | 0 | 1 | 7 | 10:33 | 1 |

### 1995-წლიანები

იბერია-ამერი 5:3 მეტეხი 4

35-ე სკოლა 1:0 მეტეხი 3

ნ. დინამო 1 1:0 ოლიმპიკი

ნ. დინამო 2 3:0 35-ე სკოლა 2

ნ. დინამო 3 3:0 35-ე სკოლა 1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო 1 | 8 | 7 | 1 | 0 | 33:9 | 22 |
| ნ. დინამო 3 | 6 | 5 | 0 | 1 | 28:2 | 15 |
| იბერია-ამერი | 7 | 5 | 0 | 2 | 31:14 | 15 |
| მეტეხი 4 | 7 | 4 | 2 | 1 | 23:19 | 14 |
| ოლიმპიკი | 6 | 4 | 0 | 2 | 22:5 | 12 |
| ნ. დინამო 2 | 7 | 4 | 0 | 3 | 18:16 | 12 |
| იმედი (თბ) | 7 | 2 | 1 | 4 | 10:20 | 7 |
| მეტეხი 3 | 8 | 2 | 1 | 5 | 16:21 | 7 |
| 35-ე სკოლა | 7 | 2 | 0 | 5 | 6:32 | 6 |
| 35-ე სკოლა 1 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:29 | 4 |
| 35-ე სკოლა 2 | 7 | 0 | 0 | 7 | 4:32 | 0 |

# ბავშვთა ფეხბურთი ელიტლიგა

## 1992-წლიანები

IX ტური

ამერი 2 2:4 ამერი
გარეჯი 4:1 აკადემია 92
აკადემია 1:3 ოლიმპიკი
ნ. დინამო 5:2 თბილისი
შევარდენი 0:0 იმედი
გორი 2:2 დინამო
ავაზა — 35-ე სკოლა გადაიდო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 9 | 8 | 1 | 0 | 35:4 | 25 |
| გორი | 8 | 6 | 2 | 0 | 17:8 | 20 |
| ამერი | 9 | 6 | 1 | 2 | 18:8 | 19 |
| ნ. დინამო | 9 | 6 | 0 | 3 | 24:15 | 18 |
| თბილისი | 9 | 5 | 2 | 2 | 23:10 | 17 |
| ოლიმპიკი | 8 | 5 | 1 | 2 | 16:6 | 16 |
| იმედი | 9 | 4 | 1 | 4 | 12:17 | 13 |
| 35-ე სკოლა | 8 | 4 | 0 | 4 | 17:11 | 12 |
| შევარდენი | 9 | 3 | 1 | 5 | 15:16 | 10 |
| ავაზა | 7 | 2 | 1 | 4 | 8:15 | 7 |
| აკადემია 92 | 9 | 2 | 1 | 6 | 10:19 | 7 |
| გარეჯი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:27 | 7 |
| ამერი 2 | 9 | 1 | 0 | 8 | 12:31 | 3 |
| აკადემია | 9 | 0 | 0 | 9 | 4:35 | 0 |

## 1993-წლიანები

IX ტური

ამერი 2:1 ვეფხვები 2
აკადემია 1 4:1 მთ. გლობუსი
აკადემია 2 2:2 ოლიმპიკი
შევარდენი 3:0 35-ე სკოლა 4
ვეფხვები 7:3 35-ე სკოლა 3
იმედი 1:1 ქუთაისი
ნ. დინამო 1 0:2 საბურთალო
ნ. დინამო 2 0:0 35-ე სკოლა 2
ავაზა — 35-ე სკოლა 1 გადაიდო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა 1 | 8 | 8 | 0 | 0 | 29:8 | 24 |
| აკადემია 1 | 9 | 8 | 0 | 1 | 37:17 | 24 |
| ნ. დინამო 1 | 9 | 7 | 1 | 1 | 48:5 | 22 |
| შევარდენი | 9 | 7 | 0 | 2 | 21:9 | 21 |
| მთ. გლობუსი | 9 | 5 | 2 | 2 | 25:14 | 17 |
| ავაზა | 7 | 5 | 0 | 2 | 20:11 | 15 |
| საბურთალო | 8 | 4 | 2 | 2 | 24:13 | 14 |
| ნ. დინამო 2 | 9 | 4 | 2 | 3 | 16:13 | 14 |
| ოლიმპიკი | 9 | 3 | 3 | 3 | 21:14 | 12 |
| ქუთაისი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:10 | 11 |
| ამერი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:15 | 11 |
| აკადემია 2 | 9 | 3 | 1 | 5 | 15:27 | 10 |
| ვეფხვები | 9 | 3 | 0 | 6 | 13:23 | 9 |
| 35-ე სკოლა 2 | 9 | 2 | 1 | 6 | 17:31 | 7 |
| ვეფხვები 2 | 8 | 1 | 2 | 5 | 10:13 | 5 |
| 35-ე სკოლა 4 | 9 | 1 | 0 | 8 | 4:22 | 3 |
| იმედი | 9 | 0 | 1 | 8 | 8:43 | 1 |
| 35-ე სკოლა 3 | 9 | 0 | 1 | 8 | 9:51 | 1 |

## 1994-წლიანები

I ჯგუფი

IX ტური

ლოკომოტივი 3:0 ერთობა
აკადემია 1 0:4 35-ე სკოლა 3
აკადემია 1:1 ნ. დინამო 1
ვეფხვები 1:0 ამერი
საბურთალო — ავაზა გადაიდო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 9 | 8 | 1 | 0 | 41:3 | 25 |
| 35-ე სკოლა 1 | 8 | 7 | 1 | 0 | 26:5 | 22 |
| ამერი | 9 | 6 | 0 | 3 | 23:12 | 18 |
| საბურთალო | 8 | 5 | 1 | 2 | 26:13 | 16 |
| ნ. დინამო 1 | 9 | 5 | 1 | 3 | 19:8 | 16 |
| ვეფხვები | 9 | 4 | 2 | 3 | 13:24 | 14 |
| თბილისი 2 | 8 | 4 | 1 | 3 | 18:14 | 13 |
| აკადემია | 9 | 3 | 4 | 2 | 12:13 | 13 |
| 35-ე სკოლა 3 | 9 | 3 | 0 | 6 | 17:22 | 9 |
| ავაზა | 8 | 1 | 0 | 7 | 8:32 | 3 |
| ერთობა | 9 | 0 | 1 | 8 | 5:28 | 1 |
| აკადემია 1 | 9 | 0 | 0 | 9 | 1:35 | 0 |

II ჯგუფი. IX ტური

თბილისი 3 2:1 35-ე სკოლა 2
მთ. გლობუსი 1:0 ნ. დინამო 2
ამერი 2 1:3 აკადემია 94
გორი 1:2 ვეფხვები 2
იმედი — შევარდენი გადაიდო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 8 | 8 | 0 | 0 | 23:4 | 24 |
| ოლიმპიკი | 8 | 6 | 2 | 0 | 18:4 | 20 |
| იმედი | 8 | 6 | 1 | 1 | 25:7 | 19 |
| აკადემია 94 | 8 | 6 | 1 | 1 | 25:7 | 19 |
| თბილისი 1 | 7 | 5 | 1 | 1 | 25:7 | 16 |
| ვეფხვები 2 | 8 | 3 | 2 | 3 | 13:14 | 11 |
| მთ გლობუსი | 10 | 3 | 2 | 5 | 13:19 | 11 |
| 35-მეტეხი | 8 | 3 | 0 | 5 | 17:18 | 9 |
| გორი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:21 | 8 |
| 35-ე სკოლა 2 | 9 | 2 | 0 | 7 | 14:24 | 6 |
| თბილისი 3 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:27 | 5 |
| ნ. დინამო 2 | 9 | 1 | 1 | 7 | 6:23 | 4 |
| ამერი 2 | 7 | 0 | 2 | 5 | 4:17 | 2 |

## 1995-წლიანები

IX ტური

ნ. დინამო 5:0 35-ე სკოლა 2
საბურთალო 5:4 35-ე სკოლა 1
35-ე სკოლა 3 2:6 ავაზა 1
ავაზა 2 0:5 აკადემია 1
ჰერეთი 1:3 აკადემია 95

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 9 | 8 | 0 | 1 | 40:4 | 24 |
| აკადემია 95 | 9 | 7 | 1 | 1 | 32:6 | 22 |
| ჰერეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 18:10 | 19 |
| აკადემია 1 | 9 | 5 | 0 | 4 | 12:9 | 15 |
| 35-ე სკოლა 1 | 9 | 4 | 1 | 4 | 26:21 | 13 |
| საბურთალო | 8 | 4 | 1 | 3 | 24:21 | 13 |
| ავაზა 2 | 9 | 4 | 0 | 5 | 16:24 | 12 |
| ავაზა 1 | 8 | 3 | 0 | 5 | 18:18 | 9 |
| 35-ე სკოლა 3 | 9 | 0 | 1 | 8 | 9:41 | 1 |
| 35-ე სკოლა 2 | 9 | 0 | 1 | 8 | 4:45 | 1 |

## 1996-წლიანები

VIII ტური

ჩემპიონი 2:1 ოლიმპი
ვეფხვები 2 1:7 ვეფხვები 1
ამერი 2:4 ოლიმპიკი
35-ე სკოლა 5:0 ლოკომოტივი
გორი 5:0 აკადემია 2
შევარდენი 5:0 ნ. დინამო 2
თბილისი 0:1 აკადემია 1
ავაზა 1:5 ნ. დინამო 1
საბურთალო 1:0 იმედი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა | 8 | 6 | 2 | 0 | 44:6 | 20 |
| შევარდენი | 8 | 6 | 1 | 1 | 26:5 | 19 |
| გორი | 8 | 6 | 1 | 1 | 31:16 | 19 |
| ოლიმპი | 8 | 6 | 0 | 2 | 29:5 | 18 |
| ჩემპიონი | 8 | 5 | 2 | 1 | 29:12 | 17 |
| ოლიმპიკი | 7 | 5 | 1 | 1 | 25:7 | 16 |
| ამერი | 8 | 4 | 3 | 1 | 22:14 | 15 |
| ნ. დინამო 1 | 8 | 4 | 1 | 3 | 25:23 | 13 |
| აკადემია 2 | 8 | 3 | 3 | 2 | 13:14 | 12 |
| აკადემია 1 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:15 | 11 |
| ვეფხვები 1 | 7 | 3 | 1 | 3 | 21:10 | 10 |
| საბურთალო | 8 | 3 | 1 | 4 | 21:23 | 10 |
| იმედი | 8 | 3 | 0 | 5 | 13:13 | 9 |
| ვეფხვები 2 | 8 | 2 | 0 | 6 | 5:35 | 6 |
| თბილისი | 8 | 1 | 1 | 6 | 8:24 | 4 |
| ავაზა | 8 | 1 | 0 | 7 | 12:46 | 3 |
| ლოკომოტივი | 8 | 0 | 1 | 7 | 6:26 | 1 |
| ნ. დინამო 2 | 8 | 0 | 0 | 8 | 9:57 | 0 |

## 1997-წლიანები

VIII ტური

ნ. დინამო 2 1:13 თბილისი 1
აკადემია 3:3 თბილისი 2
ნ. დინამო 3 0:3 35-ე სკოლა 2
35-ე სკოლა 1 2:3 ლოკომოტივი
იმედი 1:3 ამერი
საბურთალო 4:3 ნ. დინამო 1
ავაზა *ისვენებს*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი 1 | 7 | 7 | 0 | 0 | 36:7 | 21 |
| 35-ე სკოლა 2 | 7 | 5 | 1 | 1 | 17:5 | 16 |
| ლოკომოტივი | 8 | 4 | 2 | 2 | 22:15 | 14 |
| ნ. დინამო 1 | 8 | 4 | 1 | 3 | 24:26 | 13 |
| საბურთალო | 7 | 4 | 0 | 3 | 25:14 | 12 |
| 35-ე სკოლა 1 | 7 | 4 | 0 | 3 | 17:18 | 12 |
| იმედი (თბ) | 7 | 3 | 2 | 2 | 19:13 | 11 |
| ამერი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:9 | 11 |
| ავაზა | 7 | 2 | 2 | 3 | 12:15 | 8 |
| თბილისი 2 | 7 | 1 | 4 | 2 | 14:16 | 7 |
| ნ. დინამო 3 | 7 | 1 | 1 | 5 | 11:20 | 4 |
| აკადემია | 7 | 0 | 3 | 4 | 14:21 | 3 |
| ნ. დინამო 2 | 8 | 0 | 0 | 8 | 11:54 | 0 |

## 1998-წლიანები

VII ტური

ნ. დინამო 3 4:5 ნ. დინამო 1
აკადემია 3:1 ლოკომოტივი
ავაზა 3:6 გორი
ამერი 7:0 ნ. დინამო 2
*შევარდენი ისვენებს*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გორი | 6 | 4 | 1 | 1 | 19:12 | 13 |
| ლოკომოტივი | 6 | 4 | 0 | 2 | 16:10 | 12 |
| ამერი | 5 | 3 | 0 | 2 | 16:6 | 9 |
| აკადემია | 5 | 3 | 0 | 2 | 9:7 | 9 |
| ავაზა | 5 | 3 | 0 | 2 | 16:15 | 9 |
| ნ. დინამო 1 | 5 | 2 | 2 | 1 | 10:9 | 8 |
| შევარდენი | 5 | 1 | 0 | 4 | 9:13 | 3 |
| ნ. დინამო 3 | 4 | 1 | 0 | 3 | 10:16 | 3 |
| ნ. დინამო 2 | 5 | 0 | 1 | 4 | 0:17 | 1 |

საქართველოში ფეხბურთს რომ უჭირს, სიახლე არ არის. ამ გაჭირვებაში ბევრი რამ იგულისხმება, განსაკუთრებით კი, ბავშვთა ფეხბურთი, სადაც ვისაც არ ეზარება, ყველა მუშაობს, კაციშვილი მომკითხავი არ არის... რამდენჯერ გვინახავს ჯინსებში გამოწყობილი მწვრთნელი, პირში გაჩრილი სიგარეტით და წვეტიანი ფეხსაცმლით, მოედნის კიდიდან რომ უცაცხანებს შეგირდებს, შიგადაშიგ კი ვიღაცას ემუსაიფება...

და ამ დროს ზოგს უკვირს, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი სამშაბათის ვარჯიშებზე ფეხბურთელებს ელემენტარულს რომ აკეთებინებს — ასეთ რამეებს ბავშვობაში უნდა სწავლობდეს ფეხბურთელი, მაგრამ...

გადავწყვიტეთ, კვირაში ერთხელ საფეხბურთო სკოლაში შევიაროთ და ჩვენი თვალით ვნახოთ, რა ვითარებაა აქა-იქ, რა პირობებში ვარჯიშობენ ბავშვები. ვიწყებთ თბილისიდან და აუცილებლად ვესტუმრებით რაიონებსაც, სადაც უფრო საგანგაშო მდგომარეობაა.

ჯერ 35-ე სკოლას ვესტუმრეთ, 2000 წელს დაბადებული ბავშვთა ვარჯიშს დავესწარით და მწვრთნელ ვოვა ვაშაძესაც გავესაუბრეთ. რაღა თქმა უნდა, პირველად ის ვკითხეთ ლიცენზიას ფლობს თუ არა



ნუგზარ საბანიძის ფოტო

# ნუ დათრგუნავთ ბავშვებს!

## ერთი დღე 35-ე სკოლაში

— C ლიცენზია მაქვს და B ლიცენზიის აღებასაც ვაპირებ.

**— რამდენადაც ვიცით, სკოლა თვითდაფინანსებაზეა. რამდენს იხდის ერთი ბავშვი?**

— სამწუხაროდ, ასეა. 40 ლარს.

**— რამდენი ჯგუფი გყავთ?**

— ორი, 19-19 ბავშვი.

**— საქართველოში ბევრ ოჯახს ფინანსურად უჭირს. თუ ყოფილა შემთხვევა, უფინანსობის გამო მშობელს ბავშვი სკოლიდან გაეყვანოს?**

— ბავშვების ოჯახებით ვინტერესდებით და სკოლის ნებართვით, შეღავათებს შეძლებისდაგვარად ვუკეთებთ. უფლება გვაქვს, ყოველი 20 ბავშვიდან ერთი უფასოდ ვავარჯიშოთ. აი, მაგალითად, ამ 38 ბავშვიდან ორი გათავისუფლებული გვყავს გადასახადიდან — ისინი დევნილები არიან.

**— კვირაში რამდენი ვარჯიში გაქვთ?**

— სამი. ვარჯიშები საათი და 10 წუთი გრძელდება.

**— ერთად ამდენი ბავშვის წვრთნა ძნელი არ არის?**

— სასურველია, ერთ ჯგუფში 10-12 ბავშვი იყოს, მაგრამ მჭიდრო გრაფიკის გამო საათები არ გვყოფნის. სასიხარულოა, რომ გაზაფხულიდან ჩვენი სკოლა ახალ სტადიონს შეიმატებს. „მარაკანას“ რომ ეძახიან, იქ კეთდება ახალი ხალიჩა და შემდეგ საათების შეზღუდვაც აღარ იქნება.

**— რამდენი თანაშემწე გყავთ?**

— ერთი, გიორგი ძნელაძე.

**— თანამედროვე ფეხბურთში სამედიცინო კონტროლი აუცილებელია. თქვენთან რა ხდება?**

— ბავშვმა წელიწადში ორჯერ უნდა გაიაროს შემოწმება. როგორც ვიცი, მომავალ წელს ჩვენს სკოლაში გაკეთდება სამედიცინო ცენტრი და ბავშვებიც აქვე გაივლიან შემოწმებას.

**— სამწუხაროდ, ჩვენთან ბევრმა მწვრთნელმა არ იცის, როგორი დატვირთვა უნდა მისცეს ბავშვს, ამის გამო კი მერე ფეხბურთელებს ტრავმები სტანჯავთ...**

— 13-14 წლამდე ფიზიკური დატვირთვები ყოვლად დაუშვებელია. საწყის წლებში ბავშვმა ბურთთან ურთიერთობა უნდა ისწავლოს. საქართველოში ბევრი ამას ყურადღებას არ აქცევს და უზომოდ ბევრს არბენინებს პატარებს — კუნთი განუვითარებელი რჩება და ზრდაშიც უშლის ხელს, მერე კი მთელი კარიერა ტრავმები იჩენს თავს. საქართველოში იშვიათად ნახავ ფეხბურთელს, რომელსაც კარგად აქვს განვითარებული კუნთები. ეს adrეულ ასაკში მიღებულმა დატვირთვებმა იცის.

**— ხშირად მწვრთნელები ბავშვებს ვარჯიშისას და განსაკუთრებით თამაშისას, მკვახედ უყვირიან. ეს რამდენად მისაღებია?**

— ასეთ ასაკში ყვირილი და შენიშვნების მიცემა ბავშვზე დამთრგუნველად მოქმედებს. პირიქით, რაც შეიძლება, უნდა გაამხნევო. ბავშვი ლაღად უნდა გაიზარდოს, მისთვის ყველა ვარჯიში ზეიმი უნდა იყოს. არ შეიძლება, 8 წლის ბავშვს დაუშალო, კაცს რატომ ატყუებო. შენიშვნას მხოლოდ მაშინ ვაძლევ, თუ დისციპლინას დაარღვევს.

**— და ბავშვებისთვის ვარჯიში სახალისო რომ იყოს, ამას მრავალფეროვანი წვრთნები სჭირდება...**

— რა თქმა უნდა. ევროპული საფეხბურთო სკოლების ვიდეო-მასალებს ვშოულობ. ახალი ინფორმაციის მიღებას ყოველდღიურად თუ არ ეცადე, არაფერი გამოვა...

**— კვებას თუ აკონტროლებთ?**

— მშობლებთან თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს და ვიცი, როგორ იკვებებიან, რჩევებსაც ვაძლევ. სასურველია, რძის ნაწარმი მიირთვან, აუცილებელია წვნიანიც. სასტიკად აკრძალული მაქვს კონსერვანტების მიღება და ცომეულსაც უნდა მოერიდონ.

**— ამ სკოლიდან ბავშვის უცხოეთში სტაჟირებაზე გაშვება შესაძლებელია?**

— უცხოეთში ბავშვის სტაჟირებაზე გაშვება პრობლემა არ არის, მთავარია, მათ ითამაშონ.

**ნუკრი ლოლაძე**





ნუგზარ საბანიძის ფოტო

# MADE IN მადეირა




**„ფრანს ფუტბოლმა“ 53-ედ დაასახელა ევროპაში მოთამაშე წლის საუკეთესო ფეხბურთელი, „სარბიელმა“ კი ამ ავტორიტეტულ გამოკითხვაში მეთხუთმეტედ მიიღო მონაწილეობა. „ფრანს ფუტბოლი“ ყოველი ქვეყნიდან თითო პარტნიორს ირჩევს და საქართველოდან ასეთი პირველი დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი „სარბიელია“. უფრო სწორად, „ფრანს ფუტბოლის“ პარტნიორი „სარბიელის“ გამომცემელი ზურაბ ფოცხვერიაა, ვინაიდან ეს გამომცემელ-რედაქტორთა გამოკითხვაა.**

**ისიც გავიხსენოთ, რომ „ფრანს ფუტბოლმა“ შარშან გამოკითხვის გეოგრაფია გააფართოვა და თუ იქამდე გამოკითხვაში მხოლოდ ევროპელები იღებდნენ მონაწილეობას, მეორე წელია, „ოქროს ბურთის“ მფლობელს მსოფლიოს მასშტაბით ირჩევენ...**

ქალაქ ფუნშალის მუნიციპალიტეტის ყოფილი მებაღე ალკოჰოლის მეტისმეტ სიყვარულს რომ არ ემსხვერპლა, გუშინ შვილთან ერთად გაიხარებდა. „ოქროს ბურთსაც“ შეახებდა ხელს და ორ-სამ ჭიქასაც ჩაარაკრაკებდა.

კრიშტიანუ რონალდუს მამა ჟოზე დინიშ ავეირუ 2005 წლის სექტემბერში მიებარა უფალს. სწორედ იმ დღეს, როცა პორტუგალიის ნაკრები მოსკოვში რუსეთთან, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის ჩავიდა. რონალდუმ იქ გაიგო მამის სიკვდილი და მაინც ითამაშა.

ფეხბურთელის დედა დოლორეში ამბობს, რომ ჟოზე დინიშს ოთხი შვილიდან ყველაზე მეტად კრიშტიანუ უყვარდა. სამი წლისას ბურთი უყიდა, რომელსაც ბავშვი მთელი დღის განმავლობაში ისე დასდევდა, როგორც კნუტი ძაფის გორგალს.

მერე კი, როგორც ზღაპარშია — იმდენი აგორა ბურთი, რომ გასულ სამშაბათს „ფრანს ფუტბოლის“ ელჩებმა მანჩესტერში ჩააკითხეს და სახლის კარზე მიუკაკუნეს. „ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო დღეა — თქვა რონალდუმ სახელდახელო ინტერვიუში — ჯერ კიდევ ბავშვობაში ვოცნებობდი ამ ჯილდოზე. ემოციები მომეძალა და საუბარიც მიჭირს. კარი რომ გავაღე, მეგონა, რომ „ოქროს ბურთს“ ჩამახუტებდნენ (დაჯილდოვების ოფიციალური ცერემონია გუშინ გაიმართა). დიდი მადლობა ყველას, ვინც ხმა მომცა. ეუსებიოს და ფიგუს შემდეგ „ოქროს ბურთის“ მომგები მესამე პორტუგალიელი ვარ და ძალიან მეამაყება. თითქმის დაუჯერებელია, რადგან ოთხი-ხუთი წლის წინ ერთი ჩვეულებრივი ფეხბურთელი ვიყავი. უბრალოდ, ფანტასტიკურია, კანდიდატებში ხომ სხვა საუცხოო მოთამაშეებიც იყვნენ. მეორეზე მესია, მესამეზე ტორესი, მერე კი კასილიასი და ხავი მოდიან. ოთხივეზე ალალი იყო „ოქროს ბურთი“.

„ოქროს ბურთი“ რონალდუს დარჩა, თუმც „ბარსას“ კაპიტანს კარლეს პუიოლს მიაჩნია, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ლიონელ მესია. „კრიშტიანუს ვულოცავ, მაგრამ ჩემი აზრით, მესი სჯობს. მისი თამაშის ყურება უდიდესი სიამოვნებაა“.

აი, რას წერს „სპორტ ილუსტრეიტედის“ ჟურნალისტი გაბრიელე მარკოტი: „სადავო არაა, რომ რონალდუს დიდებული სეზონი ჰქონდა. ყველა ტურნირში 42 გოლი შეაგდო, ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გაიტანა, მაგრამ შეიძლება თუ არა მისი გატოლება ზიდანთან და რონალდოსთან? მაგალითად, რა მონაგარი აქვს დიდ კლუბებთან დაპირისპირებისას ან ნაკრებში? „ჩელსისთან“, „ლივერპულთან“ და „არსენალთან“ 21 მატჩში ოთხი გოლი მიითვალა, მსოფლიოს (2006) და ევროპის (2008) ჩემპიონატებზე კი — ორი. მათ შორის ერთი პენალტით“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## საერთო შედეგები

| | I | II | III | IV | V | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რონალდუ | 77 | 11 | 4 | 1 | 3 | 446 |
| მესი | 6 | 33 | 27 | 14 | 10 | 281 |
| ტორესი | 5 | 13 | 24 | 9 | 12 | 179 |
| კასილიასი | 2 | 16 | 12 | 8 | 7 | 133 |
| ხავი | 3 | 9 | 4 | 15 | 4 | 97 |
| არშავინი | 0 | 3 | 4 | 10 | 20 | 64 |
| ვილია | 1 | 2 | 4 | 10 | 10 | 55 |
| კაკა | 0 | 4 | 2 | 4 | 1 | 31 |
| იბრაჰიმოვიჩი | 0 | 1 | 4 | 5 | 4 | 30 |
| ჯერარდი | 0 | 2 | 2 | 5 | 4 | 28 |
| სენა | 1 | 0 | 2 | 1 | 3 | 16 |
| ადებაიორი | 0 | 1 | 0 | 2 | 4 | 12 |
| რუნი | 0 | 0 | 1 | 2 | 4 | 11 |
| აგუერო | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 10 |
| ლამპარდი | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 8 |
| რიბერი | 0 | 0 | 1 | 1 | 2 | 7 |
| ეტოო | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 6 |
| ბუფონი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| ბალაკი | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 4 |
| ფაბრეგასი | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 4 |
| დროგბა | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 3 |
| რამოსი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| ვიდიჩი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| ვან დერ სარი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 |
| ვან ნისტელროი | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 |

## შედეგები ჩემპიონატების მიხედვით

ინგლისის პრემიერლიგა:
11 ფეხბურთელი, 700 ქულა
ესპანეთის პრიმერადივიზიონი:
9 ფეხბურთელი, 603 ქულა
იტალიის სერია A:
3 ფეხბურთელი, 66 ქულა
რუსეთის სუპერლიგა:
1 ფეხბურთელი, 64 ქულა
გერმანიის ბუნდესლიგა:
1 ფეხბურთელი, 7 ქულა

## 96 ქვეყნის არჩეული

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | კრეიგ ფოსტერი | ტვ სბს | მესი | რონალდუ | ხავი | ტორესი | კასილიასი |
| ავსტრია | ჰანს ჰუბერი | ორფ სპორტი | რონალდუ | ხავი | არშავინი | მესი | ვილია |
| აზერბაიჯანი | რაშიმ მუსტუმოვი | ფუტბოლ დუნიასი | რონალდუ | მესი | ტორესი | ვილია | არშავინი |
| ალბანეთი | ბესნიკ დიზდარი | ფუტბოლი | რონალდუ | კასილიასი | არშავინი | იბრაჰიმოვიჩი | მესი |
| ალჟირი | იაზით უაჰიბი | ელ ვატანი | რონალდუ | კასილიასი | მესი | ლამპარდი | ტორესი |
| აშშ | პოლ კენედი | სოკერ ამერიკა | რონალდუ | მესი | ტორესი | ხავი | არშავინი |
| ანგოლა | მეტიუ გონსალვეში | რადიო ლაკ | რონალდუ | კასილიასი | იბრაჰიმოვიჩი | მესი | ტორესი |
| ანდორა | მანუელ ტონონო | დიარი დე ანდორა | მესი | კაკა | ხავი | ვილია | რონალდუ |
| არგენტინა | ენრიკე საკო | რადიო რივადავია | მესი | რონალდუ | ტორესი | კასილიასი | აგუერო |
| ახ. ზელანდია | გორდონ ვატსონი | ოკეანია ფუტბოლი | რონალდუ | მესი | კასილიასი | ტორესი | ხავი |
| ბელარუსი | სერგეი ნიკოლაევი | პრეს ბოლი | რონალდუ | ხავი | მესი | ტორესი | არშავინი |
| ბელგია | მიშელ დუბუა | დერნიერ ეურ | რონალდუ | ჯერარდი | რიბერი | კასილიასი | არშავინი |
| ბოლივია | კარლოს რივერა | რადიო პანამერიკანა | მესი | აგუერო | რონალდუ | კაკა | კასილიასი |
| ბოსნია | აჰმედ ბურიჩი | ოსლობოჟენიე | ვილია | იბრაჰიმოვიჩი | მესი | რონალდუ | არშავინი |
| ბრაზილია | კლებერ მაჩადო | ტვ გლობო | მესი | რონალდუ | ჯერარდი | ვილია | ბალაკი |
| ბულგარეთი | ივან ავუსკი | რადიო ბულგარია | რონალდუ | კასილიასი | მესი | რუნი | არშავინი |
| განა | მიშელ ადეი | ტვ 3 | რონალდუ | მესი | ტორესი | არშავინი | ადებაიორი |
| გერმანია | რაინერ კალბი | ზიდ | რონალდუ | ტორესი | არშავინი | რიბერი | მესი |
| დანია | ნილს ლარსენი | ტიპსბლადეტი | რონალდუ | ხავი | ტორესი | არშავინი | კასილიასი |
| ეკვადორი | ფაბრისიო გარსია | ესტადიო | რონალდუ | კასილიასი | ტორესი | მესი | არშავინი |
| ეგვიპტე | ინას მაზჰარი | ალ აჰრამი | რონალდუ | მესი | ფაბრეგასი | ტორესი | ადებაიორი |
| ერაყი | სამი ემამი | სპორტსი | რონალდუ | კასილიასი | ტორესი | მესი | იბრაჰიმოვიჩი |
| ესპანეთი | პაკო აგილარი | ელ მუნდო დეპორტივო | ხავი | ტორესი | კასილიასი | მესი | რონალდუ |
| ესტონეთი | მარგუს ლუიკი | ეგენსი | რონალდუ | კასილიასი | ხავი | არშავინი | ტორესი |
| თურქეთი | სელჩუკ მანავი | ატვ | რონალდუ | მესი | ვილია | სენა | არშავინი |
| იამაიკა | აუდლი ბოიდი | ჯამაიკა გლენერი | რონალდუ | მესი | რამოსი | ტორესი | ეტოო |
| იაპონია | შუიჩი ტამურა | სოკერ მეგეზინი | რონალდუ | მესი | სენა | ხავი | არშავინი |
| ინგლისი | მაქს ვინტერი | ტელეგრაფი | რონალდუ | ტორესი | მესი | კასილიასი | ფაბრეგასი |
| ირანი | სიამაკ რაჰმანი | შარვანდი | რონალდუ | მესი | ხავი | ჯერარდი | არშავინი |
| ირლანდია | პოლ კელი | სოკერ მეგეზინი | რონალდუ | კასილიასი | ტორესი | მესი | ვილია |
| ისლანდია | ვიდირ სიგურდსონი | მურგუნბლადიდი | რონალდუ | მესი | ჯერარდი | ხავი | ტორესი |
| ისრაელი | ნოა ჯაკობი | იედიოთ აჰრონოთი | კასილიასი | რონალდუ | მესი | ხავი | ტორესი |
| იტალია | რობერტო ბეჩენტინი | ლა სტამპა | რონალდუ | კასილიასი | ტორესი | მესი | რუნი |
| კამერუნი | ბრიუს მბეზე | კამერუნ ტრიბუნი | რონალდუ | კასილიასი | მესი | ეტოო | ტორესი |
| კანადა | ნილ დევიდსონი | კანადიან პრესი | რონალდუ | ტორესი | მესი | ლამპარდი | ჯერარდი |
| კვიპროსი | მიშელ გავრიელიდისი | ო ფილელეპტეროსი | რონალდუ | ხავი | ტორესი | მესი | არშავინი |
| კოლუმბია | პაჩე ანდრადე | რსნ | ტორესი | ხავი | რონალდუ | ჯერარდი | მესი |
| კონგოს დრ | კოი ლონგოლა | რადიო ბბს აფრიკა | რონალდუ | კაკა | ეტოო | დროგბა | მესი |
| კოსტა რიკა | როდრიგო კასტრო | ლა ნასიონი | რონალდუ | კასილიასი | მესი | ხავი | ვილია |
| კოტ დივუარი | ადამ ხალილი | ფრატერნიტე მატინი | რონალდუ | ხავი | ტორესი | არშავინი | კასილიასი |
| კუბა | მიგელ ერნანდესი | დიარიო გრანმა | რონალდუ | მესი | კაკა | ტორესი | ვილია |
| ლატვია | ვალერი კარპუჩკინი | ჩასი | რონალდუ | მესი | ვილია | ტორესი | არშავინი |
| ლიხტენშტაინი | ერნსტ ჰასლერი | ვატერლენდი | ხავი | ვილია | არშავინი | მესი | რონალდუ |
| ლიტვა | გირდიუს იანონისი | ლიეტუვოს რიტასი | რონალდუ | მესი | კასილიასი | ვილია | არშავინი |
| ლუქსემბურგი | დიდიე ნადინი | ლავუა დე ლუქსემბურგი | რონალდუ | მესი | ტორესი | კასილიასი | არშავინი |
| მაკედონია | ბორო ტიმკოვსკი | ვეჩერი | რონალდუ | მესი | ვილია | არშავინი | რიბერი |
| მალტა | ჩარლს კამენზული | ნეტ ტელევიზიონი | რონალდუ | მესი | იბრაჰიმოვიჩი | კაკა | ვილია |
| მაროკო | მუსტაფა ბადრი | ელ მუგტახაბი | რონალდუ | ტორესი | მესი | ადებაიორი | კასილიასი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაისურებში გახვეული კრიშტიანუ



**ანდორინია** — კრიშტიანუ რონალდუს ბავშვობის გუნდი, სადაც მებაღეობამდე მამამისი ადმინისტრატორად მუშაობდა. მისი ხათრით მიიღეს და მალევე დაამტკიცა, რომ გუნდში ყველას ჯობდა.

**ბენფიკა** — რონალდუს საყვარელი კლუბი. „სპორტინგის“ მაისურით „ბენფიკას“ წინააღმდეგ თამაშის შემდეგაც კი ფეხბურთელმა აღიარა, რომ გულის სიღრმეში „არწივებს“ ქომაგობს.

**ელიზა სანჩესი** — „საპნის ოპერების“ კოლუმბიელ ვარსკვლავს რონალდუ გასულ ზაფხულს დასდევდა, მაგრამ სანჩესს ეგონა, რომ ჰომოსექსუალისტი აეკიდა და ბიჭი თავიდან მოიშორა. მერე ალბათ ინანა, რადგან როგორც ამბობენ, პორტუგალიელი ღამეში ქალებს სამ ათას ევრომდე უხდის.

**კლუივერტი** — სიყმაწვილეში შეარქვეს თანაგუნდელებმა, რომლებმაც კრიშტიანუსა და ჰოლანდიელ ფეხბურთელს შორის რაღაც საერთო იპოვეს, თუმც რონალდუს კერპი დიეგო მარადონაა.

**კერძები** — უძვირესი რესტორნების სტუმარია და განსაკუთრებით ქაბაბზე გიჟდება.

**კუნძული** — 12 წლის რონალდუ კუნძულ მადეირას საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. 30 წლის გამოცდილ მცველებსაც კი აბითურებდა და ბურთს ფეხებშუა უძვრენდა.

**ლოს ანჯელეს გალაქსი** — კარიერა შეიძლება ამ კლუბში დაასრულოს. ერთ-ერთმა ამერიკულმა იმიჯ-კომპანიამ უკვე გააფორმა რონალდუსთან კონტრაქტი.

**მეექვსე გრძნობა** — პორტუგალიელს სჯერა, რომ კარიერის დამთავრების შემდეგ ჰოლივუდის ვარსკვლავი გახდება და ნებისმიერ როლს ითამაშებს. „120 პროცენტით დარწმუნებული ვარ წარმატებაში“ — თქვა რონალდუმ.

**ნასიონალი** — მეორე კლუბი რონალდუს კარიერაში. „ნასიონალმა“ „ანდორინიას“ ერთი სეზონის საკმარი ფორმები მისცა და სანაცვლოდ ფეხბურთელი წაიყვანა.

**ოჯახი** — კრიშტიანუ რონალდუ და-ძმებში უმცროსია. უგო 33 წლისაა, ელმა 35-ისა და ლილიანა 31-ის. ლილინა პორტუგალიაში ცნობილი მომღერალია ფსევდონიმით რონალდა.

**ჟერარ ულიე** — „ლივერპულის“ ყოფილმა მწვრთნელმა 16 წლის რონალდუს თამაში რომ ნახა, მოიხიბლა, მაგრამ კლუბის შეფებმა არ აყიდვინეს.

**რეალი** — მადრიდული კლუბი მთელი ზაფხულის განმავლობაში ნადირობდა რონალდუზე და „მანჩესტერს“ 80 მილიონი ევროც შეაძლია, მაგრამ ალექს ფერგიუსონმა იუარა.

**სიძუნწე** — სიმდიდრის მიუხედავად, რონალდუს ზოგჯერ სიძუნწეც წამოუვლის. ერთხელ ოფიციანტს რესტორანში ფეხის ქირა არ დაუტოვა.

**საჩუქარი** — საუკეთესო საჩუქრად მამისგან ნაბოძებ ბურთს მიიჩნევს, რომელთან ერთადაც იძინებდა.

**ფული** — ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ცოტა ხნის წინ რონალდუმ „აუდი 07“-ში რამდენიმე ასეული ათასი ევრო გაიმეტა და მანჩესტერთან ალოს ხუთ მილიონად სახლი შეიძინა.

**უცნაურობა** — ზოგჯერ პატარა ბავშვივით იქცევა. როცა საკუთარი თამაშით უკმაყოფილოა, ეზოში ტელევიზორს დგამს და ცდილობს რომ ბურთი გაარტყას. გარდა ამისა, დიპლიპიტოზე დაკვრით ერთობა.

**ხელფასი** — თვეში 120 ათასი გირვანქა აქვს და 180-ს ითხოვს.

**ჰარისონი** — „მიდლსბროს“ 68 წლის ქომაგია, რომელსაც რონალდუმ შემთხვევით ბურთი გაარტყა. კაცმა ხელი აიფარა და მაჯა გადაემტვრა.

**გაჟა ხუციშვილი**

## ფრანს ფუტბოლის ოქროს ბურთის ყველა მფლობელი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1956 | სტენლი მეთიუზი | 1982 | პაოლო როსი |
| 1957 | ალფრედო დი სტეფანო | 1983 | მიშელ პლატინი |
| 1958 | რაიმონ კოპა | 1984 | მიშელ პლატინი |
| 1959 | ალფრედო დი სტეფანო | 1985 | მიშელ პლატინი |
| 1960 | ლუის სუარესი | 1986 | იგორ ბელანოვი |
| 1961 | ომარ სივორი | 1987 | რუუდ გულიტი |
| 1962 | იოზეფ მასოპუსტი | 1988 | მარკო ვან ბასტენი |
| 1963 | ლევ იაშინი | 1989 | მარკო ვან ბასტენი |
| 1964 | დენის ლოუ | 1990 | ლოთარ მათეუსი |
| 1965 | ეუსებიო | 1991 | ჟან-პიერ პაპენი |
| 1966 | ბობი ჩარლტონი | 1992 | მარკო ვან ბასტენი |
| 1967 | ფლორიან ალბერტი | 1993 | რობერტო ბაჯო |
| 1968 | ჯორჯ ბესტი | 1994 | ხრისტო სტოიჩკოვი |
| 1969 | ჯანი რივერა | 1995 | ჟორჟ ვეა |
| 1970 | გერდ მიულერი | 1996 | მათიას ზამერი |
| 1971 | იოჰან კრუიფი | 1997 | რონალდო |
| 1972 | ფრანც ბეკენბაუერი | 1998 | ზინედინ ზიდანი |
| 1973 | იოჰან კრუიფი | 1999 | რივალდო |
| 1974 | იოჰან კრუიფი | 2000 | ლუიშ ფიგუ |
| 1975 | ოლეგ ბლოხინი | 2001 | მაიკლ ოუენი |
| 1976 | ფრანც ბეკენბაუერი | 2002 | რონალდო |
| 1977 | ალან სიმონსენი | 2003 | პაველ ნედვედი |
| 1978 | კევინ კოგანი | 2004 | ანდრეი შევჩენკო |
| 1979 | კევინ კოგანი | 2005 | რონალდინიო |
| 1980 | კარლ-ჰაინც რუმენიგე | 2006 | ფაბიო კანავარო |
| 1981 | კარლ-ჰაინც რუმენიგე | 2007 | რიკარდუ კაკა |

## ტოპ-ხუთეულები

France Football

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | სალვადორ აგილერა | ესტო | რონალდუ | არშავინი | კასილიასი | ვილია | მესი |
| მოლდოვა | იონ სანდუ | სპორტ მოლდოვა | რონალდუ | მესი | კასილიასი | კაკა | არშავინი |
| ნიგერია | სამ აუდუ | კიკ ოფ ნიგერია | რონალდუ | მესი | ვილია | ადებაიორი | სენა |
| ნორვეგია | სტენ იენსენი | მენ ფუტბოლი | რონალდუ | მესი | ტორესი | იბრაჰიმოვიჩი | ვილია |
| პარაგვაი | რუბენ და როსა | ტელედეპორტესი | რონალდუ | მესი | ტორესი | აგუერო | იბრაჰიმოვიჩი |
| პერუ | კარლოს სალინასი | ლიბერო | რონალდუ | მესი | ტორესი | კაკა | ვილია |
| პოლონეთი | ჟესლავ ლუდვიჩეკი | ტიგოდნიკ კიბიცა | რონალდუ | კასილიასი | მესი | ვილია | ტორესი |
| პორტუგალია | ხუაკინ რიტა | ანტენა 1 | რონალდუ | ხავი | იბრაჰიმოვიჩი | მესი | რუნი |
| რუმინეთი | რადუ ტიმოფტე | როიტერი | რონალდუ | ვილია | მესი | არშავინი | ტორესი |
| რუსეთი | კონსტანტინ კლეტჩევი | კანალ სპორტი | რონალდუ | არშავინი | მესი | ტორესი | კასილიასი |
| საამიროები | დაფრალაჰ მუადენი | ტვ მბს | ტორესი | რონალდუ | მესი | იბრაჰიმოვიჩი | ვან ნისტელროი |
| საბერძნეთი | მანოს სტარამოპულოსი | სპორტაიმი | რონალდუ | კასილიასი | სენა | არშავინი | ხავი |
| ს. აფრიკა | მარკ გლისონი | როიტერი | რონალდუ | ხავი | ტორესი | რუნი | ვან ნისტელროი |
| ს. არაბეთი | რაჯალაჰ ალ სოლამი | ოქაზი | რონალდუ | მესი | ტორესი | კასილიასი | ხავი |
| ს. კორეა | ჰანსეოკ კიმი | სპორტს სეული | რონალდუ | მესი | კასილიასი | ტორესი | ვილია |
| საფრანგეთი | დენის შაუმიერი | ფრანს ფუტბოლი | რონალდუ | ტორესი | მესი | არშავინი | ჯერარდი |
| საქართველო | ზურაბ ფოცხვერია | სარბიელი | რონალდუ | მესი | ტორესი | ვილია | ჯერარდი |
| სან მარინო | მარკო ცუნინო | კალჩოს სამარინეზე | ბუფონი | რონალდუ | აგუერო | იბრაჰიმოვიჩი | მესი |
| სალვადორი | მარიო პასი | ლაპრენსა გრაფიკა | რონალდუ | კასილიასი | იბრაჰიმოვიჩი | მესი | სენა |
| სენეგალი | ალიუ გოლოკო | ალაფრიკა | რონალდუ | მესი | კასილიასი | ჯერარდი | ადებაიორი |
| სერბეთი | იოვან ველიჩკოვიჩი | სპორტსკი ჟურნალი | მესი | კაკა | რონალდუ | ხავი | ტორესი |
| სლოვაკეთი | პეტერ სურინი | სპორტი | რონალდუ | არშავინი | ტორესი | ხავი | მესი |
| სლოვენია | ანდრეი სტარე | რტვ სლოვენია | რონალდუ | ტორესი | მესი | ხავი | რუნი |
| სომხეთი | სურენ ბალდასარიანი | ფუტბოლ პლუსი | რონალდუ | მესი | ტორესი | კასილიასი | ვილია |
| ტოგო | მატიას აიენა | რადიო ლომე | რონალდუ | ადებაიორი | ტორესი | მესი | კასილიასი |
| ტრინიდადი | ლასანა ლიბურდი | ტრინიდად ექსპრესი | რონალდუ | ტორესი | მესი | ხავი | არშავინი |
| ტუნისი | აბდესლამ დაიფალაჰი | რადიო მოსაიკი | რონალდუ | მესი | კასილიასი | ხავი | იბრაჰიმოვიჩი |
| უელსი | ალუნ ევანსი | ველშ ფუტბოლი | რონალდუ | ხავი | კასილიასი | ბალაკი | მესი |
| უკრაინა | იგორ ლინიკი | ტოპ ფუტბოლი | ხავი | რონალდუ | მესი | ლამპარდი | სენა |
| უნგრეთი | მატიას იმრე | ნბ 1 | კასილიასი | რონალდუ | ტორესი | არშავინი | მესი |
| ურუგვაი | რიკარდო პინეირუა | რადიო ესპექტადორი | რონალდუ | მესი | კაკა | ვილია | ბალაკი |
| ფარერები | იაკუპ მორკი | სოსიალურინი | რონალდუ | ტორესი | მესი | ვილია | იბრაჰიმოვიჩი |
| ფინეთი | მატი ეინიო | ილტა სანომატი | რონალდუ | ტორესი | მესი | ხავი | ჯერარდი |
| ქუვეითი | აჰმედ აბდულაზიზი | ალ ვატანი | რონალდუ | მესი | კასილიასი | ხავი | ტორესი |
| ყაზახეთი | გენი ტულეგენოვი | პრო სპორტი | რონალდუ | მესი | ტორესი | ვილია | არშავინი |
| ჩილე | დანილო დიასი | რადიო ბიო ბიო | სენა | კასილიასი | რონალდუ | არშავინი | მესი |
| ჩინეთი | ლუ მინგი | ტიტანს სპორტსი | ტორესი | რონალდუ | კასილიასი | მესი | ხავი |
| ჩრდ. კორეა | რი დონგ გიუ | სამაუწყებლო სადგური | რონალდუ | კაკა | მესი | ჯერარდი | ადებაიორი |
| ჩრდ. ირლანდია | ჯეკი ტაგარტი | ბიბისი | რონალდუ | ტორესი | მესი | ლამპარდი | ვილია |
| ჩერნოგორია | დანილო მიტროვიჩი | ნდ ვლესტი | რონალდუ | მესი | რუნი | ხავი | არშავინი |
| ჩეხეთი | სტანისლავ ჰრაბე | გოლი | რონალდუ | მესი | ტორესი | კასილიასი | არშავინი |
| შოტლანდია | ბრაიან სქოთი | დეილი მეილი | რონალდუ | ჯერარდი | მესი | ხავი | ტორესი |
| შვედეთი | ჰენრიკ ისტენი | ოფსაიდი | რონალდუ | ტორესი | ვიდიჩი | კასილიასი | არშავინი |
| შვეიცარია | პიერ დუპუა | ტვ სვის რომანდე | რონალდუ | ხავი | მესი | ვან დერ სარი | ტორესი |
| ხორვატია | ზდრავკო რეიჩი | სლობოდნა დალმაჩია | რონალდუ | ტორესი | მესი | ხავი | რუნი |
| ჰაიტი | ენოკ ნერე | ლე ნუველისტე | რონალდუ | კასილიასი | ტორესი | მესი | დროგბა |
| ჰოლანდია | ფრანს ნიუვენდოფი | ეინდჰოვენ დაგბლადი | ტორესი | რონალდუ | მესი | არშავინი | კასილიასი |
| ჰონდურასი | ფრანსისკო გარსია | ელ ელარდო | ტორესი | რონალდუ | მესი | იბრაჰიმოვიჩი | კაკა |

### შედეგები კლუბების მიხედვით

**მანჩესტერი:** 4 ფეხბურთელი 462
**ბარსელონა:** 3 ფეხბურთელი 384
**ლივერპული:** 2 ფეხბურთელი 207
**რეალი:** 3 ფეხბურთელი 138
**ზენიტი:** 1 ფეხბურთელი 84
**ვალენსია:** 1 ფეხბურთელი 55
**მილანი:** 1 ფეხბურთელი 31
**ინტერი:** 1 ფეხბურთელი 30
**ვილიარეალი:** 1 ფეხბურთელი 16
**არსენალი:** 2 ფეხბურთელი 16

### შედეგები ქვეყნების მიხედვით

**ესპანეთი:** 7 ფეხბურთელი 487
**პორტუგალია:** 1 ფეხბურთელი 446
**არგენტინა:** 2 ფეხბურთელი 291
**რუსეთი:** 1 ფეხბურთელი 64
**ინგლისი:** 3 ფეხბურთელი 47

### ხუთეულები კონფედერაციების მიხედვით

**ევროპა** (53 ხმა):
რონალდუ, მესი, ტორესი, ხავი, კასილიასი

**აფრიკა** (13 ხმა):
რონალდუ, მესი, კასილიასი, ტორესი, ადებაიორი

**სამხრეთ ამერიკა** (9 ხმა):
რონალდუ, მესი, ტორესი, კასილიასი, აგუერო

**აზია** (9 ხმა):
რონალდუ, მესი, ტორესი, კასილიასი, ხავი

**კონკაკაფი** (10 ხმა):
რონალდუ, მესი, ტორესი, კასილიასი, არშავინი

**ოკეანეთი** (2 ხმა):
რონალდუ, მესი, კასილიასი, ტორესი, ხავი




## საკლუბო ჯილდოები:

ინგლისის ჩემპიონი — 2007, 2008.

ასოციაციის თასი — 2004.

ლიგის თასი — 2006.

ჩემპიონთა თასი — 2008.

ინგლისის სუპერთასი.

## სანაკრებო მიღწევა:

ევროპის ვიცე-ჩემპიონი 2004.

## პირადი ჯილდოები:

„ოქროს ბურთი" — 2008.

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი FIFPRO-ს ვერსიით — 2008.

საუკეთესო ფეხბურთელი უეფას ვერსიით — 2008.

საუკეთესო თავდამსხმელი უეფას ვერსიით — 2008.

პორტუგალიის საუკეთესო ფეხბურთელი — 2007.

ინგლისის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი — 2007.

ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი პრემიერლიგის მოთამაშეების ვერსიით — 2007, 2008.

ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი გულშემატკივართა ვერსიით — 2007, 2008.

ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი ბრიტანელი ჟურნალისტების ვერსიით — 2007, 2008.

პრემიერლიგის თვის საუკეთესო — ნოემბერი-დეკემბერი 2006, იანვარი 2008, მარტი 2008.

„ოქროს ბუცი" — 2008.

პრემიერლიგის ბომბარდირი — 2008.

ჩემპიონთა ლიგის მთავარმეგოლე — 2008.

„მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმეგოლე —2007 (23 გოლი), 2008 (42).

„ბრინჯაოს ბურთი" — 2007.

წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი FIFPRO-ს ვერსიით — 2005, 2006.

ევროპის ჩემპიონატის (2004) სიმბოლურ ნაკრებში უეფას ვერსიით.

ევროპის 2004 წლის სიმბოლური ნაკრებში უეფას ვერსიით.

„ბრავო" — (იტალიური „გუერინ სპორტივოს" მიერ დაწესებული 1978 წლიდან) ჯილდო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის — 2004.



კრიშტიანუ რონალდუ დედასთან და მამასთან ერთად











ეროვნული ბიბლიოთეკა

# იკითხეთ მაინც, ანუ დასაჯერებელი ამბავი

## რაო, რამდენით რამდენი წავაგეთო?



**ერთი** კარგი ქართული ფილმი, „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ ხომ იცით: საქმის გაკეთება არავის რომ არ უნდა და პიესას წასაკითხად ყველა ერთმანეთს რომ აჩეჩებს. აი, დაახლოებით ასეა დღეს ქართული ხელბურთის ამბავი. წელი მიიწურა და საქმე სახარბიელოდ ნამდვილად ვერ არის. (აქ უფრო მკვეთრი სიტყვაც შეგვეძლო გვეხმარა...)

არადა, წელი ურიგოდ არ დაწყებულა, იანვარში ნაკრებმა „ჩელენჯ ტროფის“ ტურნირი მოიგო. მართალია, ეს შეჯიბრი დიდი პრესტიჟულობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ გაჭირვებაში მყოფი ქართული ხელბურთისთვის ესეც შვებად ჩანდა. მერე კი ცუდი ამბები ერთმანეთს თონიდან ამოყრილი ლავაშებივით მიეწყო და დასასრული ჯერაც არ უჩანს...

ოთხგუნდა ეროვნული ჩემპიონატი რის ვაივაგლახით ჩამთავრდა. ფინალში „თბილისის“ და სტუ-ს ხელბურთელებმა გვარიანი ცემატყეპა გააჩაღეს და თამაში არც დამთავრებულა. ჩემპიონი კი ზედიზედ მეთვრამეტედ სტუ გახდა.

მალევე ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე თანამდებობიდან გადადგა. 29 ივნისის რიგგარეშე საარჩევნო ყრილობაზე ხელბურთელებმა ახალ პრეზიდენტად ზაურ ცხადაძე აირჩიეს, თუმცა მაშინვე ცნობილი იყო, რომ შემოდგომაზე კიდევ ერთი არჩევნები ჩატარდებოდა და ხელბურთელები პრეზიდენტს ამჯერად უკვე ოთხი წლით აირჩევდნენ.

ზაფხულის არჩევნებზე დელეგატებმა ერთსულოვნება გამოიჩინეს და ცხადაძეს მხარი ერთხმად დაუჭირეს. ახალი პრეზიდენტისთვის კითხვები არავის დაუსვამს და არ უკითხიათ, თუ რის გაკეთებას აპირებდა მომავალში.

ივლისის თვეში ეროვნული ნაკრები ვენეციაში მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატზე გაემგზავრა და მეექვსე ადგილი დაიკავა. ბიჭები იტალიაში შეკრების გაუვლელად წავიდნენ და აქედან მოყოლებული მენაკრებეთა თავმოყრა ვერაფრით მოხერხდა. ნაკრების თავკაცი იმედო ფხაკაძე იხვეწებოდა, ბიჭებისთვის ერთი შეკრება მაინც გავახერხოთო. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი კარს იყო მომდგარი და ნაკრებს მომზადება სჭირდებოდა. ხვეწნა ამაო გამოდგა...

მერე სულაც ისე მოხდა, რომ ფედერაციამ ეროვნული გუნდი ქვეყანაში შექმნილი საომარი ვითარების და ფინანსური პრობლემების გამო შესარჩევში აღარ ათამაშა. ერთ-ერთ მიზეზად ისიც დასახელდა, რომ ნაკრები თამაშებს მოუმზადებელი ხვდებოდა და შესარჩევში ჩაბმა აზრს კარგავდა.

ისე, საკითხავია, მაინც რა სჯობს, შესარჩევ ეტაპზე ცუდი თამაში თუ საერთოდ უთამაშებლობა?

საინტერესო კიდევ იცით რა არის? ფედერაციამ ნაკრების შესარჩევიდან მოხსნის შემდეგ პრიორიტეტად ბავშვთა ხელბურთის განვითარება დაისახა. არის კი რამე ბავშვისთვის იმაზე დიდი სტიმული, როდესაც ნაკრების თამაშს უყურებს და გულში ოცნებობს — მე როდის ჩავიცვამ ეროვნულ მაისურას და ქვეყნის ღირსებას დავიცავო? ვფიქრობთ, არც არაფერი. მეტიც, ყველაზე მეტად პატარა ბავშვებისთვის ბიძგის მიმცემი სწორედ ეროვნული ნაკრებია...

აქამდე თუ იმას ვჩიოდით, საქართველოს ჩემპიონატის დონე ძალიან დაბალია და ოთხგუნდა პირველობას გუნდები აუცილებლად უნდა დაემატოსო, ახლა ჩემპიონატის ჩატარებაც სანატრელი გახდა და ეს საკითხი ჯერაც ცაშია გამოკიდებული. მეტი უბედურება რა გნებავთ — გუნდებმა სამონაწილეო ათას-ათასი ლარიც კი ვერ შეაგროვეს...

ამასობაში მეორე არჩევნების დროც დადგა და 22 ნოემბერს ხელბურთელებმა ზაზა დოლიძე ოთხი წლით აირჩიეს. ამჯერადაც, წინა არჩევნების მსგავსად, პრეზიდენტობის მსურველი მხოლოდ ერთი კანდიდატი იყო და არჩევნის გასაკეთებლად დელეგატებს ტვინი არ უჭყლეტიათ. სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ჩატარებულ არჩევნებზე 18 იურიდიული პირიდან 16 გამოცხადდა და დოლიძეს მხარი ერთხმად დაუჭირა. უცნაურია, მაგრამ ჯერ პრეზიდენტი აირჩიეს და მერე მოხდა სამოქმედო გეგმის გაცნობა. თუმცა ზაზა დოლიძისთვის კითხვების დასმით თავი მერეც არავის შეუწუხებია... არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, ერთადერთი, შიგადაშიგ ჯანო ბაგრატიონის რეპლიკები არღვევდა საერთო იდილიას. საკითხავი კი ისაა, ნახევარ წელიწადში მეორედ რომ ირჩევ პრეზიდენტს, რატომ არ უნდა გაგიჩნდეს თუნდაც ერთი კითხვის დასმის სურვილი? მით უფრო მას შემდეგ, ეროვნული გუნდი შესარჩევში რომ ველარ თამაშობს, ეროვნული ჩემპიონატის დაწყების თარიღს ფედერაცია სამჯერ გადაიტანს და ჯერაც არ აქვს პირველობის დაწყების თარიღი გარკვეული...

ისევ ნაკრებს დავუბრუნდეთ და ნოემბრის მიწურულს პოლონეთში გამართულ ამხანაგურ თამაშებზე ვთქვათ.

თავიდან ისე იყო, რომ ჩვენებს პოლონეთში მასპინძლების, გერმანელების და ნორვეგიელების მეორე ნაკრებებთან ოთხთა ტურნირზე უნდა ეთამაშათ, მერე კი 29 ნოემბერს საქართველოს და პოლონეთის ეროვნული ნაკრების ამხანაგური მატჩი უნდა გამართულიყო. თუმცა გერმანელებმა და ნორვეგიელებმა ტურნირზე ჩასვლა აღარ ინებეს და ხელთ მხოლოდ პოლონეთი შეგვრჩა, რომელთანაც ქართველებმა ჯერ 30:34 წააგეს, მერე 27:33. 29-ში კი უკვე ეროვნული ნაკრებების მატჩი ჩატარდა, სადაც მასპინძლებმა 39:30 იმარჯვეს. ჰო, მეორე მატჩის შემდეგ ფედერაციაში ანგარიშის გასაგებად რომ დავრეკეთ, გვითხრეს, ჩვენები ოდენ ერთი ბურთით, 33:34 დამარცხდნენო. მერე პოლონეთის ხელბურთის ფედერაციის საიტზე შევედით და ვნახეთ, რომ ნაკრებს თურმე 27:33 წაეგო...

ისიც სათქმელია, რომ პოლონეთში ნაკრებს უკვე ბექა ორჯონიკიძე თავკაცობდა, ვინც დროებით, პოლონეთში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე დანიშნეს მწვრთნელად.

ახლა სამი წაგების გამო ბიჭებზე და მწვრთნელზე აუგის თქმა უსამართლობა იქნება. რაც უნდა იყოს, გუნდი ამჯერადაც მოუმზადებელი წავიდა სათამაშოდ.

სწორედ შეკრების გაუვლელობა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ნაკრების ყოფილი თავკაცი იმედო ფხაკაძე თანამდებობიდან გადადგა. მან „სარბიელთან“ ინტერვიუში თქვა, თუ პოლონეთში გამგზავრებამდე ნაკრების შეკრება ვერ მოხერხდება, თანამდებობიდან გადავდგები, ისე იქ წასვლას აზრი არ აქვს და არ ვარ ის კაცი, ნაკრებს გასართობად გავყვეო...

ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსიც: ფხაკაძეს თვეების განმავლობაში ხელფასი არ ჰქონდა აღებული...

ასე რომ, ზაზა დოლიძეს და მის გუნდს საქმე თავზესაყრელი აქვთ. ოღონდ საკეთებელი ყველამ უნდა აკეთოს, და არა ისე, თავში ნახსენები ფილმის გმირებივით, როდესაც ვაჟა ზაზაევიჩს სულ სადღაც ეჩქარება და არც სხვები იკლავენ მაინცდამაინც საქმის კეთებით თავს. ზოგი უქეიფოდაა და ზოგი ალბათ საქეიფოდ.

**ლექსო მაისურაძე**





# ჩამოსვლა გადაიდო



ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრა დაისახა მიზნად და ამ საქმეში დახმარება განთქმულ წყალბურთელს, ამჟამად რუსეთის „შტურმში" მოთამაშე რევაზ ჩომახიძეს სთხოვა. ჩომახიძე საქართველოში უნდა ჩამოსულიყო და ნაკრები ჩაებარებინა. ამ მხრივ ნაბიჯებიც გადაიდგა, ნაცვლიშვილი და ჩომახიძე კიევში შეხვდნენ და გეგმებზეც ისაუბრეს. მალევე ჩომახიძემ „სარბიელთან" ინტერვიუში თქვა, ძალიან მინდა ნაკრების მწვრთნელობა, მაგრამ გარკვეული საკითხებია მოსაგვარებელიო. მთავარი დაბრკოლება კი „შტურმთან" მოქმედი კონტრაქტია, რომელსაც ვადა 2010 წლის მაისში გადის. ანუ გამოდის, რომ კონტრაქტის დამთავრებამდე ნაკრების გაძღოლას ვერ ახერხებს. თუმცა ის თანახმაა, ნაკრებს სხვა მხრივ დაეხმაროს, თუნდაც ევროპასთან კონტაქტების დამყარებით. ამასობაში კი ნაკრები ვეტერან წყალბურთელ ვლადიმერ ისელიძეს ჩააბარეს.

## რატომ არ უშვებენ რუსები ჩომახიძეს საქართველოში

— ვიცი, რომ ნაკრები ვლადიმერ ისელიძეს ჩააბარეს. საქართველოსთან ხშირი კონტაქტი მაქვს და ამბებს ვიგებ. ჯერჯერობით ჩემი ჩამოსვლა და ნაკრებში მუშაობა ვერ ხერხდება. მთავარი პრობლემა „შტურმთან" კონტრაქტია, რომელიც 2010 წლის მაისში მთავრდება და მეც პრინციპში გადაწყვეტილი მაქვს, რომ კარიერას იმ დროს დავამთავრებ. ადრეც გითხარით და კიდევ ვიმეორებ, ძალიან მინდა საქართველოს ნაკრების მწვრთნელად მუშაობა. თუმცა, როგორც ვთქვი, ამ ეტაპზე ეს ვერ ხერხდება. ისე კი, სხვა მხრივ ბიჭებს ყველანაირად დავეხმარები.

**— მაინც რას გულისხმობს ეს დახმარება? არ მოხერხდება, რომ როდესაც რუსეთის ჩემპიონატში შესვენება იქნება, ჩამოხვიდე და ნაკრები ავარჯიშო?**

— არა, ეს ვერ მოხერხდება. მე შემიძლია, ნაკრებს დავეხმარო კონტაქტების დამყარებაში ევროპასთან. თუნდაც ამხანაგური მატჩების ორგანიზებაში. ძალიან ბევრი ნაცნობი მყავს და შემიძლია, მათი მხარდაჭერის იმედი მქონდეს. თორემ ის, რომ თავისუფალ დროს საქართველოში ჩამოვიდე და ბიჭები ვავარჯიშო, ასეთი რამ რთული გასაკეთებელია. მოქმედი სპორტსმენისთვის ძნელია, ის მცირე თავისუფალი დრო, რომელიც მთელი წლის განმავლობაში აქვს, სხვა საქმეს დაუთმოს. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი: მიმაჩნია, რომ მწვრთნელი, ვინც ნაკრებს ავარჯიშებს, მუდმივად უნდა იყოს წყალბურთელებთან, ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდეს და შენიშვნები და მითითებები აძლიოს.

**— კეთილი. ბოლოს რომ ვისაუბრეთ, გითხარი, გია ნაცვლიშვილს ჩემი მოსაზრებები გავაცანი და მოსაფიქრებლად დრო ითხოვაო. რამე ხომ არ შეცვლილა ამ მხრივ?**

— არაფერი შეცვლილა, თუმცა თბილისში ჩამოსვლას დეკემბრის ბოლოს ვაპირებ, სავარაუდოდ, 25-ში საქართველოში ვიქნები და აუცილებლად მექნება საუბარი გია ნაცვლიშვილთან.

**— გუნდზეც გკითხავ, „შტურმის" საქმეები როგორ მიდის?**

— რუსეთის ჩემპიონატში თამაშები ჯერ არ გვაქვს. თასის მატჩებისთვის ვემზადებით, რომელიც 20-22 დეკემბერს გაიმართება. მანამდე კი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩავებმებით. 13 დეკემბერს ხორვატულ „დუბროვნიკს" ვხვდებით.

**— გუნდში ჩერნოგორიელი პერო პოროვიჩი მოვიდა. როგორი მწვრთნელია, რამდენად დაეტყო გუნდს მისი მოსვლა?**

— ძალიან კარგი მწვრთნელია. თანამედროვე ელემენტები შემოიტანა. დიდ ყურადღებას უთმობს თეორიას, მეტოქე გუნდების თამაშების ვიდეოგარჩევას და ფსიქოლოგიურ მომზადებას. მეც ხშირად ვეხმარები. თავიდან მაინც რთულია უცხო გარემოსთან შეგუება. მე აქ ყველაფერს კარგად ვიცნობ და არ მიჭირს მწვრთნელისთვის რჩევების მიცემა. ვთქვათ, მეტოქე გუნდების დახასიათება და სუსტი და ძლიერი მხარეების წარმოჩენა.

**— „შტურმში" გამოცდილი მოთამაშეები ბევრი გყავთ თუ უფრო ახალგაზრდული გუნდია?**

— 6-7 მოთამაშე ვართ 30 წელს გადაცილებული. ყველაზე ასაკოვანი წყალბურთელები რუსეთში „შტურმს" ჰყავს. სამაგიეროდ, გამოცდილებაც გვიმაგრებს ზურგს და ეს საშუალებას გვაძლევს, მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ. ამ სეზონში გვინდა, რომ ჩემპიონატი და თასი მოვიგოთ. ჩემპიონთა ლიგაში კი მინიმუმ ოთხეულში მოვხვდეთ.

**ლექსო მაისურაძე**

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა უკრაინის ღია პირველობაზე ხუთი მატჩი ჩაატარა და მათგან ორი მოიგო.

საქართველო 12:13 დინამო ლვოვი
საქართველო 20:3 დნეპრი
საქართველო 9:10 მარიუპოლი 1
საქართველო 14:16 კიევი
საქართველო 11:6 მოლდოვა

*საქართველოს ნაკრები: ნიკა ასათიანი, შალვა ნამორაძე, ბექა ქნქაძე, ზურაბ რურუა, გიორგი ხვედელიანი, გალაქტიონ ლაითაძე, სანდრო რუხიშვილი, გურამ კოტარია, ნოდარ რაფავა, ტატო ნიკოლაიშვილი, გიორგი ბუტიკაშვილი, მიხეილ ბალათურია, პავლე ჯაფარიძე*



## მაიკლ ფელპსი: ახალი სახე ძველ გარეკანზე

## ბეისბოლზე მაღლა




**ამერიკული** სპორტული ჟურნალი „სპორტს ილუსტრეიტიდი" ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია, ავლენს აშშ-ს წლის სპორტსმენს, მაგრამ მოცურავე აქამდე არასდროს დაუსახელებია საუკეთესოდ, თვით ლეგენდარული მარკ სპიციც კი, რომელმაც 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე 7 ოქროს მედალი მოიპოვა.

მაგრამ ფეხბურთზე (ამერიკულ) გადარეულ, ბეისბოლზე ტვინდაბინდულ, სისხლში კალათბურთ-ჰოკეიგამჯდარ ქვეყანას ოდნავადაც არ გაკვირვებია, წლეულს ჟურნალმა მოცურავე რომ ირჩია.

„მაიკლ ფელპსი მართლა საუკეთესოა. „ეს იყო ბოლო წლებში ჩემი ყველაზე უყოყმანო კანდიდატი" — ამბობს ჟურნალის მთავარი რედაქტორი ტერი მაკდონელი. ფელპსმა პეკინის ოლიმპიადაზე რამდენიმე უნიკალური რეკორდი დაამხო, მოიგო რვა ოქროს მედალი, აქედან შვიდი მსოფლიო რეკორდით და ორი ოლიმპიადის ჯამში 14 ოქრო მოაგროვა.

„რა გითხრათ, წლეულს ოცნება ამიხდა, მაგრამ მე ისევ ის ბიჭი ვარ — ამბობდა 23 წლის ფელპსი დაჯილდოვებისას — მიხარია, რომ „სპორტს ილუსტრეიტიდმა" ოლიმპიელი გამოარჩია. ფეხბურთელები, კალათბურთელები, ბეისბოლისტები... ყოველწლიურად მათ სახეებს ვხედავთ გარეკანზე. ამას ეგოიზმით როდი ვიძახი. მთლიანად სპორტის ჩვენი სახეობისთვისაა ეს კარგი. მეტ ყურადღებას მივიქცევთ."




მოძალადე ნიკ დარსი

## აუზის ნაცვლად არაფერში

**დასასრულს** უახლოვდება ავსტრალიელი მოცურავის, ნიკ დარსის სასამართლო პროცესი. მას ბრალად ედება მეორე მოცურავის საიმონ კოულის სასტიკად ცემა და ალბათ მალე დაუმტკიცდება დანაშაული.

ეს ამბავი ზედ პეკინის ოლიმპიადის წინ მხდა. ავსტრალიის ნაკრები რომ შეირჩა და ყველა წამსვლელის ვინაობა გაირკვა — მოცურავეთა ნაკრები 40-ზე მეტი წევრისგან შედგა — ბიჭებმა ამ საზეიმო ამბავის სათანადოდ აღნიშვნა მოიწადინეს და რა თქმა უნდა, ღამის კლუბს მიაშურეს, სადაც შემთვრალმა დარსიმ და კოულიმ მოგვიანებით საშინელი ჩხუბი გამართეს, უფრო ზუსტად დარსი უმოწყალოდ გაუსწორდა თანაგუნდელს. სასწრაფოში მიყვანილ კოულის ექიმებმა ყვრიმალის ძვლის ჩატეხვა დაუდგინეს. მას აკლდა რამდენიმე კბილი და დაზიანებული ჰქონდა თვალი. ექსპერტიზის პირველადი დასკვნით მძიმე ბლაგვი საგანი ჰქონდა ჩარტყმული, ოღონდ, მრავალრიცხოვალი მოწმეების ჩვენებებით, დარსი მას მხოლოდ მუშტებით ცემდა.

მოძალადე მეორე დღესვე მოკვეთეს ოლიმპიური ნაკრებიდან, კოული კი გასაგებია, რის გამოც ვერ მოხვდა პეკინში.

პროცესის მსვლელობისას დარსი უარყოფდა თავის ბრალეულობას, ამბობდა — შევკამათდითო, მაგრამ რამდენიმე მოსმენის შემდეგ იმ ჭკუაზე მოიყვანეს, რომ დანაშაულის აღიარება მოუწევს. რა ფორმით მოიხდის სასჯელს, ეს დაახლოებით თებერვალში გაირკვევა.

**ვანო კობიაშვილი**

## ნოემბრის ტესტსერია

*8 ნოემბერი*
ინგლისი 39:13 ოკეანეთი
საფრანგეთი 12:6 არგენტინა
ირლანდია 55:0 კანადა
იტალია 20:30 ავსტრალია
შოტლანდია 6:32 ახალი ზელანდია
უელსი 15:20 სამხრეთ აფრიკა

*14 ნოემბერი*
უელსი 34:13 კანადა

*15 ნოემბერი*
ინგლისი 14:28 ავსტრალია
საფრანგეთი 42:17 ოკეანეთი
ირლანდია 3:22 ახალი ზელანდია
იტალია 14:22 არგენტინა
შოტლანდია 10:14 სამხრეთ აფრიკა

*22 ნოემბერი*
ინგლისი 6:42 სამხრეთ აფრიკა
საფრანგეთი 13:18 ავსტრალია
ირლანდია 17:3 არგენტინა
იტალია 17:25 ოკეანეთი
შოტლანდია 41:0 კანადა
უელსი 9:29 ახალი ზელანდია

*29 ნოემბერი*
ინგლისი 6:32 ახალი ზელანდია
უელსი 21:18 ავსტრალია

## IRB-ს რეიტინგი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ახალი ზელანდია | 92,68 |
| 2 | სამხრეთ აფრიკა | 89,45 |
| 3 | ავსტრალია | 85,86 |
| 4 | არგენტინა | 81,56 |
| 5 | უელსი | 81,03 |
| 6 | ინგლისი | 80,86 |
| 7 | საფრანგეთი | 79,49 |
| 8 | ირლანდია | 78,45 |
| 9 | შოტლანდია | 76,76 |
| 10 | ფიჯი | 75,24 |
| 11 | იტალია | 74,64 |
| 12 | სამოა | 72,57 |
| 13 | ტონგა | 70,05 |
| 14 | საქართველო | 69,43 |
| 15 | კანადა | 69,12 |
| 16 | იაპონია | 68,05 |
| 17 | რუმინეთი | 67,20 |
| 18 | რუსეთი | 64,63 |
| 19 | აშშ | 63,55 |
| 20 | ურუგვაი | 62,78 |
| 21 | ესპანეთი | 61,18 |
| 23 | პორტუგალია | 58,57 |
| 26 | გერმანია | 56,73 |

3 ნოემბერი. უემბლი

**ავსტრალია 14:11 ბარბაროსები**

ავსტრალია: ოკონორი, ტუკირი, კროსი, ეშლი-კუპერი, იოანე; კუპერი, შეპანი; ბრაუნი, სმიტი, მამი, მაკმენიმანი, ჩიშოლმი, დანინგი, პოლოტა-ნაუ, კეპუ

თადარიგში: ფრეიერი, ალექსანდერი, კომლინი, პოკოკი, ბურგესი, ტერნერი, მიტჩელი

*2ლ: ტუკირი, ტერნერი; 1გ: ოკონორი, 2ს: ოკონორი*

ბარბაროსები: მონტგომერი (აფრ), როკოკოკო (ზელ), გირი (ზელ), დე ვილიერსი (აფრ), პაბანა (აფრ); შტეინი (აფრ), დუ პრეეცი (აფრ); კოლინზი (ზელ), მაკქოუ (ზელ), ბურხერი (აფრ), მულერი (აფრ), ბოთა (აფრ), ჯონსონი (სამოა), სმიტი (აფრ), პუკარიელო (არგ)

თადარიგში: რეგანი (ინგ), ბლეიკი (ტონგა), ჯეკი (ზელ), კოსტერი (აფრ), გრეგანი (ავს), სმიტი (ინგ), უილიამსი (უელ)

*1ლ: კოლინზი; 2ს: მონტგომერი*

# შემოდგომის წიწილები

*საშემოდგომო ტესტებით დასრულდა სანაკრებო სეზონი, რომელიც ევროპაში უელსისა იყო, სამხრეთსა და მთლიანად პლანეტაზე კი ახალი ზელანდიის. მოკლედ მიმოვიხილოთ მსოფლიოს საუკეთესო გუნდები...*

**ირლანდია** — საშემოდგომო ტესტები რიგიანად კი ჩაატარა, არგენტინას შარშანდელ მსოფლიოს თასზე ნაწვნევი მარცხი აზღვევინა, კანადა გაანადგურა და... ვერაფერი დააკლო ახალ ზელანდიას, ისევე როგორც ნებისმიერმა სხვა ევრო-ნაკრებმა. მაგრამ ირლანდიის მომავალი არცთუ ნათლად ჩანს. ბრაიან ოდრისკოლი ასაკში შედის და ძველებურად ვერ ჭრის და კერავს, რონან ოგარას თამაში იოლი წასაკითხი ხდება, ზორბა შეინ ჰორგანი კი მარაოს ფრთის კიდეზე ხშირად აღარც ჩანს.

**ინგლისი** — ინგლუსური რაგბის მამები ვინძლო კიდეც ნანობენ, ნაკრები მარტინ ჯონსონს რომ ჩააბარეს, მაგრამ რაღა დროსია. 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა კაპიტანი გადადგომის და თამაშის დამთავრების შემდეგ არ განიცდიდა იდეათა ნაკლებობას, კარგ მენეჯერულ თვისებებსაც ამჟღავნებდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა და ნაკრები მოედანზე შეუშვა, აღმოჩნდა, რომ გუნდი მთლად იდეალური ვერაა. ინგლისმა მხოლოდ ავსტრალიას გაუმართა მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა, სამხრეთ აფრიკასთან და ახალ ზელანდიასთან კი მაგრად შერცხვა საკუთარი ქომაგის თვალწინ „თვიქნემზე".

**შოტლანდია** — სქოთები შეძლებებით ვერ დაიტრაბახებენ, მაგრამ მაინც ოპტიმიზმი არ აკლიათ. ექვს ერზე მხოლოდ ინგლისს მოუგეს და დანარჩენებთან, მათ შორის იტალიასთანაც დამარცხდნენ, მაგრამ სამაგიეროდ შემოდგომაზე კბილები ამტვრიეს სამხრეთ აფრიკას (პირველ ტაიმში 10:0 აჯობეს) და მწვრთნელი ფრანკ ჰედენი შედეგებით თუ არა შეგირდების თამაშის ხარისხით კმაყოფილი აპირებს ახალ სეზონში შებიჯებას. შერკინების გამთამაშებელს, კაპიტან მაიკ ბლერს მძლავრი სეზონი ჰქონდა. ჰაინისის, მიურეისა და პატერსონის გამოცდილება და რამდენიმე კარგი ახალგაზრდის მონდომება კარგი საფუძველია ახალი გუნდის დასაყენებლად. შერკინებაც ღონივრად გამოიყურება. ჯიგარი კი სქოთებს არასდროს აკლდათ.

**უელსი** — უცნაური ნაკრები ჰყავთ „დრაკონებს": შეუძლია უძლიერესი ნაკრები დაამარცხოს, ერთი კვირის შემდეგ კი აშკარად სუსტთან იჯახიროს. ასეა, თუ ისე, ეს წელი მაინც კარგი იყო „დრაკონებისთვის", რომელთაც ექვსი ერი დაუმარცხებლად ჩაათამაშეს და შემოდგომაზეც სოლიდურად გამოიყურებოდნენ. სამივე სამხრეთელ გიგანტს მაგრად ეომნენ და სეზონი ავსტრალიის ძლევით დაასრულეს. მაგრამ უელსს მაინც რაღაც უშლის ხელს, რომ დევების გვერდით ჩადგეს.

**საფრანგეთი** — „ლურჯების" თავკაცმა მარკ ლივრემონტმა შემოდგომის ტესტებზე სამივე შეხვედრაში გამარჯვება დაგეგმა და უსიცოცხლო, უგემური თამაშით, მაგრამ მაინც მიიწევდა მიზნამდე, თუმცა ბოლოს ავსტრალიასთან ხელი მოეცარა. დევიდ სკრელას საჯარიმოები გაჰქონდა და გაჰქონდა, ფრანგებმა მისი წყალობით გადაუხადეს არგენტინას სამაგიერო, მაგრამ ბოლოს აურია და გამარჯვება ოზებს აჩუქა. თუმც მის თანამემამულეებს ეს მარცხი გულთან არ მიაქვთ, ამბობენ, რეორგანიზაციის პროცესში ვართ და 2011 წლისთვის იდეალურ შემადგენლობას ვეძებთო. ისევე როგორც ყველა.

**იტალია** — „სკუადრა აძურა" აღარაა ის მსუბუქწონოსანი, რომელიც 2000 წელს ექვსმა ერმა მოწყალედ შეიკედლა. მოძლიერდა და ყველასთან იბრძვის, ამას ყველა აღიარებს, მაგრამ მერე ამით რა? მაინც აგებს. ვერას გახდა ვერც დაშლილ არგენტინასთან და ვერც ფიჯი-ტონგა-სამოას გაერთიანებულ ნაკრებთანაც. კარგები არიან მირკო ბერგამასკო, სერჟიო პარისე და კიდევ რამდენიმე, მაგრამ მწვრთნელ ნიკ მალეტსაც მოუხდა იმის აღიარება, რომ მისი გუნდი განვითარების მხრივ ერთგვარ ჩიხში აღმოჩნდა.

**ავსტრალია** — ოზები შინ გაორებული შთაბეჭდილებით მიდიან. თამაშები კი მოიგეს, მაგრამ როგორ? იტალიასთან გაუმართლათ, საფრანგეთთან მაგრად გაუმართლათ, ინგლისის ძლევა კი რა სატრაბახოა. მათი თავკაცი რობი დინზი ამბობს, დიდი გუნდის თვისებაც ხომ ისაა, რომ ცუდი თამაშითაც შეუძლია მოგებაო, მაგრამ ეს ძალიან გავს თავის დამშვიდებას.

**სამხრეთ აფრიკა** — მსოფლიოს თასის მოგების შემდეგ „ქურციკებს" თითქოს მიზანსწრაფვა მოაკლდათ და სამ ერზე ექვს თამაშში ოთხჯერ წააგეს, რის შემდეგაც მსოფლიო რეიტინგში პირველი ადგილი ახალ ზელანდიას გადაულოცეს, მაგრამ ეს გუნდი კვლავ ღონიერია და შემადგენლობაც არ დაეწუნება. 2007 წელს ტრავმის გამო მსოფლიოს თასი კი გაუცდა, მაგრამ 27 წლის ცნტრიან დე ვილერსი ფილმის გმირივით ეფექტურად დაბრუნდა და აკრობატული ლელოები გააქვს.

**ახალი ზელანდია** — ისეთი შანსი ბევრს არ ეძლევა, როგორიც გრეჰ ჰენრის გაუჩნდა. მსოფლიოს თასზე საშინელი იმედგაცრუების შემდეგ ის როგორღაც დატოვეს თანამდებობაზე და ჰენრიც ყველანაირად ცდილობს „დანაშაულის გამოსყიდვას". მისი ნაკრები წლეულს დაუმარცხებელი არა, მაგრამ უძლიერესი კი ნამდვილად იყო, მოიგო სამი ერი და დიდი სლემით მოიარა ევროპა, სადაც ოთხ კვირაში ოთხივე კელტურ-ბრიტული ნაკრები დაამარცხა ისე, რომ ლელოც არ გაუშვია. მაგრამ მთავარია, 2011 წელს იყოს ფორმაში და მანამდე არ დაკარგოს მკვლელის ინსტიქტი. აი, ჰენრის მთავარი საფიქრალი შემდეგი სამი წლისთვის.

**არგენტინა** — მსოფლიოს თასზე ტრიუმფიდან ერთი წლის თავზე ევროპამ სულ სხვა არგენტინა იხილა: გადახალისებული და თავხედობამოკლებული. სამხრეთამერიკელებმა შარშან საფრანგეთში მესამე ადგილის დამკავებელი შემადგენლობიდან მრავლისმნახველ ვეტერანთა მთელი რაზმი მოისაკლისეს და ახალი გუნდის აშენებას აპირებენ. თუმცა მთლად უძლურები არც ახლა ჩანან.



**შეინ უილიამსი (უელსი)**
გარემარბი
დაიბადა 1977 წლის
28 თებერვალს სვანსიაში
თამაშობს სვანსიის „ოსფრიზში"

# პატარა და საუკეთესო

**შოტლანდიის** კაპიტანი მაიკ ბლერი, უელსის ყოჩი რაიან ჯონსი, ახალი ზელანდიის დამრტყმელი დენ კარტერი, იტალიის ახმახი მორკინალი სერჯიო პარიზე — ყველანი ღელავდნენ ლონდონში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე, სადაც რაგბის საერთაშორისო საბჭომ სეზონი შეაჯამა და სხვადასხვა ნომინაციებში საუკეთესოები დაასახელა. ისინი ხომ მთავარი პრიზის ნომინანტები იყვნენ. მაგრამ მათზე მეტად ღელავდა უელსელი გარემარბი შეინ უილიამსი, რადგან ირბ-ს წლის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებას სწორედ მას უპირებდნენ.

„ასე მაშინაც არ მინერვიულია, „ოლ ბლექსის" წინაშე რომ ვიდექი და ჰაკას ვისმენდი" — გაამხილა მან საზეიმო სიტყვაზე.

შეინ უილიამსი 2008 წლის საუკეთესო მორაგბეა და ეს ფაქტი ამ ერთხელაც დაამშვიდებს ჩია ტანის მოთამაშეებს და კიდევ და კიდევ აბათილებს სტერეოტიპულ მოსაზრებას, რომ სპორტის ამ სახეობაში ძალა აღმართზეც ხნავს და დაღმართზეც თესავს. ამ კაცს რომ უყურებ, სწორედ რომ საპირისპიროში რწმუნდები.

ის სულ რაღაც 170 სანტიმეტრი და 80 კილოა, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა, წლების განმავლობაში ეწიოკებინა მეტოქეთა დაცვა. ლელოები ერთმანეთზე უკეთესი გაჰქონდა, წლეულს კი საერთოდ თავზე ხელი აიღო და რამდენიმე რეკორდს შეეხო — ექვსი ერის ხუთ თამაშში ექვსჯერ დაალელოვა ევროგრანდები და ინგლისელი უილ გრინვუდის რეკორდი გაიმეორა, უელსმა კი დიდი სლემით მოიგო ტურნირი და უილიამსი საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. საფრანგეთთან გატანილი ლელო 41-ე გამოდგა, რითაც უილიამსმა უელსის რეკორდსმენ გარეთ ტომასს პირველობა ჩამოართვა, ნაკრებში 62 თამაშში 43 ლელო მოაგროვა და ამ მაჩვენებლით მეექვსეა ყველა დროის მელელოვეთა შორის.

**მსოფლიოს საუკეთესოები**

| | |
|---|---|
| 2001 | კიტ ვუდი (ირლანდია) |
| 2002 | ფაბიენ გალტიე (საფრანგეთი) |
| 2003 | ჯონი უილკინსონი (ინგლისი) |
| 2004 | შალკ ბურხერი (სამხრეთ აფრიკა) |
| 2005 | დან კარტერი (ახალი ზელანდია) |
| 2006 | რიჩი მაკქოუ (ახალი ზელანდია) |
| 2007 | ბრაიან პაბანა (სამხრეთ აფრიკა) |
| 2008 | შეინ უილიამსი (უელსი) |

# ქემფიზმა უილკინსონს დაუმთავრა



**„დამთავრებულია** მაგის ამბავი, დიდ რაგბის ეგ ვეღარ ითამაშებს" — აი ასეთი „სასიკვდილო" დიაგნოზი დაუსვა 29 წლის ჯონი უილკინსონს ლეგენდარულმა ავსტრალიელმა მორაგბემ, ყველა დროის და ერის უპირველესმა მელელოვე დევიდ ქემფიზმა, რომელმაც 12 წლის წინ ბუცები რომ წაიძრო, მას მერე რაგბის მეფიდან სიტყვის მეფედ გარდაქმნა მოინდომა და მალიმალ ისვრის უცერემონიო, სკანდალურ განცხადებებს (ისე, პირიდან შაქარი არც მანამდე ამოსდიოდა).

მაგრამ მისი ეს განცხადება სხვა ადრეულებისგან განსხვავებით ალბათ არ გამოიწვევს საყოველთაო აჟიოტაჟს, რაკი „ქემფოს" სიტყვებში უილკინსონისთვის აგრერიგ მწარე სიმართლე ჩანს. თავად ჯონიც ალბათ სასწაულის იმედადღაა — იმდენი ტრავმა გადაიტანა, იმდენჯერ იყო დამტვრეული, რომ ყველაფერი რომც მოიშუშოს, სანაკრებო ხორცსაკეპში დიდხანს ვერ გაძლებს. 2008 წელი მან პრაქტიკულად მთლიანად გამოტოვა. ამ ჯერზე მუხლის ტრავმა არ უშვებს მოედანზე და ინგლისი მის შემცვლელ 10 ნომერს ეძებს. „ახალ უილკინსონად" შერაცხული დენი სიპრიანი მაინცდამაინც ვერ ამართლებს.

„ინგლისელებო, ახალი 10 ნომერი უნდა ეძებოთ — აგრძელებს „ქემფო" — და მაგ საწყალ ბიჭსაც (სიპრიანის) თავი დაანებეთ, ნუ ეძახით „ახალ უილკინსონს", ამით მხოლოდ შებოჭავთ და საკუთარი უნიკალური სტილის განვითარებაში ხელს შეუშლით."






2008 წელი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებისთვის წარმატებული გამოდგა, რომელიც კიდევ უფრო გაალამაზა მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად ჩვენი ნაკრების თავკაცის **ბეგი დარჩიას** დასახელებამ. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ აქამდე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია საუკეთესო მწვრთნელს არ ასახელებდა. ეს სიახლე წლეულს დაამკვიდრა და პირველივე გამარჯვებული ქართველი გახდა.

თავად ბეგი დარჩია აღიარებით კმაყოფილია, თუმცა დანანებით ამბობს — პრობლემები რომ არა, უკეთესი შედეგიც უნდა გვქონოდაო.

ნაკრების თავკაცს განვლილი წელი შევაფასებინეთ და სამომავლო გეგმებზეც ვესაუბრეთ...

# მსოფლიოს პირველი ბეგი

## დარჩიას კარგი და უკეთესი

— საუკეთესოდ გერმანიაში მწვრთნელთა სემინარის დროს დამასახელეს და ჯილდოც გადმომცეს. ძალიან გამიხარდა, მით უმეტეს, ასეთი ნომინაცია აქამდე არ ყოფილა. სასიამოვნოა, როდესაც შრომა გიფასდება.

**— გერმანიაში ჩასვლამდე თუ გრძნობდით, რომ შეიძლება საუკეთესოდ დაესახელებინეთ?**

— ამაზე კულუარულად ლაპარაკი ჯერ კიდევ ოლიმპიადის დროს ისმოდა. თუმცა მაშინ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. ერთი, რომ მთლიანად ოლიმპიადაზე ვიყავი კონცენტრირებული და თან იმ დროს საქართველოში საომარი მდგომარეობა იყო. ასე რომ, ამისთვის ნამდვილად არ მეცალა...

**— სემინარზე ინსტრუქტორად იყავით მიწვეული...**

— ჩემს გარდა თემურ ყაზარაშვილი, ოთარ ტატიშვილი და გელა ჯანელიძეც იყვნენ. ასეთი სემინარები ყოველ წელს ტარდება. ხუთდღიანი კურსებია და ბოლო დღეს მწვრთნელები გამოცდებს აბარებენ. ეს ყველაფერი საკმაოდ საინტერესოა. აქ მწვრთნელები ერთმანეთს გამოცდილებას ვუზიარებთ და სხვადასხვა თემებზე ვსაუბრობთ. ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

**— ადრე გვითხარით, ოლიმპიადის შემდეგ ჭიდაობის წესები შეიცვლებაო. რამე სიახლე ხომ არ არის?**

— სხვათა შორის, ცვლილებებს ჯერ კიდევ 2005 წელს ვითხოვდი, მაგრამ მაშინ ჩემი პოზიცია არ გაიზიარეს. ახლა კი თავად არიან წესების შეცვლის მომხრე. მინდა, რომ ჭიდაობა უფრო სანახაობრივი გახდეს. სასურველია, რომ დგომში ჭიდაობის დრო გაიზარდოს და მოჭიდავეს იძულებით ჩოქბჯენში გადასვლა არ უწევდეს. გერმანიაში იყო საუბარი ამ საკითხებზე და ვფიქრობ, მალე გარკვეული ცვლილებები იქნება, თუმცა რადიკალური კორექტივების შეტანა გამორიცხულია და არც არის სასურველი. წლის ბოლომდე ველოდებით ფილადან ინფორმაციას და უკვე მომავალი წლიდან ახალი წესებით ვიჭიდავებთ.

**— სეზონი დასრულდა და უკვე შეგიძლიათ შეაფასოთ. რამდენად კმაყოფილი ხართ?**

— გაორებული გრძნობა მაქვს. ბედნიერი ვარ, რომ ამდენი ხნის ოცნება ავიხდინეთ, ოლიმპიური ჩემპიონი გვყავს. კარგი შედეგები გვქონდა და ბოლოს საუკეთესო მწვრთნელად რომ დამასახელეს, კიდევ უფრო გახარებული ვარ, მაგრამ გული იმაზე მწყდება, რომ ნამდვილად შეგვეძლო, უკეთესი შედეგი გვქონოდა. სამწუხაროდ, გაუთავებელმა ტრავმებმა ამოსუნთქვის საშუალება არ მოგვცა. დავით ბედინაძეს, ბადრი ხასაიასა და რამაზ ნოზაძეს უმძიმესი ტრავმები ჰქონდათ და სულ მცირე, ორი თვე გაუცდათ. თან სწორედ მაშინ, როდესაც ოლიმპიადისთვის მზადების პიკი გვქონდა. ეს პრობლემები რომ არა, დარწმუნებული ვარ, მეტს მივაღწევდით. ჩვენ 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგებსაც ვაანალიზებდით და ვფიქრობდით, რომ პეკინში ორი ოქროს მედლის მოპოვება შეგვეძლო. ასევე აუცილებლად უნდა ვთქვა ბედინაძეზე. რეალურად მან მოუგო ნაზარიანს, მაგრამ მსაჯებმა მესამე, გადამწყვეტ პერიოდში ორქულიანი ილეთი არ ჩაუთვალეს, თორემ მერე რა იქნებოდა, არავინ იცის.

**— კარგით. გასულ კვირას მოჭიდავეები კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის ყოფილ მინისტრს შეხვდით და სხვადასხვა საკითხებზე ისაუბრეთ. მწვავედ დადგა დარბაზების საკითხიც...**

— ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ დარბაზებია. ფალავანთა კლუბში ძალიან ბევრი მოჭიდავე ვარჯიშობს ერთდროულად და ელემენტარულად, ფართობი არ გვყოფნის. დიღომში ლევან თედიაშვილის სახელობის დარბაზი ძიუდოისტებს გადაეცათ და ველარ ვიყენებთ. კიდევ ბევრის თქმა შეიძლება. არადა, ელემენტარულს ვითხოვთ — დარბაზი, სადაც გათბობა და საშხაპეები იქნება.

შედარებით უკეთესი პირობებია რეგიონებში, მაგრამ მთლად დალხენილები არც იქ არიან. ისიც სათქმელია, რომ გარკვეულ ეტაპზე მოჭიდავე თბილისში უნდა წამოვიდეს, რომ ზრდა არ შეწყვიტოს. ჩვენ კი, როგორც ვთქვი, დარბაზების პრობლემა გვაქვს და ყველას მიღება ვერ ხერხდება.

**— სამომავლო გეგმებზეც გკითხავთ. იანვარში საქართველოს ჩემპიონატის ჩატარება იგეგმება. ნაკრების ლიდერებს, ალბათ, დაასვენებთ...**

— ბადრი ხასაიას და რამაზ ნოზაძეს მძიმე ტრავმები აქვთ. ოპერაციები გაიკეთეს და სარეაბილიტაციო კურსი იმდენ ხანს გასტანს, რომ საქართველოს ჩემპიონატი კი არა, აპრილში გასამართი ევროპის ჩემპიონატის გამოტოვებაც მოუწევთ. მათი იმედი მსოფლიოს ჩემპიონატზე მექნება. საქართველოს ჩემპიონატს გამოტოვებენ სხვა ლიდერებიც. მინდა, რომ ახალგაზრდები მაქსიმალურად გამოვცადოთ. მით უმეტეს, ლიდერების არყოფნაში თავის გამოჩენის მეტი შანსი ექნებათ. მერე კი გამორჩეულ ახალგაზრდებს საერთაშორისო ტურნირებზეც წავიყვანთ. თითო წონაში, ალბათ, 2-3 მოჭიდავეს შევარჩევთ. იქ უკეთ გამოჩნდება ვის რა შეუძლია. თან საერთაშორისო ტურნირებზე ჭიდაობის პრაქტიკა ახალგაზრდებს ჰაერივით სჭირდებათ. ზოგიერთი აქ კარგად ჭიდაობს, თუმცა საზღვარგარეთ უჭირს. ასე რომ, წინ ბევრი სამუშაო გველის და ვემზადებით, კიდევ უფრო კარგად რომ წარმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყანა.

**ლექსო მაისურაძე**

# უმინისტრო საქართველო

**კულტურის,** სპორტისა და ძეგლთა დაცვის ან უკვე ყოფილი მინისტრის გრიგოლ ვაშაძის ფედერაციებში სტუმრობებს რამდენიმე კვირა ვადევნებდით თვალს. წინა კვირაში მინისტრი მოჭიდავეებს ეწვია და ამ სტუმრობის რეპორტაჟიც გვქონდა მომზადებული. კვირის ბოლოს კი შევიტყვეთ, რომ გრიგოლ ვაშაძე სპორტის მინისტრი აღარ არის და, შესაბამისად, რეპორტაჟმაც აზრი დაკარგა. სპორტული საქართველო კი ახალი მინისტრის მოლოდინშია. ითქვა, რომ ეს საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ზურაბ აბაშიძე უნდა იყოს. თუმცა გუშინ ისიც გავიგეთ, აბაშიძემ საკუთარ კანდიდატურას აცილება მისცაო. ასეა თუ ისე, ქართულ სპორტს ახალი მინისტრი მალე ეყოლება და მას თავიდან მოუწევს იმ პრობლემების გაცნობა, რასაც გრიგოლ ვაშაძემ კვირები მოანდომა.

ხელბურთი

## დათუკაშვილი გადარბენით იგებს

**საქართველოს** ხელბურთელთა ნაკრებმა პოლონური ტურნე დაასრულა და ლეგიონერებიც საკუთარ კლუბებს დაუბრუნდნენ. რუმინეთში მოთამაშე შოთა თევზაძის „ბაკაუმ“ და ვლადიმერ რუსიას „დინამომ“ მორიგი გამარჯვებები ჩაიწერეს. რუსიას გუნდმა სტუმრად დაძაბულ მატჩში დაამარცხა „ბაიმერესი“ 30:27 და სატურნირო ცხრილში პოზიციები განიმტკიცა. თევზაძის „ბაკაუ“ კი „პიტეშს“ ესტუმრა და ზედმეტი ნერვიულობის გარეშე 34:25 მოუგო.

რუმინეთიდან სლოვენიაში გადავინაცვლოთ და ჩვენი ნაკრების ლიდერის სერგო დათუკაშვილის ამბები ვთქვათ. მისი „გორენიე“ აგერ უკვე რამდენი ტურია გადარბენით იგებს თამაშებს და ახლოსაც არავის იკარებს. მათი რისხვა ამჯერად „სლოვანს“ დაატყდა თავს — 31:24. სერგოს გუნდი ახლა ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტს „კოპერს“ ოდენ ერთი ქულით უსწრებს. ეს გუნდები ერთმანეთს 10 დეკემბერს ეთამაშებიან და საკმაოდ უკომპრომისო მატჩიც უნდა გამოვიდეს.

ჭადრაკი

## ევროპა სანკტ პეტერბურგმა და ბუდვამ გაიყვეს

**ჭადრაკის** საერთაშორისო ფედერაციამ გაისად გასამართი ევროპის ჩემპიონატების ჩატარების თარიღები დათქვა. ქალთა შორის ევროპირველობას რუსეთის სიდიდით მეორე ქალაქი სანკტ პეტერბურგი უმასპინძლებს. კაცები კი ჩერნოგორიის ქალაქ ბუდვაში მოიყრიან თავს. ევროპის ჩემპიონატი ქალთა და კაცთა შორის ერთდროულად 5-18 მარტს ჩატარდება. შესაბამისად ქვეყნებმა ეროვნული ჩემპიონატები მარტამდე უნდა ჩაამთავრონ. საქართველოს ჩემპიონატი იანვრის მიწურულს ჩატარდება. ჭადრაკის ფედერაცია ევროპირველობაზე გასამგზავრებელ მხოლოდ სამ მოჭადრაკეს დააფინანსებს — საქართველოს ჩემპიონს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალოსანი.

კრივი

## ტიბუა რუსეთში არ მიდის

**კრივში** საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ზურაბ ტიბუა, რომელმაც პეკინის ოლიმპიადაზე 40-მდე შეხვედრა იმსაჯა და 7-ჯერ რინგის მთავარი მსაჯი იყო 9-15 დეკემბერს მოსკოვში გასამართ „მსოფლიოს თასზე“ არ წავა. ქართველი მოსკოვში 6 საერთაშორისო კატეგორიის მსაჯთან ერთად მიიწვიეს, ვისთანაც ოლიმპიადა იმსაჯა, თუმცა ტიბუამ რუსეთში ჩასვლა იუარა და მიზეზად საქართველო — რუსეთს შორის შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია დაასახელა.

ფრენბურთი

## ერთიანი საქა-რთველო

**საქართველოს** ქალ ფრენბურთელთა ნაკრები 9-11 იანვარს ტალანში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებს ითამაშებს. ჩვენები ჯგუფში ესტონეთის, დანიის და მოლდოვის ნაკრებებთან ერთად არიან, მომდევნო ეტაპზე კი საუკეთესო გადის. ნინო მღებრიშვილის გაწვრთნილებს შესარჩევის მატჩების დაწყებამდე მომზადება აზერბაიჯანში 16 დეკემბრიდან უნდა დაეწყოთ და იქიდანვე ესტონეთში წასულიყვნენ, თუმცა ბოლო მომენტში გეგმები შეიცვალა. ნაკრები აზერბაიჯანში აღარ წავა და ტალინს მატჩებამდე რამდენიმე დღით ადრე ეწვევა. ამ დროისთვის იქ საქა-რთველოსაც ელიან. კრისტინას და ანდრეზას გარკვეული დრო ექნებათ ნაკრებთან შესათამაშებლად.

**ნიკა ქოპაძე**

**მომდევნო სარბიელში**

**რაზე საუბრობდნენ საქა და რთველო პეკინში სანდრა რულოვსთან**

# წლის საუკეთესო მძლეოსნები




**მძლეოსნობის** მამებს დიდი თავსატეხი არ დაადგათ საუკეთესოთა ასარჩევად. სამ-სამი გამორჩეულიც პროტოკოლის გამო მიიწვიეს მონტე კარლოში იააფ-ის წლის შემაჯამებელ გალა ცერემონიალზე — კაცებიდან ეთიოპიელი სტაიერი კენენისა ბეკელე, კუბელი თარჯმორბენალი ·დეირონ რობლესი და იამაიკელი სპრინტერი უსაინ ბოლტი, ხოლო ქალებიდან კენიელი 800 მეტრზე მორბენალი პამელა ჯელიმო, ეთიოპიელი სტაიერი ტირუნეშ დიბაბა და რუსი ჭოკითმხტომელი ელენა ისინბაევა. ისედაც ყველამ იცოდა, ამ სამეულებიდან ვის შეხვდებოდა მთავარი პრიზი.

დღესდღეობით სპორტის მრავალი გულშემატკივარი მძლეოსნობას უინტერესო და უმარილო სახეობად თვლის (ალბათ უფრო სათამაშო სახეობათა მოყვარულები) — „იმან ამდენში ირბინა“, „ის ამდენზე დაგახტა“... ერთი შეხედვით მოსაწყენია, არა?

მაგრამ უსაინ ბოლტის ყურებაში ნამდვილად არ მოიწყენს კაცი, არა იმიტომ, რომ მთელი მისი გამოსვლა 10 ან 20 წამში ეტევა, არამედ იმის გამო, რომ ის ნამდვილ სანახაობას დგამს, ბოლო წლებში სარბენ ბილიკზე არავის მოუხდენია ისეთი ფურორი, როგორიც ამ 22 წლის იამაიკელმა ბიჭმა აგვისტოში პეკინის ოლიმპიადაზე მოახდინა.

100 მეტრი 9,69 წამში!
200 მეტრი 19,30 წამში!
4X100 ესტაფეტა (სამ იამაკელ სპრინტერან ერთად) 37,10 წამში!

ზედიზედ სამი მსოფლიო რეკორდი, თანაც რა რეკორდები, რომელებიც სარბენ ბილიკზევე ცხელ გულზე ისეთი ბავშვური ცელქობით აღნიშნა, რომ მოთმინებადაკარგულმა ჟაკ როგმა, ოლიმპიზმის მესაჭემ და მამამთავარმა, საჯაროდ გაკიცხა მისი ქცევა — აქაოდა, ოლიმპიური ჩემპიონი ასეთი ჟონგლიორობით ყველას გვარცხვენსო.

ბოლტს კი, როგორც ჩანს, დიდად არ ენაღვლება რას ფიქრობს ხალხი მასზე. მისი სამი რეკორდიდან ყველაზე სენსაციურად 200 მეტრზე ნაჩვენები დრო ჩაითვლება. აქ მან რეკორდი ლეგენდარულ მაიკლ ჯონსონს (19,32 წამი 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე) ჩამოართვა. ჯონსონმა თქვა, გული არ დამწყვეტია, რეკორდი რომ დავკარგეო. მაგრამ „თავხედმა იამაიკელმა ბიჭუნამ“ სულ ახლახანს ნათქვამიც გაუბაცა — „მაიკლ ჯონსონი იტყუება და თავს იკატუნებს. დარწმუნებული ვარ, რეკორდის დაკარგვამ ძალიანაც დასწყვიტა გული.“

რაც შეეხება ელენა ისინბაევას, 2008 წელი მისთვისაც რეკორდებით აღსავსე გახლდათ. რუსმა მეჭოკემ, არც მეტი არც ნაკლები, სამი წელი არაფერი აკეთა, მოტივაცია აკლდა და იმიტომ. წლეულს კი ერთბაშად სამჯერ გააუმჯობესა საკუთარივე მსოფლიო რეკორდი — 5,03, 5,04, 5,05 მეტრი — აქედან მესამე იყო ოლიმპიადაზე, სულ უკანასკნელ ცდაზე დააქუხა, მას მერე რაც ამხელა სტადიონზე თავზე პირსახოცი წაიფარა და, როგორც იცის ხოლმე, ლოცვით დაიმშვიდა მანამდელი ჩავარდნების გამო აშლილი ნერვები. მისი ეს უკანასკნელი შედეგი დანარჩენი მსოფლიოს რეკორდს 12 სანტიმეტრით აღემატება.

# კანიბალი პარიზში?



**სასამართლომ** დამნაშავედ სცნო და 5 000 ევროს გადახდა დააკისრა ფრანგ მძლეოსან ქალს, ჰეპტატლონსა და სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონ იუნის ბარბერს. ორ წელზე გაჭიმული პროცესი იხილავდა 2006 წელს პარიზის გარეუბანში მომხდარ ინციდენტს ბარბერსა და პოლიციელებს შორის. მაშინ ბარბერის დაკავებას მთელი რაზმი დასჭირდა. არც მეტი არც ნაკლები ექვსმა პოლიციელმა ძლივს მოიხელთა და მიწაზე დაგდებულ სპორტსმენს შეაბა ხელბორკილი. ბარბერს ბრალად ედებოდა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა და მათი ცემა. ბრალეულობა ამდენი ხნის შემდეგ დაუმტკიცდა, თანაც თითოეული ნაცემი პოლიციელისთვის 350-დან 1015 ევრომდე გადახდაც დაეკისრა.

„ეს უსამართლობაზე მეტია“ — ცხარობდა პროცესის უკანასკნელი სხდომიდან გამოსული ბარბერი — დამნაშავედ მცნეს არაფრის გულისთვის. თვითონ იციან, რაც მიჰქარეს, მაგრამ არ ამბობენ. მანქანით მივდიოდი, გამაჩერეს და ფანჯარას რომ ჩავუწიე, შეურაცხყოფა მომაყენეს, „კანიბალი“ მოწოდეს და სახეშიც გამარტყეს. მე ამის დამამტკიცებელი საბუთიც მქონდა.“

სიერა ლეონეში დაბადებულმა 34 წლის ბარბერმა ვერ შეძლო თავისი სიმართლის დამტკიცება. ამბობდა, რომ რასიზმის მსხვერპლი შეიქნა. რაც შეეხება საბუთს, არსებობს გამვლელის მიერ გადაღებული ვიდეოკადრი, სადაც შავკანიანი ქალი პოლიციელებს ებრძვის და როგორც ჩანს, სასამართლოზე მთავარი ნივთმტკიცებულებაც ეს იყო.

# ბეკელემ ვერ მოითმინა



**კენენისა ბეკელე** კოჭის ტრავმის გამო ოთხ თვეს ვერ ირბენს და ეს მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. ორი ოლიმპიადის და სამი მსოფლიოს ჩემპიონატის ეთიოპიელმა გმირმა ფეხი ჰოლანდიურ ნაიმეგენში, 15-კილომეტრიანი საგზატკეცილო გარბენისას დაიშავა. სტარტზე გასვლამდე ექიმი აფრთხილებდა, მაგრამ მან არ დაუჯერა, რაკი ზედ გარბენის წინ ტკივილი დაუცხრა. გარკვეული დისტანციის გალევის შემდეგ, რომ გაიგო, ამ დისტანციის მსოფლიო რეკორდის გრაფიკში მივრბივარო, კიდევ უფრო აუჩქარა და ბოლო კილომეტრებზე ისეთი ტრავმა აიკიდა, რომ ფინიშამდე ძლივს მისული მენეჯერმა ლამის მხარზეგადაკიდებული მიიყვანა სასწრაფო დახმარების მანქანამდე.

„გეგმაში მქონდა, მთელი ზამთრის სეზონი სხვადასხვა ტურნირებზე მერბინა და ფორმა არ დამეკარგა მაგრამ ახლა სულ ცოტა ორი თვე მაინც მოვწყდები ვარჯიშს, მერე კი ვნახოთ.“

## მოლოდინის ათასი დღე

**24 ნოემბერს** დეგუში 1000-დღიანი უკუათვლა დაიწყო. რისი? სამხრეთ კორეის სიდიდით მესამე ქალაქი 2011 წელს მე-13 მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს და მოქალაქეებს ეს ამბავი რომ არ დაავიწყდეთ, თანაც მთელ ამ პერიოდში მხურვალე მოლოდინი არ გაუცივდეთ, ორგკომიტეტის შენობის ფასადზე ვეება საათი დაამონტაჟეს.

## HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

**8 დეკემბერი**

1931: ამერიკელი კრივის პრომოუტერი ბობ არუმი.
1941: ინგლისელი ფეხბურთელი [illegible]
1977: ფრანგი მორაგბე სებასტიენ შაბალი.
1978: ეთიოპიელი ფეხბურთელი ანვარ სირაჯი.
1979: შვედი ფეხბურთელი კრისტიან ვილჰელმსონი.
1982: თურქი ფეხბურთელები ჰამით და ჰალილ ალთინთოფები.
1985: ამერიკელი კალათბურთელი დუაიტ ჰოვარდი.

**9 დეკემბერი**

1938: ამერიკელი ფეხბურთელი დისონ ჯონსი.
1942: შოტლანდიელი ფეხბურთელი ბილი ბრემნერი.
1942: ამერიკელი ფეხბურთელი დიკ ბუტკუსი.
1949: ამერიკელი მეგოლფე ტომ კაიტი.
1953: ამერიკელი კალათბურთელი უორლდ ბი ფრი.
1967: რუმინელი ფეხბურთელი გეორგე პოპესკუ.
1969: ფრანგი ფეხბურთელი ბიქსენტ ლიზარაზუ.
1972: ფრანგი ჩოგბურთელი ფაბრის სანტორო.
1981: ამერიკელი ჩოგბურთელი მარდი ფიში.

**10 დეკემბერი**

1907: ფრანგი ფეხბურთელი ლუსიენ ლორენი.
1918: რუსი ჰოკეის მწვრთნელი ანატოლი ტარასოვი.
1975: ავსტრალიელი ფეხბურთელი ჯოსიპ სკოკო.
1981: ბრაზილიელი ფეხბურთელი ფაბიო როშემბაკი.
1987: არგენტინელი ფეხბურთელი გონსალო იგუაინი.

**11 დეკემბერი**

1969: ინდოელი მოჭადრაკე ვიშვანათან ანანდი.
1969: იტალიელი ფეხბურთელი ალესანდრო მელი.
1972: შვედი ჰოკეისტი დანიელ ალფრედსონი.
1972: საუდელი ფეხბურთელი სამი ალ-ჯაბერი.
1977: შვეიცარიელი ჰოკეისტი მარკ სტრაიტი.
1981: არგენტინელი ფეხბურთელი ხავიერ სავიოლა.

**12 დეკემბერი**

1932: ამერიკელი კალათბურთელი ბობ პეტიტი.
1946: ბრაზილიელი ავტომრბოლი ემერსონ ფიტიპალდი.
1962: ამერიკელი ჩოგბურთელი ტრეისი ოსტინი.
1965: ინგლისელი მორაგბე უილ კარლინგი.
1972: დანიელი მძლეოსანი უილსონ კიპკეტერი.
1974: პერუელი ფეხბურთელი ნოლბერტო სოლანო.
1975: ავსტრალიელი ფეხბურთელი კრეიგ მური.
1981: ინგლისელი ფეხბურთელი სტივენ უორნოკი.
1982: რუსი ჩოგბურთელი დმიტრი ტურსუნოვი.
1984: დანიელი ფეხბურთელი დანიელ აგერი.

**13 დეკემბერი**

1913: ამერიკელი მოკრივე არჩი მური.
1969: რუსი ჰოკეისტი სერგეი ფიოდოროვი.
1977: ირლანდიელი მორაგბე პეტერ სტრინგერი.
1983: პოლონელი მოცურავე ოტილია იედრეეიშაკი.

**14 დეკემბერი**

1908: უელსელი მორაგბე კლოდ დეივი.
1946: გერმანელი მძლეოსანი რუთ ფუხსი.
1951: ჰოლანდიელი მოჭადრაკე იან ტიმანი.
1953: ინდოელი ჩოგბურთელი ვიჯაი ამრიტრაჯი.
1956: ლიხტენშტაინელი მოთხილამურე ჰანი ვენცელი.
1960: ინგლისელი ფეხბურთელი კრის უოდლი.
1973: კანადელი ფეხბურთელი ტომაშ რაძინსკი.
1978: შვეიცარიელი ჩოგბურთელი პატი შნიდერი.
1979: ინგლისელი ფეხბურთელი მაიკლ ოუენი.
1980: კოტდივუარელი ფეხბურთელი დიდიე ზოკორა.
1982: ინგლისელი ფეხბურთელი სტივ სიდველი.



ლეგენდარული ამერიკელი ფეხბურთელი დიკ ბუტკუსი, საზარელი ლაინბეკერი, რომლის სახელითაც მშობლები ძილის წინ გაჯიუტებულ ბავშვებს აშინებდნენ



# ახალი დარბაზი და ახალგაზრდობა

**ძიუდოისტებისთვის** მიმდინარე სეზონი საქართველოს ჩემპიონატით დასრულდა, რომელსაც დიღომში მდებარე ახლადგარემონტებულმა შოთა ჩოჩიშვილის სახელობის დარბაზმა უმასპინძლა.

დარბაზი კეთილმოწყობილია, თუმცა ჯერ ბოლომდე არ არის დასრულებული და ალბათ, უახლოეს მომავალში ოფიციალურად გაიხსნება. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ შენობაში შესვლისთანავე თვალში მოგხვდებოდათ დანაგვიანებული ადგილები, კუთხეში მიყრილი მზესუმზირის ჩენჩოები და ბოთლები, რაც საერთო სურათს აუფერულებდა.

ტრიბუნები 500 ადამიანს იტევს და დილიდანვე ტევა არ იყო. ისიც სათქმელია, რომ გულშემატკივრებს ამჯერად აღარ მისცეს საშუალება, ტატამთან ახლოს მისულიყვნენ, რამაც საკმაოდ კომფორტული სიტუაცია შექმნა. თუმცა ერთი ხარვეზი მაინც მოგვხვდა თვალში — ტაბლოებზე საქართველოს ძველი დროშა ენთო.

თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ნაკრების ლიდერები დაისვენებდნენ. ერთადერთი, 81 კგ-ში მოიყარა თავი ყველა უძლიერესმა, გიორგი ბაინდურაშვილის გარდა. შოთა ხაბარელს სურდა, ნაკრების ყველაზე სუსტი წონის ბიჭები კიდევ ერთხელ ენახა საქმეში.

60 კგ-ში ამირან პაპინაშვილმა დამაჯერებლად იჭიდავა, მაგრამ ოქროს შეხვედრაში ნაკრების წევრს ბეთქილ შუკვანს კი ვეღარ დაეჭიდა, რადგან შუკვანმა მანამდე ტრავმა მიიღო და საჭიდაოდ გამოსვლას ვინ ჩივის, მედლის მისაღებადაც არ გასულა.

შალვა ქარდავას (66 კგ) გამოჩენა მოულოდნელობა იყო. ამ ბიჭს აქამდე ცოტა ვინმე თუ იცნობდა ძიუდოში, თუმცა სულ იპონ-იპონ იარა საჩემპიონო გზაზე, ნახევარფინალში ნაკრების კანდიდატი დავით ასუმბანი წააქცია და ფინალში გიორგი ფერხაშვილი ლამაზი გდებით სუფთაზე დასცა.

73 კგ-ში თენგიზ პაპოშვილის და დავით კუპრაშვილის ფინალში გასვლა გასაკვირი არც იყო. ეს ბიჭები ადრეც ყოფილან ნაკრებში. დაძაბული და ფრთხილი შეხვედრა პაპოშვილმა მოიგო.

ყველაზე დიდ ინტერესს 81 კგ იწვევდა. აქ ყველა ლიდერი უნდა გამოსულიყო, თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვით, გიორგი ბაინდურაშვილი არ გამოჩენილა, ხოლო გიორგი მამრიკიშვილმა 90 კგ-ში იჭიდავა და ვერცხლს გამორჩა. 81-ში კი პირველობა არავის დაუთმო ხვიჩა ხუტიშვილმა, ვინც ნახევარფინალში ოლიმპიადაზე ნაჭიდავები საბა გავაშელიშვილი დაამარცხა.

96 კგ-ში ოქრო დავით ლორიაშვილმა ირგუნა. ეს ბიჭი 23-წლამდელებში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოსანია და დამაჯერებლადაც იჩემპიონა.

ძალიან საინტერესო უნდა ყოფილიყო მძიმე წონა, სადაც ალექსი დავითაშვილიც გამოდიოდა, მაგრამ მან ფინალში ტრავმის გამო ვეღარ იჭიდავა და ოქროს მედალი და შესაბამისად, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონატის საგზური ზვიად ხანჯალიაშვილს დაუთმო.

**ლექსო მაისურაძე**

**60 კგ**

1. ამირან პაპინაშვილი (აჭარა)
2. ბეთქილ შუკვანი (მცხეთა-მთიანეთი)
3. ლევან ჩუბინიძე (იმერეთი)
3. სოსო ნიჟარაძე (ქვემო ქართლი)

**66 კგ**

1. შალვა ქარდავა (ქვემო ქართლი)
2. გიორგი ფერსაშვილი (შიდა ქართლი)
3. სანდრო იაკობაშვილი (ქვემო ქართლი)
3. გიორგი გუჯეჯიანი (ქვემო ქართლი)

**73 კგ**

1. თენგიზ პაპოშვილი (კახეთი)
2. დავით კუპრაშვილი (ქვემო ქართლი)
3. ამბაკო ავალიანი (ქვემო ქართლი)
3. ლაშა გუმბერიძე (იმერეთი)

**81 კგ**

1. ხვიჩა ხუციშვილი (იმერეთი)
2. გიორგი შინჯიკაშვილი (ქვემო ქართლი)
3. საბა გავაშელიშვილი (კახეთი)
3. ლევან წიკლაური (აჭარა)

**90კგ**

1. მინდია ბოდაველი (მცხეთა-მთიანეთი)
2. გრიგოლ მამრიკიშვილი (იმერეთი)
3. რევაზ ჩიკოიძე (თბილისი)
3. ზვიად გოგოჭური (კახეთი)

**100 კგ**

1. დავით ლორიაშვილი (ქვემო ქართლი)
2. დიმიტრი ტურაშვილი (კახეთი)
3. ვალერი იმერლიშვილი (კახეთი)
3. რევაზ მიქაბერიძე (გურია)

**+100კგ**

1. ზვიად ხანჯალიაშვილი (კახეთი)
2. ალექსი დავითაშვილი (კახეთი)
3. ადამ ოქრუაშვილი (მცხეთა-მთიანეთი)
3. ზვიად ჩინჩალაძე (ქვემო ქართლი)

# დიღმიდან ბორჯომში

**საქართველოს** ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ორ დღეში ძიუდოისტთა ნაკრები ბორჯომულ შეკრებაზე გაფართოებული შემადგენლობით გაემგზავრა. ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმა ეროვნულ პირველობაში გამორჩეული ბიჭები, ნაკრების პირველი ნომრები და ის ძიუდოისტები იახლა, ვინც ჩემპიონატი სხვადასხვა მიზეზით გამოტოვა. ბორჯომში 40 ძიუდოისტი წავიდა. აქედან 28 საუკეთესო შეირჩევა და იანვარში თბილისის მსოფლიოს თასზე იჭიდავებს.

საქართველოს ნაკრებს მასპინძლის სტატუსის უპირატესობა ექნება და თითოეულ წონაში ოთხ ძიუდოისტს გამოიყვანს. თბილისის მსოფლიოს თასზე თავგამოჩენილი ძიუდოისტები კი მომდევნო საერთაშორისო ტურნირებზეც გამოვლენ.

**ნიკა კოპაძე**



# სისულელეზე მეტი
## ოჯეი სიმპსონი ისევ ციხის კართან დგას

**ამერიკული ფეხბურთი** — გახსოვთ ოჯეი სიმპსონი? ამერიკული ფეხბურთის ლეგენდარული მოთამაშე, რომელმაც სახელი იმითაც გაითქვა, რომ საკუთარი ცოლი და მისი საყვარელი ერთად მოკლა, მაგრამ დანაშაული არ დაუმტკიცდა. ეს ამბავი 1995 წელს მოხდა და მაშინ ის ასე თუ ისე მშრალად დაუძვრა სასამართლოს.

მაგრამ როგორც ჩანს, ამერიკული ფეხბურთის დიდების დარბაზის წევრს ციხე მაინც არ ასცდება, ოღონდ სრულიად განსხვავებული მიზეზის გამო. შარშან ის სასტუმროში შეიჭრა და მომსახურე პერსონალი დააწიოკა. სიპსონი მრავალპუნქტიანი ბრალდებით წარდგა ახალი სასამართლოს წინაშე და ახლა, როცა პროცესი დასასრულს უახლოვდება, 61 წლის ყოფილ სპორტსმენს 33 წელი ციხე ემუქრება.

სიმპსონი პროცესზე მოტეხილი და საწყალი ჩანდა, ამბობდა არავისთვის არაფრის მოპარვა არ მინდოდაო, მაგრამ დანაშაული კი აღიარა — „ჩემის მხრიდან ეს ისულელეზე მეტი იყო.“





# ჰონდა დაიშალა

**ფორმულა ერთის** დიდ ოჯახს შესაძლოა ერთი წევრი გამოაკლდეს. შესაძლოა კი არა, უკვე გამოაკლდა. რამდენიმე დღის წინ დიდი ცირკიდან გასვლა გამოაცხადა იაპონურმა საჯინიბო „ჰონდამ“ და თუ რამე არ შეიცვალა, მომავალი წლიდან 11-ის ნაცვლად 10 გუნდი მოივლის მსოფლიოს ყველაზე სახელიან ავტოდრომებს.

შეცვლით კი ამ მხრივ მრავალი რამ შეიძლება შეიცვალოს. კერძოდ, შესაძლოა „ჰონდამ“ თავი გადაირჩინოს და აღიდგინოს, რაც ძირითადად ფორმულა ერთის მამების ბერნი ეკლსტოუნისა და მაქს მოსლის დამსახურება იქნება. ისინი ცდილობენ, საჯინიბოს ახალი სპონსორები, ან სულაც მფლობელები უშოვონ და ასე მაინც გადაარჩინონ. ოღონდ „ჰონდასაც“ თავისთავად, რაღაცის დათმობა მოუწევს მათთვის.

„რამდენიმე პოტენციურ კლიენტს ვესაუბრე და შემიძლია, გუნდს კონკრეტული ხალხი შევახვედრო, მაგრამ ისინი საჯინიბოს აქციათა საკონტროლო პაკეტს მოითხოვენ და არ ვიცი, რამდენად დათანხმდება „ჰონდა“ ამას“ — ამბობს ეკლსტოუნი.

**ვანო კობიაშვილი**






*ლეგენდარულმა მოკრივე ოსკარ დე ლა ჰოიამ ლას ვეგასში გამართულ ბრძოლაში ვერაფერი მოუხერხა მენი პაკიაოს და მერვე რაუნდში შეწყვიტა ბრძოლა. „გულით მინდა, რომ ახლა რინგ ზე ვიდგე და ისევ ვიბრძოდე, მაგრამ ფიზიკურად არ შემიძლია“ — ჩიოდა თვალჩამავებული ვეტერანი.*

დრეზდენის 38-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ქალთა ნაკრებმა პირველობა არავის დაუთმო და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა. 1996 წლის ტრიუმფის განმეორებას ქართველი გულშემატკივარი 12 წელი ელოდა და როგორც იქნა, ეს დროც დადგა. გერმანიაში მთელმა ნაკრებმა შესანიშნავად ითამაშა, პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძის გამოსვლა საოცრებად შეფასდა. ჩიბურდანიძემ 9 შესაძლებელიდან 7,5 ქულა დააგროვა. მისმა კარგმა თამაშმა სხვებსაც მეტი სტიმული და თავდაჯერება შემატა. მეორე დაფაზე ნანა ძაგნიძე თამაშობდა. ნანას საწყის ტურებში თამაში არ წაუვიდა, თუმც მერე მიჯრით 5 პარტია მოიგო და გამარჯვებაში თავისი მძლავრი სიტყვა თქვა. ძაგნიძისთვის ეს წელი სხვა მხრივაც გამორჩეული იყო. წლეულს რისი მოგებაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოიგო: ევროპის საკლუბო ჩემპიონატი „მონაკოსთან“ ერთად, საერთაშორისო ტურნირები, მიიღო ყველაზე მაღალი წოდება ჭადრაკში — დიდოსტატი გახდა კაცთა შორის და ბოლოს ოლიმპიური ჩემპიონობა.
ნანას განვლილი წელი შევაფასებინეთ და სამომავლო გეგმებზეც ვკითხეთ...



# გზაში გაგებული ჩემპიონობა

## ხტუნვა, ცეკვა და თამაში

— ჩემთვის ოლიმპიადა ცუდად დაიწყო, სამი პარტია ყაიმით დავასრულე და ამას ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა — მეოთხე პარტიაში დავმარცხდი. მომდევნო შეხვედრა რუსეთთან გამოვტოვე. გადაწყდა, რომ უნდა დამესვენა. მერე ოლიმპიადაზე ერთი დღე ისედაც დასვენება იყო, ანუ გამოვიდა, რომ ორი დღე თავისუფალი მქონდა. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ და ნაკრების კაპიტანმა ნინო გურიელმა მითხრეს, რომ ამ დროში საკუთარი თავისთვის რამე უნდა მომეხერხებინა და ავთამაშებულიყავი...

...მალევე დრეზდენში ნანა ალექსანდრია ჩამოვიდა. მასთან ერთად ვსეირნობდი, ვსაუბრობდით, რჩევებს მაძლევდა. როგორც ჩანს, ყველაფერმა ერთად ძალა შემმატა და მომდევნო შეხვედრა მოვიგე პოლონელ მოჭადრაკესთან, თუმცა ნაკრები დამარცხდა. ბუნებრივია, წაგებით ყველა გულდაწყვეტილი იყო, თუმც ამბობდნენ, რადგან ნანამ მოიგო და დაგვიბრუნდა, არა უშავსო.

— საწყის ტურებში რატომ არ წაგივიდა თამაში?

— ძნელი სათქმელია. ალბათ, ფსიქოლოგიურადაც სათანადოდ ვერ განვეწყე. მერე კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და მეც დარჩენილი მატჩები მოვიგე. მაია ჩიბურდანიძის გვერდით ჯდომა სტიმულს მაძლევდა. ვხედავდი, როგორი თავგამოდებით თამაშობდა მაია, უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი და მინდოდა, მაქსიმუმი გამეღო...

სხვათა შორის, ნანა ალექსანდრია რომ ჩამოვიდა, თავისი პალტო ჩამაცვა პოლონეთთან შეხვედრის დროს და, რა თქმა უნდა, მერე იმ პალტოს გარეშე არც ერთი შეხვედრა არ ჩამიტარებია. ზუსტად იმ პერიოდშივე დავიწყეთ სეირნობა და ესეც კარგად დავცადეთ. ყოველდღე გავდიოდით სასეირნოდ. სპორტსმენებს გვჩვევია ამგვარი დეტალებისთვის ყურადღების მიქცევა.

— ბევრჯერ ითქვა, რომ ნაკრები გერმანიაში ჩემპიონობას ნაკლებად უმიზნებდა, მიზანი სამეულში შესვლა იყო. როდის მიხვდით, რომ ოქროს მედლების მოპოვება შეგეძლოთ?

— პირადად მე რუსეთთან 2:2 დასრულებული მატჩის შემდეგ, როდესაც ვისვენებდი და შეხვედრას ინტერნეტით ვუყურე. ჩიბურდანიძემ საოცრად ძლიერად ითამაშა და კოსტენიუკს მოუგო.

— ჩემპიონები ბოლო ტურში სერბეთის დამარცხების შემდეგ გახდით, შენ როდის გაიგე რომ ჩემპიონები იყავით?

— ბოლო ტურის წინ ჩვენზე უკეთესი კოეფიციენტი უკრაინას ჰქონდა. ჩვენ სერბეთს 3:1 მოვუგეთ, თუმცა მათაც დაამარცხეს ჰოლანდიელები. ასე რომ, კოეფიციენტები იყო დასათვლელი და შედეგებს ველოდებოდით. სერბეთთან მატჩის დამთავრების შემდეგ დოპინგკონტროლზე წამიყვანეს და სასტუმროში ყველაზე გვიან დავბრუნდი. როცა მივედი, ინტერნეტში შედეგები ჯერ კიდევ არ იყო. მაია ლომინეიშვილს დავურეკე და მითხრა, რომ როგორც კი რაიმე გაირკვეოდა, დედამისი დაურეკავდა. მეც მასთან წაველი მეორე კოტეჯში. ვერ ვისვენებდი. ჯერ კიდევ გზაში ვიყავი, მაიას ლაპარაკი რომ შემომესმა, დედამისმა დაურეკა და უთხრა, რომ ჩემპიონები ვიყავით. საოცარი ემოცია იყო, ახლაც არ მახსოვს, რას ვაკეთებდი. თოვლში ვხტოდით, ვყვიროდით, ერთმანეთს ვეხვეოდით. მაია ლომინეიშვილს ისტერიული სიცილი აუვარდა. ძალიან ბედნიერები ვიყავით. ხომ რამდენი დღე გავიდა მას შემდეგ და ახლაც, ყველაფერს რომ ვაანალიზებ, მიჭირს ბოლომდე გააზრება, რომ ჩემპიონები ვართ.

— ისედაც მშვენიერი სეზონი გქონდა, ყველაფერი მოიგე — რას მივაწეროთ ასეთი წარმატება?

— ვფიქრობ, ჩემს თავში მოხდა გარდაქმნა. უფრო თავდაჯერებული გავხდი, მეტს ვმუშაობ საკუთარ თავზე. ყველაფერმა ერთად საოცარი შედეგი მომიტანა და ძალიან ბედნიერი ვარ.

— ევროპის საკლუბო ჩემპიონატი „მონაკოსთან“ ერთად მოიგე. ახლახანს კი ქართული კლუბის დაარსების იდეა გაჩნდა. შენ სად ითამაშებ მომავალ სეზონში?

— „მონაკოსთან“ 2-წლიანი კონტრაქტი მაქვს, ანუ ერთი სეზონი კიდევ უნდა ვითამაშო, თუმცა თუ მოვინდომე, შეიძლება წამოსვლა, ოღონდ არა მგონია, წამოვიდე, ალბათ დავრჩები. საერთოდ კი, ძალიან კარგი იდეაა ქართული გუნდის შექმნა. ახლაც, „მონაკოში“ თამაშისას, ევროპელები გაკვირვებულები მეკითხებოდნენ, კლუბი რატომ არ გყავთო.

— მომავალში თუ იფიქრებ აქ თამაშზე, ალბათ ეს პირობებზეც იქნება დამოკიდებული...

— რა თქმა უნდა. ვნახოთ, რა იქნება, ჯერჯერობით კი „მონაკოში“ ვითამაშებ.

— წლეულს გამოხვალ კიდევ სადმე?

— დეკემბრის ბოლოს ირანის საერთაშორისო ტურნირზე გამოვალ და მორჩა. ახალი წლიდან კი თავიდან დაიწყება ყველაფერი...

**ლექსო მაისურაძე**



# ასეც ხდება: ზოგჯერ წაგება კარგია

## ერთა თასი კი მაინც სულ სხვაა

**რაგბის** მსოფლიოს საბჭომ ლონდონში 2011 წელს გასამართი მსოფლიო თასის კენჭისყრა გამართა. ახალ ზელანდიაში წამსვლელი 12 ნაკრების ვინაობა საფრანგეთში გამართული მსოფლიოს თასის შემდეგ იყო ცნობილი.

საუკეთესო თორმეტეული სამ კალათაში გადანაწილდა. დანარჩენი რვა ნაკრები კი კონტინენტური შეჯიბრების შემდეგ გამოვლინდება და ჯგუფებსაც საბოლოო სახე მიეცემა.

ჩვენი ლელოები ახალ ზელანდიაში ჩასატარებელ მსოფლიოს თასის საგზურს მაშინ გაინაღდებენ, თუ 2009-2010 წლების სეზონის ერთა თასზე პირველ ან მეორე ადგილს დაიკავებენ.

თუ ისე მოხდა, რომ ქართველ ლელოებს ფეხი დაუცდათ და ერთა თასზე მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდნენ, მაშინ ახალი ზელანდიისკენ სავალ გზას გაირთულებენ და იქ მოსახვედრად ბრძოლა პლეი ოფში ამერიკის მესამე გუნდთან მოუწევთ. აქ 2-მატჩიან დაპირისპირებაში გამარჯვებული მსოფლიოს თასის საგზურს მიიღებს.

აქვე ვთქვათ, რომ ერთა თასის პირველადგილოსანი და მესამე ნაკრები, ვინც პლეი ოფიდან მოახერხებს გასვლას, B ჯგუფში მოხვდება: არგენტინის, ინგლისის და შოტლანდიის ნაკრებებთან ერთად, ხოლო ერთა თასზე მეორე ადგილის მომპოვებელი C ჯგუფში ავსტრალიას, ირლანდიას, იტალიას და ამერიკიდან გასულ მეორე ნაკრებს დაეჯახება.

ჩვენი გადასახედიდან ამ ორ ვარიანტს შორის უკეთესი C ჯგუფში მოხვედრაა, რაკიღა არგენტინასთან და შოტლანდიასთან უფრო უნდა გაგვიჭირდეს, ვინემ ირლანდიასთან და იტალიასთან. ცხადია, ინგლისსა და ავსტრალიასთან ტოლ-სწორად ჭიდილზე ოცნებაც არ უნდა გავბედოთ.

ჰოდა, გამოდის, საქართველოს ნაკრებს ერთა თასზე მეორე ადგილზე გასვლა უჯობს. ოღონდ მიზნად ეს არ უნდა დავისახოთ, რაკი ერთა თასის მოგებას ჩვენთვის განსაკუთრებული ხიბლი აქვს.

**ლექსო მაისურაძე**

### მსოფლიოს თასის წილისყრა

**A** ჯგუფი: ახალი ზელანდია, საფრანგეთი, ტონგა, ამერიკა 1, აზია
**B** ჯგუფი: არგენტინა, ინგლისი, შოტლანდია, ევროპა 1, რეპეშაჟი
**C** ჯგუფი: ავსტრალია, ირლანდია, იტალია, ევროპა 2, ამერიკა 2
**D** ჯგუფი: სამხრეთ აფრიკა, უელსი, ფიჯი, ოკეანეთი, აფრიკა 2




### საქართველოს შვიდკაცა ნაკრების ვოიაჟი

| *28-29 ნოემბერი. დუბაი მსოფლიოს სერიის ეტაპი* | *5-6 დეკემბერი. სამხრეთ აფრიკა მსოფლიოს სერიის ეტაპი* |
| --- | --- |
| საქართველო 7:26 არგენტინა | საქართველო 5:26 ავსტრალია |
| საქართველო 7:33 სამოა | საქართველო 5:31 ს. აფრიკა |
| საქართველო 12:14 საფრანგეთი | საქართველო 0:38 აშშ |
| საქართველო 7:19 პორტუგალია | საქართველო 14:26 საფრანგეთი |
| საქართველო 12:22 საამიროები | საქართველო 14:17 შოტლანდია |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## კვირიდან კვირამდე

*30 ნოემბერი*
დეტროიტი 85:96 პორტლენდი
ფინიქსი 109:117 ნიუ ჯერსი
ლეიკერსი 112:99 ტორონტო
ფილადელფია 92:103 ჩიკაგო
დენვერი 104:94 ჰიუსტონი

*1 დეკემბერი*
შარლოტი 100:90 მინესოტა
გოლდენ სტეიტი 129:130 მაიამი
ბოსტონი 107:88 ორლანდო

*2 დეკემბერი*
ინდიანა 118:117 ლეიკერსი
ნიუ იორკი 97:104 პორტლენდი
დალასი 100:98 კლიპერსი
დენვერი 132:93 ტორონტო
ნიუ ჯერსი 88:108 ვაშინგტონი
სან ანტონიო 77:89 დეტროიტი
ჩიკაგო 95:103 ფილადელფია
საკრამენტო 94:99 იუტა

*3 დეკემბერი*
ვაშინტონი 92:98 პორტლენდი
შარლოტი 103:97 ოკლაჰომა
ფილადელფია 102:114 ლეიკერსი
ბოსტონი 114:96 ინდიანა
მილუოკი 97:90 ჩიკაგო
იუტა 89:93 მაიამი
ატლანტა 105:95 მემფისი
კლივლენდი 118:82 ნიუ იორკი
ორლანდო 100:89 მინესოტა
ნიუ ორლეანი 104:91 ფინიქსი
ჰიუსტონი 103:96 კლიპერსი

*4 დეკემბერი*
დალასი 112:97 ფინიქსი
დენვერი 91:108 სან ანტონიო

*5 დეკემბერი*
ვაშინგტონი 104:106 ლეიკერსი
ნიუ ჯერსი 113:84 მინესოტა
კლივლენდი 97:73 ინდიანა
დეტროიტი 91:96 ფილადელფია
ჰისტონი 131:112 გოლდენ სტეიტი
იუტა 114:87 ტორონტო
მემფისი 93:81 კლიპერსი
მილუოკი 101:96 შარლოტი

*6 დეკემბერი*
შარლოტი 74:94 კლივლენდი
მაიამი 105:99 ოკლაჰომა
მინესოტა 84:107 კლიპერსი
სან ანტონიო 123:88 გ. სტეიტი
ფინიქსი 106:104 იუტა
ფილადელფია 84:95 ნიუ ჯერსი
ნიუ ორლეანი 106:87 მემფისი
დალასი 100:98 ატლანტა
ჩიკაგო 117:110 ვაშინტონი
საკრამენტო 75:118 დენვერი

### კვირის ლიდერები

**ქულა**

| | | |
|---|---|---|
| დევინ ჰარისი (ნიუ ჯერსი) | 30.11 | 47 |
| ჯამაალ კროუფორდი (გ. სტ.) | 1.12 | 40 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 6.12 | 39 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 1.12 | 38 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 1.12 | 37 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 5.12 | 33 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 3.12 | 32 |
| დენი გრეინჯერი (ინდიანა) | 2.12 | 32 |
| ჯო ჯონსონი (ატლანტა) | 6.12 | 32 |
| რეი ალენი (ბოსტონი) | 3.12 | 31 |

**მოხსნა**

| | | |
|---|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 4.12 | 23 |
| ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 6.12 | 20 |
| მარკუს კემბი (კლიპერსი) | 6.12 | 19 |
| ტროი მერფი (ინდიანა) | 2.12 | 17 |
| დევიდ ლი (ნიუ იორკი) | 3.12 | 16 |

**პასი**

| | | |
|---|---|---|
| რაჯონ რონდო (ბოსტონი) | 3.12 | 17 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 3.12 | 15 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 6.12 | 15 |
| ჩონსი ბილაფსი (დენვერი) | 2.12 | 14 |
| რაიმონდ ფელტონი (შარლ) | 1.12 | 14 |

**ჩაჭრა**

| | | |
|---|---|---|
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 3.12 | 5 |
| თადეუს იანგი (ფილადელფია) | 2.12 | 5 |

**დაფარება**

| | | |
|---|---|---|
| მარკუს კემბი (კლიპერსი) | 6.12 | 7 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 4.12 | 6 |
| მარკუს კემბი (კლიპერსი) | 3.12 | 6 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 3.12 | 6 |
| ალ ჯეფერსონი (მინესოტა) | 1.12 | 6 |

# ცინიკოსი ბურთი




### კვირის მატჩი

2 დეკემბერი

**ინდიანა 118:117 ლეიკერსი**

**ინდიანა:** ფორდი (21), დანიელსი (16), გრეინჯერი (32), მერფი (16 ქულა, 17 მოხსნა), ნესტეროვიჩი (16); რაში (7), ჯეკი 4), ჰიბერტი (2), მაკრობერტსი (2), გრეჰემი (2)

**ლეიკერსი:** ფიშერი (10), ბრაიანტი (28), რადმანოვიჩი (10), გასოლი (20), ბინამი (17); არიზა (13), ვუიაჩიჩი (9), ოდომი (6), ფარმარი (4)

**დრო** ამოწურული იყო, ბურთი კი ჯერ კიდევ „ლეიკერსის" კალათზე ნერვიულად ხტოდა. ბოლოს მაინც ინება ჩაშვება და მთელი ინდიანაპოლისი გააბედნიერა.

კობი ბრაიანტი და კომპანია ნამდვილად არ ელოდა ასეთ დასასრულს. „ლეიკერსმა" ამ თამაშის მოგება ფაქტობრივად მესამე მეოთხედში გაინაღდა, როცა ამ პერიოდის ბოლო ორნახევარი წუთი 17:0 მოიგო (!) და დასკვნით მეოთხედში 15-ქულიანი უპირატესობით შეაბიჯა. მაგრამ ინდიანელებმა ბოლომდე ბრძოლა გადაწყვიტეს, მათმა ლიდერებმა დენი გრეინჯერმა, თიჯეი ფორდმა და ტროი მერფიმ იმდენი ქნეს, რომ ამხელა სხვაობა გაალღვეს. ბოლოსწინა წუთზე გრეინჯერმა სამიანი დასჭექა და მარკის დანიელსმა წყვილი საჯარიმოებით 116:115 დააწინაურა თავისიანები.

ბრაიანტი რის ბრაიანტი იქნებოდა, რომ არ გაპასუხებოდა. გასული სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ ორიანი გაახერხა და „ლეიკერსი" წინ წასწია. ბოლო შეტევა „ინდიანასი" იყო, რომელიც ისტერიკად იქცა. მასპინძლებმა ლამის ორჯერ დაკარგეს ბურთი, ბოლოს კი გარღვევაზე წასულმა დანიელსმა სტუმართა ხელების ტყეში შეისროლა ბურთი, რომელიც კალათში კი არა ცარიელ სივრცეში დაეჩვა. ამ დროს არსაიდან აღმოცენებულმა მერფიმ ხელი ამოჰკრა და... დროც გავიდა, ბურთი კი მერე ჩავარდა.

ეს იყო „ლეიკერსის" პირველი გასვლითი მარცხი.

**ირაკლი ფირაშვილი**

### აღმოსავლეთი

| | მოგ | წაგ | % | შინ | სტ | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ბოსტონი | 19 | 2 | 90,5 | 12-1 | 7-1 | 11 მოგ | 10-0 |
| ნიუ ჯერსი | 11 | 8 | 57,9 | 4-5 | 7-3 | 2 მოგ | 7-3 |
| ტორონტო | 8 | 10 | 44,4 | 4-4 | 4-6 | 3 წაგ | 4-6 |
| ფილადელფია | 9 | 12 | 42,9 | 5-6 | 4-6 | 1 წაგ | 4-6 |
| ნიუ იორკი | 8 | 11 | 42,1 | 6-4 | 2-7 | 3 წაგ | 2-8 |
| **ცენტრალური** | | | | | | | |
| კლივლენდი | 17 | 3 | 85,0 | 11-0 | 6-3 | 8 მოგ | 9-1 |
| დეტროიტი | 11 | 7 | 61,1 | 5-4 | 6-3 | 1 წაგ | 5-5 |
| ჩიკაგო | 9 | 11 | 45,0 | 6-3 | 3-8 | 1 მოგ | 4-6 |
| მილუოკი | 9 | 12 | 42,9 | 5-4 | 4-8 | 2 მოგ | 4-6 |
| ინდიანა | 7 | 12 | 36,8 | 5-4 | 2-8 | 2 წაგ | 3-7 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ორლანდო | 15 | 5 | 75,0 | 9-3 | 6-2 | 2 მოგ | 8-2 |
| ატლანტა | 12 | 7 | 62,3 | 7-1 | 5-6 | 1 წაგ | 6-4 |
| მაიამი | 11 | 9 | 55,0 | 6-3 | 5-6 | 3 მოგ | 6-4 |
| შარლოტი | 7 | 13 | 35,0 | 6-8 | 1-5 | 2 წაგ | 4-6 |
| ვაშინგტონი | 3 | 15 | 16,7 | 2-8 | 1-7 | 3 წაგ | 2-8 |

| | მოგ | წაგ | % | შინ | სტ | ზედიზედ | ბოლო 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | | | | | |
| ჰიუსტონი | 13 | 7 | 65,0 | 6-3 | 7-4 | 2 მოგ | 7-3 |
| ნიუ ორლეანი | 11 | 6 | 64,7 | 6-3 | 5-3 | 2 მოგ | 7-3 |
| დალასი | 11 | 8 | 57,9 | 5-4 | 6-4 | 4 მოგ | 9-1 |
| სან ანტონიო | 11 | 8 | 57,9 | 6-5 | 5-3 | 2 მოგ | 7-3 |
| მემფისი | 5 | 15 | 25,0 | 4-5 | 1-10 | 1 წაგ | 2-8 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| დენვერი | 14 | 7 | 66,7 | 7-3 | 7-4 | 1 მოგ | 7-3 |
| პორტლენდი | 14 | 7 | 66,7 | 7-0 | 7-7 | 1 წაგ | 8-2 |
| იუტა | 13 | 9 | 59,1 | 9-3 | 4-6 | 1 წაგ | 5-5 |
| მინესოტა | 4 | 15 | 21,1 | 2-7 | 2-8 | 5 წაგ | 3-7 |
| ოკლაჰომა | 2 | 19 | 9,5 | 1-9 | 1-10 | 3 წაგ | 1-9 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლეიკერსი | 16 | 2 | 88,9 | 9-1 | 7-1 | 2 მოგ | 9-1 |
| ფინიქსი | 12 | 9 | 57,1 | 5-5 | 7-4 | 1 მოგ | 4-6 |
| გოლდენ სტეიტი | 5 | 15 | 25,0 | 3-5 | 2-10 | 9 წაგ | 1-9 |
| საკრამენტო | 5 | 16 | 23,8 | 3-8 | 2-8 | 8 წაგ | 1-9 |
| კლიპერსი | 4 | 16 | 20,0 | 2-9 | 2-7 | 1 მოგ | 3-7 |

## თვის მოთამაშეები

**აღმოსავლეთი**
**ლებრონ ჯეიმსი**
**(კლივლენდი)**



**დასავლეთი**
**კრის პოლი**
**(ნიუ ორლეანი)**



**ლეგენდარულმა** ჩარლზ ბარკლიმ ლებრონ ჯეიმსს სულელი კი უწოდა — მაგას ურჩევნია კალათბურთი ითამაშოს და სხვა გუნდებში გადასვლაზე-არ-გადასვლაზე ფიქრს შეეშვასო — მაგრამ სამომავლო ქათამზე ფიქრთან ერთად ლებრონი დღევანდელ კვერცხსაც არ ივიწყებს და მშვენივრად თამაშობს. ნოემბრის მატჩებში მან საშუალოდ 27,8 ქულა აგროვა, სამჯერ 41 ქულა გააკეთა და „კლივლენდი" ცენტრალურ დივიზიონში გაალიდერა. კონკურენტი ბევრი ყავდა, მაგრამ აღმოსავლეთში ნოემბრის საუკეთესოდ მაინც ის გახდა.

დასავლეთში ეს პატივი ერგო „ნიუ ორლეანის" სუპერგამთამაშებელ კრის პოლს, რომელმაც ნოემბრის მატჩებში საშუალოდ 20,3 ქულა, 5,7 მოხსნა, 11,6 პასი და 2,8 პასი აკეთა.

**თვის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის" ვერსია)**
კრის პოლი (ნიუ ორლეანი), დუეინ ვეიდი (მაიამი),
ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), კრის ბოში (ტორონტო),
დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)




ქართული კალათბურთის ქომაგი კარგად იცნობს ᲠᲐᲛᲐᲖ ᲒᲝᲒᲝᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ. რუსთაველთათვის კი ეს ადამიანი ლამის კუმირის ტოლფასია და არ გვეგულება გულშემატკივარი, გოგობერიშვილის მოხდენილ თამაშს ალტაცებაში არ მოეყვანოს. გასულ ხუთშაბათს რამაზ გოგობერიშვილმა კარიერა დაასრულა — ის მშობლიური „ხიმიკების" დარბაზიდან გააცილეს რუსთაველებმა და არა მარტო მათ. გულშემატკივარმა საბოლოოდ დაუკრა ტაში რამაზს მოედანზე და ეს ყველაფერი უფრო სევდიანი იყო, ვიდრე სახალისო...

# ᲠᲐᲛᲐᲖ–ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

## ᲒᲝᲒᲝᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝ

— ძალიან ლამაზი სალამო გამოვიდა, რომელსაც ჰქონდა ორი მხარე: სასიხარულო და სამწუხარო — გვითხრა რამაზ გოგობერიშვილმა — მესიამოვნა, ამდენი ხალხი რომ მოვიდა, გულშემატკივარს რომ ვახსოვარ და ისეთივე სიყვარულით არის ჩემდამი განმსჭვალული, როგორც კარიერის საუკეთესო წლებში. სამწუხარო კი ის იყო, რომ ქომაგების წინაშე უკანასკნელად წარვსდექი მოთამაშის ამპლუაში. გული დამწყდა ასევე იმაზე, რომ ირაკლი ჯაფარიძემ ვერ მიიღო მონაწილეობა ამ თამაშში.

— **უშუალოდ თამაშზე და „ხიმიკებში" მომხდარ ამბებზე რას იტყვით, კმაყოფილი დარჩით?**

— ძალიან ლამაზი იყო ყველაფერი, რაც ჩემი მეგობრების და რა თქმა უნდა, გულშემატკივრების დამსახურებაა. დიდი მადლობა მინდა ყველა ქომაგს, ქალაქ რუსთავისა და ქვემო ქართლის ხელმძღვანელობას, საქართველოს კალათბურთის ფედერაციას, რომლებიც გვერდში დამიდგნენ და ამ სალამოს კარგად ორგანიზებაში დამეხმარნენ.

— **კარიერის დასრულება რამ გადაგაწყვეტინათ?**

— ჩემი ხნის აღარავინ იყო საქართველოს ჩემპიონატში და ცოტა უხერხულად ვგრძნობდი თავს. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, ისე კი, მთავარი მიზეზი მართლაც ასაკია. 35 წლის ვარ და ვფიქრობ, ჯობს, ასპარეზი ახალგაზრდებს დავუთმო.

— **რა იყო თქვენი კარიერის პიკი და რა მიგყვებათ ყველაზე ძვირფას მოგონებად?**

— ჩემი კარიერა სამ-ოთხ ნაწილად იყოფა. თავიდან, სანამ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, მოვასწარი საკავშირო ჩემპიონატში თამაში და მოვხვდი ყველასთვის საოცნებო თბილისის „დინამოში". ამის ზევით უკვე ნაკრები იყო, თუმცა მე მალე საქართველოს ნაკრებში თამაშის პერსპექტივა გამოჩნდა, რადგან 17 წლის ვიყავი, საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა. მეორე ეტაპი იყო უცხოური კარიერა: საბერძნეთსა და პორტუგალიაში საკმაოდ კარგი სეზონები მქონდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი ჩემს კარიერაში ყველაზე აზარტული თამაშების ჯერი დადგა.

— **„ვითასთან" წაგებული ფინალები ალბათ ცუდად გახსენდებათ...**

— გული დამწყდა თავისთავად, თუმცა მაინც სასიამოვნოა, დაუვიწყარ მატჩებში მივიღე მონაწილეობა. ჩემპიონი პირველად „სტუ-ჯეოსელში" გავხდი, თუმც მოგვიანებით რუსთავულ გუნდშიც გავიმეორე იგივე და ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტულია კარიერაში.

— **ახლა რას გააკეთებთ, კალათბურთის გარეშე?**

— სათამაშო კარიერას დავანებე თავი, თორემ კალათბურთიდან არ მივდივარ. ვმუშაობ მწვრთნელად „ენერჯი-ინვესტის" დუბლიორთა გუნდში და რა როგორ გამომივა, მომავალში გამოჩნდება.

— **გაცილების მატჩის ბოლოს მოედანზე გეგი გოგობერიშვილი, თქვენი შვილი გამოვიდა, რომელმაც არაერთი ბურთი ჩააგდო...**

— გეგი ჩემს აღმზრდელ ბატონ ოთარ ხმელიძესთან დადის კალათბურთზე და როგორც მეუბნება, თურმე იმაზე კარგი მონაცემები აქვს, მე რომ მქონდა მის ასაკში. ვნახოთ, რა გამოვა, თუკი ბოლომდე მიჰყვება კალათბურთს, გამეხარდება, არადა, არ დავაძალებ.

**ᲠᲐᲛᲐᲖ ᲧᲐᲕᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

7 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

**ᲛᲐᲙᲐᲑᲘ 58:103 ᲔᲜᲔᲠᲯᲘ**

5:24 14:30 21:26 18:23

ᲛᲐᲙᲐᲑᲘ: იოსელიანი (2 ქულა), ახვლედიანი (10), ჯანგველაძე (23), ბიბილური (4), სუდაძე (5); ლონდარიძე (9), კილაძე (3), პატარაია (2), ელიკაშვილი, არონია, მეზვრიშვილი

ᲔᲜᲔᲠᲯᲘ: დიდია (30), ბაბიაშვილი (13), უგრეხელიძე (8), არწივიძე, ჭოჭუა (9); დვალიშვილი (8), ცეკვავა (9), ხმელიძე (2), ტუჯანი (8), აბაიშვილი (4), მაჭავარიანი (12)

მსაჯები: ხათუნა გაბედავა, გურამ მიკელაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 68:78 ᲑᲐᲗᲣᲛᲘ**

19:18 21:16 12:22 16:22

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ: სორდია (14), ლაფანაშვილი (13), სიგუა (3), ქარდავა (10), ხიზანიშვილი (18); ბაქრაძე, კორკოტაძე (4), ხანიშვილი (6)

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ: თავართქილაძე (11), ჩხატარაშვილი (21), კუშელავა (13), ბოლქვაძე (6), იმნაძე (28); დოლიძე (6), ნოზაძე (3), კვერნაძე

მსაჯები: მიხეილ ბერეკაშვილი, დავით არეშიძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

**ᲜᲢᲓ 84:78 ᲡᲡᲡᲡᲣ**

22:16 22:19 14:16 26:23

ᲜᲢᲓ: ფაშაევი (11), ხარიევი (6), ნადირაშვილი ევი (16), ბახშიევი (15), სუხიშვილი (6); ჩიტაშვილი (9), მამაცაშვილი, როდუმტა (9), კეიდია (2), კოლუაშვილი (10)

ᲡᲡᲡᲡᲣ: ბერიშვილი (28), ნიჟნიკაძე (11), ათანეშვილი (10), მარხვაშვილი (10), გვიმრაძე (7); გულისაბედაშვილი (6), ტყეშელაშვილი (1)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

**ᲨᲡᲡ 64:81 ᲐᲕᲘᲐᲛᲨᲔᲜᲘ**

12:27 9:17 21:26 22:11

ᲨᲡᲡ: მიქაბერიძე (2), ფეიქრიძე (3), ბაქრაძე (6); ბ. ნოზაძე (7), შენგელია (9); ბერუაშვილი, ნინუა (4), პატარაია (20), გოლეთიანი (13), აბულაძე, ბერაია

ᲐᲕᲘᲐᲛᲨᲔᲜᲘ: ი. ბერიშვილი (5), ბოისა, პირველაშვილი (4), ნაცვრიშვილი (12), მათიაშვილი (17); ბერაია (11), მოსეშვილი (2), ნიკოლაძე (7), კვიმსაძე (7), მინაშვილი (4), ნინიაშვილი (7), შერმადინი (5)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

# ᲐᲖᲔᲠᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲕᲐᲚᲨᲘ ᲩᲐᲣᲓᲒᲜᲔᲜ

**ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲘᲡ** ცენტრალური მატჩი ნტდ-ს და სსსსუ შორის გაიმართა და ასეა თუ ისე, გაამართლა კიდეც გულშემატკივრის იმედები. ქულა-ქულაში დაწყებულ შეხვედრაში მალევე ნტდ-ს კალათბურთელები დაწინაურდნენ და მატჩის ბოლომდე მეტოქე მდევრად ამყოფეს. სასოფლოს კალათბურთელებმა ერთადერთხელ, მატჩის მიწურულს მოახერხეს რამდენიმე წამით ანგარიშის სათავისოდ შებრუნება და სულ ეგ იყო...




რევაზ დიდია

ნტდ ძირითადად უკანახაზელების აქტიურობით ზრდიდა სხვაობას და არც ფარზე იყო ჯაბანი, თუმცა მისი უპირატესობის მთავარი მიზეზი მეტოქის უხვი შეცდომები იყო. სასოფლოს კალათბურთელები ელემენტარული სიტუაციაში სცოდავდნენ. პირველ ტაიმში სასოფლოს გუნდმა მეტოქესთან მიახლოება ვერაფრით შეძლო. აი, მეორე ტაიმიდან კი ცოტა გამოფხიზლებული დაუბრუნდა მოედანს და ნაბიჯ-ნაბიჯ ანგარიშის შემცირებას მიჰყო ხელი. მესამე პერიოდის შემდეგ ნტდ 58:50 იგებდა და გადამწყვეტი პერიოდის წინ გარკვეულიც არაფერი იყო.

სასოფლომ ბოლო ძალები მოიკრიბა და მეტოქე შეავიწროვა. გააქტიურდა გიორგი მარხვაშვილი, ვინც მანამდე ჩრდილში იყო. მან რამდენიმე მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო და რაც მთავარია, გიორგი ბერიშვილს შეაწია ხელი. ბერიშვილი სასოფლოდან უდავოდ საუკეთესო იყო — მეტოქეს 28 ქულა ჩაუგდო, მაგრამ რად გინდა. არადა, სწორედ მან სამქულიანის შემდეგ 74:72 თავისიანები დააწინაურა, ოღონდ როგორც ზემოთ ვთქვით, სასოფლოს წინ გასვლა რამდენიმე წამს გაგრძელდა. საპასუხო შეტევაში მიხეილ ჩიტიშვილმა სამქულიანი ჩააკალათა და მეტოქეს ცივი შხაპი გადაასხა. დარჩენილ წუთებში ორივე გუნდს შეეძლო მოგება, მაგრამ სასოფლომ მეტი შეცდომა დაუშვა და დამარცხდა კიდეც.

**ᲚᲔᲥᲡᲝ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ᲔᲜᲔᲠᲯᲘ | 7 | 7 | 0 | +155 | 14 |
| ᲜᲢᲓ | 7 | 6 | 1 | +86 | 13 |
| ᲐᲕᲘᲐ | 7 | 5 | 2 | +150 | 12 |
| ᲡᲡᲡᲡᲣ | 7 | 5 | 2 | +82 | 12 |
| ᲗᲡᲣ | 7 | 4 | 3 | +146 | 11 |
| ᲑᲐᲗᲣᲛᲘ | 7 | 3 | 4 | -72 | 9 |
| ᲨᲡᲡ | 7 | 1 | 6 | -116 | 8 |
| ᲓᲘᲜᲐᲛᲝ | 7 | 1 | 6 | -150 | 8 |
| ᲛᲐᲙᲐᲑᲘ | 8 | 0 | 8 | -261 | 8 |

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

# ᲠᲣᲡᲘ ᲛᲝᲠᲑᲔᲜᲐᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲙᲕᲓᲐ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** მშვიდობის საერთაშორისო მარათონი ჩატარდა, სადაც სხვადასხვა ქვეყნის მძლეოსნებიც მონაწილეობდნენ. მარათონის დროს შეუძლოდ გახდა რუსეთის წარმომადგენელი, 65 წლის ედვარდ იაკოვლევი, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. მარათონი მძლეოსნობის ფედერაციასთან შეთანხმების გარეშე ჩატარდა. ფედერაციის გენერალური მდივნის მაია აზარაშვილის თქმით, მათ იცოდნენ, რომ მარათონი ტარდებოდა და ორგანიზატორებს შესთავაზეს, ეთანამშრომლათ, მაგრამ უარი მიიღეს.

**ᲜᲘᲙᲐ ᲙᲝᲑᲐᲫᲔ**

# ᲙᲐᲓᲔᲢᲔᲑᲘ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲐᲑᲔᲑᲔᲜ

**ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ** კადეტებმა ისკარის საერთაშორისო ტურნირზე ორი მატჩი წააგეს — ჯერ თურქეთთან 62:82, შემდეგ კი ხორვატიასთან 50:92.

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა 16-წლამდელებმა ბალკანელებს მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს წინააღმდეგობა, მეორეში კი ბალკანელებმა მოუმატეს და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოშა-გიორგი

დედა მას, როგორც ბავშვობაში, ახლაც „რიკის“ ეძახის, რუმინელმა მწვრთნელმა ლასლო ბოლონიმ სისწრაფის გამო „მუსტანგად“ მონათლა, მეგობრებმა კი მეტსახელად CIGANO (ბოშა) შეარქვეს...

## რიკარდუ კვარეჟმა დროს ვერ აკონტროლებს: ორი წუთი ორი საათი ჰგონია





„უნიჭიერესია, მაგრამ ისე ვერ მახარებს გულმოდგინებით, როგორც ზლატან იბრაჰიმოვიჩი. ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი. გარეტერფით უყვარს ბურთის დარტყმა და თუ დამიჯერებს, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე თვეში ბევრად უკეთეს კვარეჟმაზე ვისაუბრებთ“ — ასე დაახასიათა ჟოზე მოურინიომ 18 მილიონ ეროდ ნაყიდი რიკარდუ ანდრადე კვარეჟმა ბერნარდუ.

პორტუგალიელი ბოშების ოჯახში 1983 წლის 29 სექტემბერს დაბადებული ბიჭის სახელზე მშობლებს დიდხანს არ უფიქრიათ. რიკარდუს ისეთივე სიხშირით არქმევენ ბავშვებს პორტუგალიაში, როგორც გიორგის საქართველოში.

„რიკის“ დედ-მამა სპორტსმენები ყოფილან, მაგრამ შვილი კი გამოუვიდათ ჩაფსკვნილი და ბეჭგანიერი.

ბიჭი თანატოლებივით ბურთს არ დასდევდა და კარგად სწავლობდა, მაგრამ 1992 წელს ჩემპიონთა თასის ფინალი ნახა და გული ფეხბურთისკენ შემოუბრუნდა. ფინალში „ბარსელონამ“ „სამპდორიას“ რონალდ კუმანის გოლით მოუგო და, როგორც „რიკიმ“ მოგვიანებით თქვა, მატჩმა მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

რიკარდუ კვარეჟმა „ბარსას“ ფანი გახდა, ფეხბურთზე მისვლა გადაწყვიტა და ლისაბონის „სპორტინგის“ აკადემიაში მიიყვანეს. ამ აკადემიამ გამოზარდა ლუიშ ფიგუ, კრიშტიანუ რონალდუ და სიმაუ საბროსა.

რონალდუ რიკარდუზე ორი წლით უმცროსია, მაგრამ 1999-ში 14 წლისა უკვე „სპორტინგის“ ახალგაზრდულ გუნდში „დაფრინავდა“. მისი „ვარსკვლავური“ კოჭები მაშინვე გამოჩნდა. სისწრაფე, დრიბლინგი, დარტყმა — ეს ყველაფერი ჰქონდა, თუმც არც კვარეჟმა დაყიალობდა ვარჯიშებზე უქმად და თავის ფეხბურთს ხვეწდა.

2000-01 წლების სეზონში „რიკი“ „სპორტინგის“ მეორე გუნდში დააყენეს და უმალ ლიდერად იქცა. თანაგუნდელებისგან გამოირჩეოდა ტექნიკით და თავისებური სირბილით. შეეძლო უცბად აჩქარება, რაღაც ორიგინალურის მოფიქრება და ფინტებით მეტოქის დაჩაგვრა.

15 მატჩი ითამაშა და ისე გაიბრწყინა, რომ უმალ „სპორტინგის“ პირველი გუნდის კარი გაუღეს და ხალიჩა დაუფინეს.

2001-02 წლების სეზონში „სპორტინგის“ მთავარი მწვრთნელი ლასლო ბოლონი იყო. რუმინელმა „ბოშასთან“ საერთო ენა მალევე გამონახა და მისი ფავორიტიც გახდა — რიკარდუ კვარეჟმა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა.

ვარჯიშების შემდეგ „რიკი“, როგორც თვითონ ამბობს, კიდევ ორი-სამი წუთით რჩებოდა მოედანზე და ეს წუთები ორ-სამ საათში გადადიოდა. იგი საჯარიმო დარტყმებს ამუშავებდა, კუთხურებს აწვდიდა, პენალტებს ასრულებდა, სისწრაფეში ვარჯიში კი, ისევე, როგორც რონალდუს, არ სჭირდებოდა.

„მუსტანგის“ დებიუტი „სპორტინგში“ სიმბოლური გამოვიდა: „პორტუსთან“ მატჩში შედგა, რომლის ფეხბურთელიც მოგვიანებით გახდა და ოთხი წელი შეალია.

თამაშის შემდეგ პორტუგალიის სპორტული მედია კვარეჟმას ქებაში დაიქანცა, რომელმაც მეტოქის დაცვაში ისეირნა. სწორედ ამ შეხვედრის მერე შეარქვა ლასლო ბოლონიმ თავის ფეხბურთელს „მუსტანგი“.

იმ სეზონში „რიკიმ“ 28 მატჩი ითამაშა და 3 გოლი მიითვალა, „სპორტინგმა“ კი დუბლი შეასრულა — ჩემპიონატიც მოიგო და თასიც.

მომდევნო წელს „სპორტინგის“ ქომაგები ზეიმის გაგრძელებას ელოდნენ, მაგრამ რუმინელმა ორი ჩქაროსანის, კრიშტიანუ რონალდუს და რიკარდუ კვარეჟმას შემადგენლობაში ერთად გამწესება არ იქნება. ლასლო ბოლონიმ რონალდუზე ორი წლით უფროსი „რიკის“ დაყენება არჩია, რის გამოც მედიამაც გათათხა და ფანებისგანაც მუდამ სტვენას ისმენდა.

მწვრთნელმა მაინც თავისი დაიჟინა და „მუსტანგმა“ სეზონი 31 მატჩში 5 გოლით დაასრულა. „ბოშას“ მოვალეობა გატანა არ იყო, მას შექმნა ევალებოდა, რაც 19 წლის ბიჭს საუცხოოდ გამოსდიოდა. შეტევების უმეტესობა კვარეჟმაზე გადიოდა და ყველგანმყოფი ნახევარმცველიც საგოლე პასებს არიგებდა.

2003 წელს რონალდუ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადაბარგდა, „მუსტანგი“ კი მისთვის საოცნებო „ბარსელონას“ მაისურში გამოეწყო, მაგრამ კატალონიურ კლუბში გაბრწყინება არ ეწერა.

„მილანთან“ სადებიუტო, ამხანაგურ მატჩში კვარეჟმამ გოლი შეაგდო, თუმცა დაიწყო სეზონი და „ბარსას“ მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა პორტუგალიელი მოიძულა. ერთხელ, პრესკონფერენციაზე ჰოლანდიელმა თქვა, გუნდში კვარეჟმაზე უკეთესებიც მყავსო.

თავიდან „ბოშა“ ემოციებს ამუხრუჭებდა, მაგრამ ორ-სამ თვეში ესპანურ გაზეთებში თემა გაჩნდა — რაიკარდს და „ბარსას“ ახალწვეულს შორის ურთიერთობა წახდა.

მთელი სეზონის განმავლობაში „ბოშამ“ ძირითად შემადგენლობაში 10 მატჩი ითამაშა, უმეტესად შეცვლაზე შედიოდა და ერთ გოლზე მეტი ვერ შეაგდო. ხან მწვრთნელი აკრიტიკებდა ფეხბურთელს და ხან — პირიქით.

ჯერ კიდევ ზამთარში სურდა კვარეჟმას „ბარსადან“ აბარგება, მაგრამ ხუან ლაპორტამ ბურთი ააგდო და თავი შეუშვირა — არაო. პრეზიდენტმა დაიბარა და გუნდში დარჩენაზე დაიყაბულა.

„მხოლოდ იმიტომ ვრჩები, რომ პირადად ლაპორტამ მთხოვა“ — განაცხადა მაშინ პორტუგალიელმა.

ფრანკ რაიკარდს სულაც არ აღელვებდა, რა ილაპარაკეს პრეზიდენტმა და ფეხბურთელმა. ჰოლანდიელმა კვარეჟმას სათადარიგოთა სკამზე მიუჩინა ადგილი.

ევრო 2004-ზე „მუსტანგმა“ ვერ ითამაშა, რადგან გაზაფხულზე „ესპანიოლთან“ დერბიში დაშავდა და საოპერაციო გახდა. ნახევარმცველი ჯანზეც რომ ყოფილიყო, ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდში მაინც ვერ მოხვდებოდა, რადგან ბრაზილიელმა ადრევე ბრძანა, ნაკრებში მხოლოდ იმ ფეხბურთელებს ვიწვევ, რომლებიც კლუბებში ძირითად შემადგენლობაში არიანო.

კვარეჟმას და რაიკარდის ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ პორტუგალიელმა ჰოლანდიელის ხელქვეით თამაში იუარა და „პორტუში“ გადავიდა.

სამშობლოში დაბრუნებულ ფეხბურთელს „პორტუს“ ქომაგების რისხვა დახვდა. ის ხომ ადრე „სპორტინგის“ მაისურს ატარებდა...

„მუსტანგმა“ გულშემატკივრების რია-რია არად ჩააგდო და სეზონის დასაწყისშივე თავი გამოიჩინა — ჯერ უეფას სუპერთასის მატჩში გაიტანა, მერე პორტუგალიის სუპერთასზე. „პორტუს“ ავი ფანებიც ამ მოალბო და დააწყნარა. შემდეგ იყო საკონტინენტთაშორისო თასი „ონსე კალდასთან“ და იქაც პენალტების სერიაში თავისი გაიტანა.

„რიკი“ უკეთესს ვერც ინატრებდა — „პორტუში“ სამი ჯილდო უმალ მოიგო, თუმც პორტუგალიის ჩემპიონობას ვერ შესწვდა. იმ სეზონში „ბენფიკას“ 3 ქულით ჩამორჩნენ.

სამაგიეროდ, მომდევნოში „პორტუ“ ჩემპიონიც გახდა და თასიც დაისაკუთრა, ხოლო „ბოშამ“ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული არავის დაუთმო.

ამის მიუხედავად, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ნახევარმცველი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე არ წაიყვანა.

„მე ისეთი მოთამაშეები მჭირდება, რომლებსაც შექმნაც შეუძლიათ და ჩაშლაც“ — თქვა ბრაზილიელმა.

მუნდიალმა „მუსტანგის“ გარეშე ჩაიარა, ხოლო ამ ზაფხულს ევრო 2008-ზე სკოლარიმ კვარეჟმა იახლა, ოღონდ, როგორც სათადარიგო. ჩეხებთან მოგებულ შეხვედრაში გაიტანა და „რიკისთვის“ ეს იყო მხოლოდ მესამე სანაკრებო გოლი 24 მატჩში.

ევროჩემპიონატის შემდეგ ჟოზე მოურინიუ იტალიური „ინტერის“ მწვრთნელი გახდა და მასიმო მორატის რიკარდუ კვარეჟმას შეძენა სთხოვა. ჯიბესქელმა მორატიმ პორტუგალიელს პორტუგალიელი უყიდა და „მუსტანგს“ გუნდში კიდევ ერთი თვისტომი, მისი კერპი ლუიშ ფიგუ დახვდა.

შარშან ფიგუმ ინტერვიუში თქვა: „კვარეჟმა ამჟამად ერთ-ერთი საუკეთესო პორტუგალიელი ფეხბურთელია. მისი ნიჭის პატრონი ითამაშებს ნებისმიერ კლუბში, რომელშიც კი მოისურვებს, მაგრამ რატომღაც ჯერ ისევ „პორტუშია“.

ახლა კერპი და მისი თაყვანისმცემელი თანაგუნდელები არიან...

„რიკიმ“ „ინტერში“ 10 მატჩი ითამაშა და ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, ისიც საყვარელი გარეტერფულით „კატანიასთან“, მაგრამ თუ მოურინიუს დაუჯერებს...

**ვაჟა ხუციშვილი**

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი. XIV ტური

# ანრიმ ღამურები გაატყავა!

## გვარდიოლას საკუთარი შედევრი უკვირს

### ტურის მატჩი

**ბარსელონა 4:0 ვალენსია**

1:0, 2:0 ანრი (19, 27), 3:0 ალვეში (46), 4:0 ანრი (78)

ბარსელონა: ვალდესი, ალვეში, მარკესი, პუიოლი, აბიდალი, იაია ტურე, გუდიონსენი, ხავი (კეიტა 84), გლები (კრკიჩი 72), ანრი, მესი (პედრო 80)

მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა

ვალენსია: რენანი, მიგელი, მადურო, ალბიოლი, დელ ორნო, ბარახა (მიჩელი 70), ფერნანდესი, ალბელდა, ხოაკინი (პაბლო 78), მატა (ვისენტე 78), ვილია

მწვრთნელი: უნაი ემერი

გაფრთხილება: ვილია, ალბიოლი, დელ ორნო, მიგელი

მსაჯი: ბორბალანი

82 889 მაყურებელი

**სამუელ ეტოო** არ იყო, ლიონელ მესიმ ვერ გაიტანა, მაგრამ ტიერი ანრი ხომ არის? ერთი არ იქნება, მეორე გაიტანს, მეორე არ იქნება მესამე შეაგდებს, რომელ ერთს გააჩერებენ?

„ბარსელონამ" „ვალენსიასთან" ისე ითამაშა, რომ თვითონ ხოსეპ გვარდიოლას გაუკვირდა. „გაოცებული ვარ — თქვა გვარდიოლამ — ეს წინგადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, მაგრამ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი. ვიცი, რომ სირთულეებიც შეგვხვდება და ფანები გვერდში დაგვიდგებიან, რადგან მათთვის ვთამაშობთ და არა ჩვენთვის".

ამ სეზონში სარეკორდო, 82 ათას 889 გულშემატკივარი შეიკრიბა „კამპ ნოუზე" და ანრის შოუ იხილა. ფრანგი ფორვარდი მესისგან და ეტოოსგან ცოტა დაჩრდილული იყო, მაგრამ შაბათს გამოანათა. ჯერ თავზე გადაუგდო ბურთი მეკარეს, მერე კი მასთან პირისპირ დარჩენილმა გაიტანა.

მეორე ტაიმი დანი ალვეშის გოლით დაიწყო და მოგვიანებით ანრიმ გაათიხა — მესის პასი შეირგო.

პრიმერას პირველ ტურში მარცხის შემდეგ „ბარსა" ყველა ტურნირში წაუგებელია და ბოლო 12 მატჩიდან 11 მოიგო. უკვე 44 გოლი გაიტანა და ისეთი შემტევი ბიჭები ჰყავს, რომ პრიმერადივიზიონის რეკორდის (სეზონში 107 გოლი) მოხსნაც არ გაუჭირდება.

„ანრი საუცხოო იყო — ხაროზდა კლუბის პრეზიდენტი ხუან ლაპორტა — გამოჩნდა, რომ თუ ეტოო ვერ ითამაშებს, შეტევაში პრობლემა არ გვექნება. ძალიან მიხარია ტიერი ანრის ასეთი თამაში. ის იმსახურებს პატივისცემას, რადგან თავდაუზოგავად ემზადებოდა სეზონისთვის."

„ჯერ არაფერი მოგვიგია — თქვა ფრანგმა ფორვარდმა — ასე უნდა გავაგრძელოთ და ჯილდოები ბოლოს მოვა".

**ოსასუნა 3:3 ვალიადოლიდი**

1:0 დადი (17), 2:0 ნეკუნამი (42), 3:0 დადი (57), 3:1 გოიტომი (59), 3:2 ხ. ფლანიო (64ს.კ.), 3:3 ოგბეჩე (84)

გაფრთხილება: ხუანფრანი, პუნიალი, მ. ფლანიო, მონრეალი (ოსასუნა), მარკოსი (ვალიადოლიდი)

**მალიორკა 2:3 უელვა**

1:0 დავიდ ნავარო (16), 1:1 რუბენი (25), 2:1 ხურადო (36), 2:2 ადრიანი (42), 2:3 ფუეგო (54)

გაფრთხილება: ა. კეიტა, ადურიცი, დავიდ ნავარო (მალიორკა), ამოედო, აკალე, პოლი (უელვა)

**ხიხონი 2:5 ატლეტიკო**

1:0 ბილიჩი (4), 1:1, 1:2 აგერო (5, 40), 1:3 ფორლანი (56), 2:3 ბარალი (60), 2:4 მაქსი როდრიგესი (71), 2:5 ფორლანი (80)

გაფრთხილება: მატაბუენა, ერნანდესი (სპორტინგი), სიმაო, სეიტარიდისი, ასუნსაო, უიფალუში (ატლეტიკო)

**ვილიარეალი 3:3 ხეტაფე**

0:1 გრანერო (10), 0:2 გავილანი (17), 0:3 კასკერო (28), 1:3 პირესი (55), 2:3 ეგურენი (82), 3:3 როსი (86)

გაფრთხილება: გონსალო (ვილიარეალი), კასკერო, ალვარესი, გავილანი (ხეტაფე)

**დეპორტივო 2:0 მალაგა**

1:0 ლაფიტა (65), 2:0 ბრავო (69)

გაფრთხილება: ანხელი, გუარდადო (დეპორტივო), ლოპო (მალაგა)

**რასინგი 1:1 ბილბაო**

0:1 იესტე (49), 1:1 კოლსა (82)

გაფრთხილება: სერანო (რასინგი), ორბაისი, ორბაისი (ბილბაო)

გაძევება: ორბაისი (76)

**ნუმანსია 2:1 ალმერია**

0:1 სოლარი (11პ), 1:1 დელ პინო (19), 2:1 გორიია (51)

გაფრთხილება: პაბლო, ორტეგა (ნუმანსია), კარეირა, გილერმე, კარლოს გარსია (ალმერია)

გაძევება: ბარკერო (ნუმანსია)

„ვილიარეალმა" დრამატულ საშინაო მატჩში „ხეტაფესთან" მოიგო. თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში სტუმრები სამბურთიანი სხვაობით იგებდნენ, მაგრამ საქმე დამთავრებული და სამი ქულა ჯიბეში მოყუჩებული რომ ეგონათ, „ვილიარეალმა" სასწაული ჩაიდინა. მეორე ტაიმის დასაწყისში რობერ პირესმა სხვაობა შეამცირა. ეგურენის და როსის გოლებით სამ წუთში გაათანაბრეს.

შაბათს ყველაზე გოლუხვი მატჩი ხიხონში გაიმართა, სადაც მადრიდის „ატლეტიკო" ჩაბრძანდა.

ხიხონელი მატე ბილიჩი სტუმრებს მეოთხე წუთზევე გოლით გაუმასპინძლდა, მაგრამ სერხიო აგერომ სიხარული უმალ გაუნელა — წუთის შემდეგ გაათანაბრა. „ატლეტიკოს" არგენტინელმა ლეგიონერმა შესვენებამდე მეორის გატანაც მოასწრო და მადრიდელები დააწინაურა, ხოლო დიეგო ფორლანმა მეორე ტაიმში სხვაობა გაზარდა.

დავიდ ბარალმა მალევე უპასუხა გოლით და „სპორტინგს" ქულის გადარჩენის იმედი გაუჩნდა, მაგრამ მაქსი როდრიგესმა და კვლავ ფორლანმა ხიხონელების იმედი თითო-თითო გოლით მოკლეს.

**რომან თურქია**

**ბეტისი — ესპანიოლი**

**რეალი — სევილია**

წუხელ გვიან დამთავრდა და შედეგები ცხრილში შეტანილი არ არის



ტიერი ანრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 14 | 11 | 2 | 1 | 44:9 | 35 |
| ვილიარეალი | 14 | 8 | 5 | 1 | 26:18 | 29 |
| ვალენსია | 14 | 8 | 3 | 3 | 28:18 | 27 |
| რეალი | 13 | 8 | 2 | 3 | 30:20 | 26 |
| ატლეტიკო | 14 | 7 | 3 | 4 | 33:21 | 24 |
| სევილია | 13 | 7 | 3 | 3 | 18:11 | 24 |
| დეპორტივო | 14 | 7 | 3 | 4 | 16:14 | 24 |
| ვალიადოლიდი | 14 | 6 | 2 | 6 | 19:20 | 20 |
| ხეტაფე | 14 | 4 | 6 | 4 | 17:19 | 18 |
| მალაგა | 14 | 5 | 3 | 6 | 21:25 | 18 |
| ხიხონი | 14 | 6 | 0 | 8 | 23:32 | 18 |
| ბეტისი | 13 | 5 | 2 | 6 | 20:18 | 17 |
| რასინგი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:20 | 16 |
| ალმერია | 14 | 4 | 3 | 7 | 15:23 | 15 |
| ნუმანსია | 14 | 4 | 2 | 8 | 17:28 | 14 |
| ბილბაო | 14 | 3 | 4 | 7 | 16:24 | 13 |
| მალიორკა | 14 | 3 | 4 | 7 | 16:25 | 13 |
| ესპანიოლი | 13 | 3 | 3 | 7 | 10:19 | 12 |
| უელვა | 14 | 2 | 4 | 8 | 9:22 | 10 |
| ოსასუნა | 14 | 1 | 6 | 7 | 11:19 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 14 |
| ვილია (ვალენსია) | 12 |
| ფორლანი (ატლეტიკო) | 10 |

### სეგუნდადივიზიონი XV ტური

რაიო ვალეკანო — სალამანკა 1:1; ელჩე — კორდობა 3:1; ლას პალმასი — სელტა 2:0; ლევანტე — ალბასეტე 3:1; სოსიედადი — ალიკანტე 1:0; ხერესი — ხირონა 2:2; სარაგოსა — უესკა 2:2; ალავესი — ხიმნასტიკი 1:1; მურსია — ტენერიფე 2:2; სევილია B — კასტელიონი 0:2; ერკულესი — ეიბარი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 15 | 8 | 4 | 3 | 28:16 | 28 |
| სალამანკა | 15 | 8 | 4 | 3 | 19:14 | 28 |
| სარაგოსა | 15 | 7 | 5 | 3 | 28:17 | 26 |
| ერკულესი | 15 | 6 | 8 | 1 | 19:8 | 26 |
| კასტელიონი | 15 | 6 | 6 | 3 | 21:14 | 24 |
| სოსიედადი | 15 | 5 | 8 | 2 | 14:10 | 23 |
| რაიო ვალეკანო | 15 | 5 | 7 | 3 | 20:17 | 22 |
| ლევანტე | 15 | 6 | 4 | 5 | 21:22 | 22 |
| უესკა | 15 | 5 | 6 | 4 | 21:18 | 21 |
| ტენერიფე | 15 | 6 | 3 | 6 | 25:23 | 21 |
| ხირონა | 15 | 5 | 6 | 4 | 14:13 | 21 |
| ალბასეტე | 15 | 5 | 5 | 5 | 18:19 | 20 |
| ალავესი | 15 | 5 | 5 | 5 | 18:25 | 20 |
| სელტა | 15 | 4 | 7 | 4 | 15:16 | 19 |
| ხიმნასტიკი | 15 | 3 | 9 | 3 | 22:19 | 18 |
| ლას პალმასი | 15 | 4 | 6 | 5 | 18:16 | 18 |
| ელჩე | 15 | 4 | 5 | 6 | 17:18 | 17 |
| კორდობა | 15 | 4 | 4 | 7 | 15:20 | 16 |
| ეიბარი | 15 | 4 | 4 | 7 | 12:22 | 16 |
| მურსია | 15 | 3 | 4 | 8 | 14:24 | 13 |
| ალიკანტე | 15 | 1 | 6 | 8 | 11:23 | 9 |
| სევილია B | 15 | 1 | 4 | 10 | 8:24 | 7 |

# ნუთუ რეალის ბარსელონაა?

## მადრიდში მეექვსე ჰოლანდიელი ჩავიდა



**„რეალს"** მწვრთნელად ლუის ვან გაალიღა აკლია და „ბარსელონა" გახდება. რამონ კალდერონმა ხუთ ჰოლანდიელ ლეგიონერს გასულ კვირაში მეექვსე მიუმატა — კლაას იან ჰუნტელაარი. რუუდ ვან ნისტელროის, როისტონ დრენტეს, არიენ რობენს, უესლი სნეიდერს და რაფაელ ვან დერ ვაარტს კიდევ ერთი თანამემამულე მიუყვანეს, რომელშიც კლუბმა 20 მილიონი ევრო გადაიხადა. თუ „რეალი" ჰუნტელაარის დახმარებით რამე ფასეულს მოიგებს, მადრიდული კლუბი „აიაქსს" კიდევ 7 მილიონს მიუთვლის.

„ბარსელონაში" ლუის ვან გაალის მწვრთნელობისას გუნდის შემადგენლობა ჰოლანდიელებით იყო გაძეძგილი და მსგავსი რამ ამჟამად „რეალში" ხდება, ოღონდ გერმანელი ბერნდ შუსტერის ხელში.

რატომ მიასკდა „რეალი" მაინცდამაინც ჰოლანდიელებს, ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ფაქტია — „ნარინჯისფერ" ბაზარს „სამეფო კლუბი" განსაკუთრებით ითვისებს.

ახლა სხვა კუთხიდან შევხედოთ — ჰოლანდიური გუნდებიდან ფორვარდების გადასვლებს ევროპის ბობოლა კლუბებში. რუუდ ვან ნისტელროიმ „მანჩესტერშიც" გაამართლა და „რეალშიც". „ჰერენვენიდან" „მიდლსბროში" გადაბარგებულმა აფონსუ ალვეშმა ჯერ ვერ „ამოიღო" ის ფული, რომელიც მის სანაცვლოდ გადაიხადეს. დირკ კუიტი და რობინ ვან პერსი თავის კლუბებს კარგად მოერგნენ. რას იზამს კლაას იან ჰუნტელაარი? სრულფასოვნად შეცვლის ვან ნისტელროის, რომელიც „რეალს" სეზონის ბოლომდე დააკლდება?

ხუთშაბათს მადრიდში იან ჰუნტელაარის პრეზენტაცია შედგა და მას 19-ნომრიანი მაისურა ჩააცვეს. „მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვარ და შევეცდები, რომ რაც შეიძლება მეტი გოლი გავიტანო. ჩემი აზრით, „რეალს" მალე შევეგუები, რადგან აქ ბევრი ჰოლანდიელია".

ბოლოს კი ვთქვათ, რომ „რეალის" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელმა მიჩელმა თანამდებობა მიატოვა და მიზეზად რამონ კალდერონთან უთანხმოება დაასახელა: „კლუბის პრეზიდენტის საჯარო და პირადი კრიტიკის გამო მწვრთნელობიდან წასვლა გადავწყვიტე — თქვა მიჩელმა — მან (პრეზიდენტმა) არ იცის და არც არასოდეს დაინტერესებულა რა ხდება ჩვენთან. ჩვენს ერთ-ერთ ფეხბურთელს ბარახას აეროპორტში დედა გარდაეცვალა და კალდერონს ეს ტრაგედია გულთან არ მიუტანია".

## კვირის ქრონიკა

### ციხის ქომაგი

**მადრიდის** „ატლეტიკოს" და „მარსელის" მატჩისას (ჩემპიონთა ლიგაში) გიჟმაჟმა ფრანგმა ფანებმა ესპანელი პოლიციელები გატყიპეს.

ერთ-ერთმა სტუმარმა სანტოს მირასიერამ ორი პოლიციელის დაჟეჟვა მოახერხა და რვაწლიანი პატიმრობა ემუქრებოდა, გუშინ კი გაირკვა, რომ სამწელნახევარი მიუსაჯეს.

განაჩენის გასასაჩივრებლად მირასიერას 10 დღე უბოძეს. რამდენიმე დღის წინ, „მარსელის" ფანებმა „ატლეტიკოს" ვებგვერდი წერილებით გატენეს. ფრანგები მეტოქის ფანებს სწერენ, რომ მარსელში მადრიდელი გულშემატკივრების სტუმრობა ტრაგიკულად დასრულდება.

### დესკარგამ დესკარგა უარყო

**„ლევანტეს"** ყოფილი კაპიტანი ინიაკი დესკარგა რამდენიმე დღის წინ შარში გაეხვა. ესპანურმა „პოპულარ TV"-მ მისი და კლუბის პრეზიდენტის ხულიო რომერის საუბრის ჩანაწერი გამოაქვეყნა. ლაპარაკში დესკარგა პრეზიდენტს ეუბნება: „მთელ გუნდს უნდა ბონუსის მიღება და თუ შევთანხმდებით, თანაგუნდელებს ვეტყვი". ამბავი 2006-07 წლების სეზონის ბოლო ტურში მოხდა, როცა „ლევანტემ" „ბილბაოს" უმასპინძლა და 0:2 წააგო. შედეგად ბასკებმა პრიმერაში ადგილი შეინარჩუნეს.

გუშინ დესკარგამ მონაჩმახი უწოდა „პოპულარ TV"-ის მასალებს და თქვა, რომ ეს სისულელეა.

ფეხბურთელი ამჟამად „ლეგიას" ლეგიონერია და მისმა პოლონელმა ადვოკატებმა ოფიციალური წერილი გამოაქვეყნეს. „ჩემმა ადვოკატებმა უკვე იციან, როგორ უნდა მოიქცნენ და ოფიციალურ კომენტარს მე მათთან შეუთანხმებლად აღარ გავაკეთებ" — ბრძანა დესკარგამ.

გიო ახვლედიანის



სვეტი

# ანელკას გაგორებული

ამასწინათ „ივნინგ სტანდარდის“ გამოკითხვამ „ჩელსის“ ფანების ჟოზე მოურინიუსადმი ერთგულება გამოაჩინა: მხოლოდ მესამედმა თქვა, რომ ლუის ფელიპე სკოლარი უკეთესი კაცია „ჩელსისთვის“, ვიდრე ჟოზე იყო.

დანარჩენები კვლავ ჟოზეს იხსენიებენ გუნდისთვის საუკეთესო ვინმედ.

„ინტერის“ სათავეში მყოფი მოურინიუ ინგლისში მართლაც ენატრებათ, თუმცა, ალბათ უფრო ჟურნალისტებს, რომელთათვისაც მასთან ლაპარაკი ნამდვილად მისწრება იყო.

აბა, სხვა ვინ დაარქმევდა საკუთარ თავს განსაკუთრებულ ვინმეს?

ჟოზე გამოვიდოდა და მასალაც მზად იყო.

ველარც გაიხსენებ, იმდენი რამ უთქვამს.

იტალიაში ამგვარ ლაპარაკზე არავინ გიჟდება, თუმცა, მოურინიუ იქაც გამოურევს ხოლმე.

ინგლისში კი მის სიტყვას სხვა ხმაური ახლდა, რადგან ინგლისური პრესაა ასეთი.

სკოლარი კი მხოლოდ პატიოსნად, წესიერი ბიძაკაცივით ლაპარაკობს. თავისი ინგლისური სიტყვების მარაგს მაქსიმალურად იყენებს და უბრალო რამეებს აცხადებს.

მაგალითად: დღევნადელი მსაჯი მეც არ მომეწონა, მაგრამ რას იზამ. მსაჯმა დაუსტვინა, ველარაფერი შეიცვლება.

ანდა: არსენ ვენგერი იაპონიაში გავიცანი. კარგი მეგობრები ვართ. კარგი კაცია და მე რომ მკითხოთ, მსოფლიოს მწვრთნელთა პირველ ხუთეულში შედის. რა თქმა უნდა, „არსენალს“ ვეთამაშებით და მოგებასაც ვეცდებით, მაგრამ შედეგის მიუხედავად, არსენი და მე მაინც მეგობრები ვიქნებით.

აბა ვის რად უნდა ასეთი ნათქვამები?

სად ის, მოურინიუ რომ იტყოდა, ვენგერს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვსო.

იმწამსვე ატყდებოდა ამბავი.

ეს კი, მეგობრები ვართო.

სკოლარის ყველაზე ხმაურიანი ნათქვამი იყო, „კლუჟთან“ თუ წავაგეთ, ბრაზილიაში დავბრუნდებიო.

არიქა, ძლივს რაღაცა თქვა კაცმაო და იმხელა შეძლებისდაგვარი კუდები გამოება ამ ამბავს, რომ ბოლოს დიდ ფილს მოუწია ეთქვა, ვიხუმრე კაცო, „ჩელსიში“ მშვენივრად ვარო.

საერთოდ, სკოლარი ბრაზილიიდანვე ახირებულ კაცად იყო ცნობილი, ვინაიდან იქ „გრემიოს“ ხისტ და შედეგზე მკვეთრად ორიენტირებულ ფეხბურთს ათამაშებდა, ფეხბურთელებს მკვახეებს ეძახდა და ეუბნებოდა. ახლა ინგლისში რომ უყურებ ამ კაცს, პირდაპირ ბულკი გეგონება.

იმ ფილისგან, მგონი, ალარაფერია დარჩენილი, „პორტუ აელგრიში“ ცუდი ბიჭები რომ გამოზარდა. დგას მოწყენილთვალებიანი კაცი მოედნის კიდეზე და მითითებებს იძლევა.

„ჩელსი“ მოხდენილ ფეხბურთს თამაშობს: დროგბას ხანჯლურებს ნიკოლა ანელკას რბილი გოლები შეენაცვლა. ანელკა არ ურტყამს, ის უბრალოდ აგორებს ბურთს და გოლი გამოდის. შედეგი იგივეა, რაც დროგბას სიხისტისა.

აბრამოვიჩი რომ მოურინიუს უშვებდა, თითქოს ჩაილაპარაკა, „ჩელსიმ“ ლამაზი ფეხბურთი უნდა ითამაშოსო. ამაში, ალბათ, რბილ ფეხბურთს გულისხმობდა.

ახლა „ჩელსი“ უფრო რბილი და ტექნიკურად მრავლაფეროვანია შეტევაში, ვიდრე მოურინიუს დროს იყო, თუმცა, ვერ იტყვი, რომ უფრო ძლიერი გუნდია.

ამ ლიგაში სკოლარის ჯერ მოურინიუს ტიტულები არ მოუგია და პირველი გამოცდის გზას ადგას.

ისე, „ლივერპულთანაც“ წააგო და „არსენალთანაც“.

ეს ბოლო მარცხი, ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა. მხოლოდ ქულით ჩამორჩა „ლივერპულს“, რომელიც გამმაგებით ვერ იგებდა ორ კვირას. მაგრამ ქულა მაინც ქულაა. განსაკუთრებით საშობაო კვირის წინ, როცა ვერავინ შეიტყობს, ვის სად დაუცდება ფეხი.

დიდი ფილი კი. . . დიდი ფილი დიდი ფილია, თუნდაც ვერაფერი მოიგოს.

ძალიან მაგარი კაცია და ძალიან მაგარი მწვრთნელი. ცვლილებებიც მასში, ალბათ, ძალიან მაგარია.

ანელკაც ისე მაგრად აგორებს, დროგბას გაფრენები დაგავიწყდება.

# ინგლისი

## პრემიერლიგა. XVI ტური

# ვა, რვიდან რვა?!




| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 16 | 11 | 4 | 1 | 24:9 | 37 |
| ჩელსი | 16 | 11 | 3 | 2 | 35:6 | 36 |
| მანჩესტერი | 15 | 9 | 4 | 2 | 27:10 | 31 |
| არსენალი | 16 | 9 | 2 | 5 | 28:19 | 29 |
| ასტონ ვილა | 16 | 8 | 4 | 4 | 25:18 | 28 |
| ჰალი | 16 | 7 | 5 | 4 | 24:25 | 26 |
| პორტსმუთი | 16 | 6 | 5 | 5 | 19:23 | 23 |
| ევერტონი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:25 | 22 |
| ფულემი | 15 | 5 | 5 | 5 | 13:12 | 20 |
| ბოლტონი | 16 | 6 | 2 | 8 | 18:19 | 20 |
| უიგანი | 16 | 5 | 4 | 7 | 18:20 | 19 |
| მიდლსბრო | 16 | 5 | 4 | 7 | 16:23 | 19 |
| სტოკი | 16 | 5 | 4 | 7 | 17:27 | 19 |
| სიტი | 16 | 5 | 3 | 8 | 30:24 | 18 |
| ვესტ ჰემი | 15 | 5 | 3 | 7 | 17:22 | 18 |
| ნიუკასლი | 16 | 3 | 7 | 6 | 19:24 | 16 |
| ტოტენჰემი | 15 | 4 | 3 | 8 | 17:21 | 15 |
| სანდერლენდი | 16 | 4 | 3 | 9 | 13:25 | 15 |
| ბლექბერნი | 16 | 3 | 4 | 9 | 17:31 | 13 |
